

# ყურანის განთავისუფლება:

ისლამის წმინდა წერილი

## ავტორი სკოტ სირაჯ ალ-ჰაკ კუბლი

ინგლისურიდან თარგმნა მარიამ შალვაშვილმა



*„გაიხსენეთ, როცა თქვენ იყავით ცოტანი და დაჩაგრულნი ქვეყანაზე და გეშინოდათ, რომ გაგტეხავდათ ხალხი. მან კი თავშესაფარი მოგცათ, შეგეწიათ თავისი გამარჯვებით და დაგაპურათ სიკეთეებით, რათა ეგების მადლიერნი ყოფილიყავით“ (ყურანი 8:26)*

ისლამის საფუძველი ჩაგვრის სისტემის წინააღმდეგ პროტესტია. ყურანმა გამოაცხადა, რომ ერთი ღმერთის რწმენა ახლადჩამოყალიბებულ მუსლიმურ საზოგადოებას განთავისუფლების პროცესში წარუძღვებოდა. მსგავსად ებრაული ტომებისა, რომლებიც მოსეს ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდნენ და რომელთა ისტორიასაც ყურანი მოგვითხრობს, ჩაგვრის მდგომარეობიდან მუსლიმებიც გამოვიდოდნენ, დაბრკოლებების უდაბნოს გადაკვეთავდნენ, გადალახავდნენ დაპირების მდინარეს და შექმნიდნენ ახალ საზოგადოებას, სადაც ისინი შეძლებდნენ ნეტარ კეთილდღეობაში ცხოვრებას. როგორც მექაში ჩაგრულმა უმცირესობამ, მუსლიმებმა თავი დააღწიეს ტანჯვის მდგომარეობას და გადავიდნენ მედინაში, სადაც დააარსეს მონოთეისტურ რწმენაზე დაფუძნებული თანამეგობრობა, რომელიც მოშლიდა ძველ იერარქიებსა და დაყოფას.

იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა მუსლიმები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ ბრძოლის, ტრანსფორმაციისა და განმათავისუფლებელი სოლიდარობის იდეალების მიხედვით, ეს არის ძირითადი ნარატივი, რომელიც აყალიბებს მუსლიმთა თვითწარმოდგენას. ეს არის ის იდეალი, რომელმაც მრავალი მუსლიმი სულით ხორცამდე შეძრა სამხრეთ აფრიკაში, როდესაც ისინი აპარტეიდის ერთი შეხედვით დაუძლეველი სისტემის წინაშე აღმოჩნდნენ (რისი აღსრულებაც ძღვევამოსილი იარაღების, საერთაშორისო აღიარების, ნაციონალისტური ლეგიტიმაციის, მდიდარი მინერალური წიაღისეულისა და ბირთვული იარაღის მეშვეობით ხორციელდებოდა). მათ იპოვეს ძალა საღვთო წერილის შეგონებებში, იქნებოდა ეს ეგვიპტიდან ებრაული ტომების გამოსვლის ყურანისეული მონათხრობი თუ თავად მუსლიმების მედინაში გაქცევის ისტორია, რათა ებრძოლათ უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. აპარტეიდისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ძალის, შთაგონებისა და სოლიდარობის მაგალითების მაძიებელმა მუსლიმებმა, ისევე, როგორც ებრაელებმა და ქრისტიანებმა სამხრეთ აფრიკაში, განავითარეს განმათავისუფლებელი თეოლოგიის ძალზემდიერი ინტელექტუალური და სულიერი მიმდინარეობები, . მათ გაიხსენეს ყურანის მანუგეშებელი სიტყვები, რომლებიც ამ თავის დასაწყისს წანამღვრად გასდევს: *გაიხსენეთ, როცა თქვენ იყავით ცოტანი და დაჩაგრულნი ქვეყანაზე*. მას, ვინც ეძებს ამ ჩაგვრისგან განთავისუფლებას ღვთის რწმენის საშუალებით, ყურანი სამართლიანობის დაცვას ავალდებულებს: *„ნუ უღალატებთ ალაჰსა და მის მოციქულს! (ამით) ღალატობთ თქვენს ანაბარს და თქვენ (ეს) იცით!“* (ყურანი 8:27; ლობჟანიძე 176).

ეს სიტყვები აძლევს იმედსა და გამბედაობას სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებ ლესბოსელ, გეი და ტრანსგენდერ მუსლიმებს. მცირე რაოდენობის მიუხედავად, მათ შექმნეს მხარდაჭერის ჯგუფი, სახელად შიდა წრე (Inner Circle), რომელიც აორგანიზებს სადისკუსიო ჯგუფებს, ღონისძიებებს სულიერი განმარტოვებისთვის, კონფერენციებს და ურთიერთობს მედიასთან.

მხარდამჭერი ჯგუფის წევრები თავს საკუთარ ოჯახებში უცხოებად მიიჩნევენ, მარტოსულობის განცდა და გამუდმებული შიში ჰქონდათ, რომ მათ საიდუმლოს აღმოაჩენდნენ და დაისჯებოდნენ. მათი უმეტესობა დარწმუნებულია, რომ სხვა არავინაა მისნაირი და ის „ერთადერთია“ ასეთ მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ, საკუთარ იდენტობაზე პასუხისმგებლობის აღება და საკუთარი შინაგანი იდენტობის იმ დონეზე აღიარება, რომ ჯგუფში გაწევრიანდნენ, მათთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მხარდამჭერი ჯგუფის მიზანი ამ პროცესის ხელშეწყობაა. მუჰსინ ჰენდრიქსს, მხარდამჭერი ჯგუფის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ნათქვამი აქვს: „მე მჯერა, მხოლოდ იმიტომ, რომ გეი ვარ, იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ისლამის პრაქტიკაში გამოყენება ან მუსლიმად ყოფნა არ შეემძლოს. ამ რწმენის გასამყარებლად მე ყურანს ვეყრდნობი“.<sup>1</sup> მას საფუძვლიანი განათლება აქვს მიღებული მადრასაში და ერთ-ერთ მადრასაში სწავლების გამოცდილებაც აქვს, მაგრამ მას მერე, რაც დაიწყო იმის გაცხადება, რომ გეია, მის წინააღმდეგ დევნა დაიწყო. იმის მაგივრად, რომ მარტობაში დატანჯულიყო, გადაწყვიტა, მოეძიებინა და ეპოვა იმავე მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანები და მათთან ერთად ჩამოეყალიბებინა სოციუმი. ის ამბობს: „მივხვდი, რომ მარტო არ ვარ – ეს ხალხი იმავეს განიცდის, რასაც მე. მაგრამ ღმერთთან ჩემი სიღრმისეული ურთიერთობის გამო, მოვახერხე ამ ორის ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა. სრულიად კომფორტულად ვუცხადებდი სამყაროს, რომ მე ვარ გეი და ვარ მუსლიმი. მინდოდა, სხვა ადამიანებსაც დავხმარებოდი ამ მდგომარეობისთვის მიეღწიათ“.<sup>2</sup> მხარდამჭერი ჯგუფი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, იშვა სხვა, უფრო ძველი ჯგუფიდან, სახელად ალ-ფიტრას ფონდი, რომელიც მუჰსინმა და სხვებმა 1998 წელს დააარსეს. მათ ტერმინი ალ-ფიტრა<sup>3</sup> (*al-fitra*) ყურანიდან აიღეს და ჯგუფს ეს სახელი უწოდეს: „მაშინდელი გზავნილი იყო, ხალხისთვის გაგვეგებინებინა, რომ [ჰომოსექსუალობა] არ არის პათოლოგია, რომ ეს არის [ადამიანის] ბუნება – შენ ან ასეთად გაჩნდი, ან იმ შემთხვევაშიც კი თუკი საზოგადოების გავლ(ენ)ით დაისწავლე იგი, ეს მაშინ მოხდა, როცა ძალიან პატარა იყავი, რომ ამაზე შენ თავად მიგელო გადაწყვეტილება. ასე რომ, ეს შენი ფიტრას – შენი ბუნების ნაწილია.“ ეს თავი აანალიზებს ამ ტერმინის, ფიტრას ანუ „ბუნების,“ გამომდახილს ყურანში და ხსნის ამ ტერმინის მნიშვნელოვნობას სექსუალური ორიენტაციის ისლამური თვალსაზრისით გაგების პროცესში.

მუჰსინი განმარტავს, რომ ისლამისადმი მისი მიდგომა შეიძლება დახასიათდეს, როგორც განმათავისუფლებელი თეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია იმ წარმოდგენაზე, რომ ღვთის ნება აღესრულება მათთვის და მათი მეშვეობით, ვინც ჩაგვრას განიცდის. მუჰსინი აცხადებს, რომ ყურანის ცენტრალური პრინციპი ჩაგრულთა მიმართ სოლიდარობაა, რადგან ღმერთის არსებობისა და გზავნილების მიმღებლობა განპირობებულია იმით, თუ რამდენად არის ადამიანი ერთგული პრინციპისა, მიაღწიოს სამართლიანობას მათთვის, ვინც სუსტად

<sup>1</sup> Yunus Kemp, staff reporter, *Cape Argus*, <[www.iol.co.za](http://www.iol.co.za)>.

<sup>2</sup> მუჰსინ ჰენდრიქსის ყველა აქ მოყვანილი ციტირება აღებულია იოჰანესბურგში ს. კუგლთან ჩაწერილი ინტერვიუდან (ნოემბერი 1, 2005), თუ ეს სხვაგვარად არაა მითითებული.

<sup>3</sup> فطرة /fiṭra/ – ბუნება; თანდაყოლილი თვისება; ხასიათი

მიიჩნევა და დაუცველია. ბევრი ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მუსლიმი მუჰსინთან ერთად იზიარებს განმათავისუფლებელი თეოლოგიით მის აღტაცებას, მაშინაც კი, თუ მათ თავად ეს არ გამოუცდიათ სამხრეთ აფრიკაში ეგზისტენციალური ბრძოლის პროცესში.

ტრანსგენდერი, გეი და ლესბოსელი მუსლიმების განმათავისუფლებელი თეოლოგიის მიდგომა ყურანის ღრმა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მისი ცენტრალური პრინციპი – სამართლიანობისკენ სწრაფვა ჩაგრულებთან სოლიდარობის მეშვეობით – საშუალებას აძლევს გეი, ტრანსგენდერ და ლესბოსელ მუსლიმებს, შეუერთდნენ რეფორმატორთა უფრო ფართო კოალიციას. ამ მიდგომის მეშვეობით ისინი უერთდებიან ყველა ქალს, ახალგაზრდას, რასობრივი უმცირესობების წარმომადგენელსა და სხვებს, რომლებსაც მარგინალიზებულად აქცევს ან ჩაგრავს მათი მმართველი პოლიტიკურ-რელიგიური სისტემა. მათ ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობიდან, განსაკუთრებით მგრძნობიარე პოზიციიდან, ესმით ყურანის ხმა, რომელიც დაჟინებით ეკითხება მუსლიმებს, „და რატომაც არ უნდა იბრძოლოთ ალაჰის გზაზე და დაჩაგრულ კაცთა, ქალთა და ბაღდათა გულისათვის, რომლებიც ამბობენ: უფალო ჩვენო, გაგვიყვანე ამ სოფლიდან, რომლის ხალხიც უსამართლოა. დაგვიდგინე შენი წიაღიდან მეოხი და დაგვიდგინე შენი წიაღიდან შემწეო!“ (4:75, ლოზჟანიძე 140).

## ჩაგვრა და წინააღმდეგობა ყურანში

ყურანი ჩაგრულებისადმი სოლიდარობისკენ გვიბიძგებს, რაც მისი გზავნილის განუყოფელი კომპონენტია. ღვთიური მოვალეობის აუცილებელი ნაწილია სამართლიანობითა და პასუხისმგებლობით მოქმედება. ყურანი ჩაგრულებს უწოდებს *al-mustad'afun fi al-ard-ს* ანუ მას, ვინც დასუსტებულია და ადგომის საშუალება არ ეძლევა. ეს არაბული ფრაზა ძალიან დახვეწილია. დაჩაგრულებს „სუსტად თვლის“ ის, ვინც ძალაუფლებას თავად დაპატრონებია, მაგრამ სინამდვილეში ეს ადამიანები სუსტები არ არიან. ისინი საკუთარ დაუცველობის მდგომარეობაში იტანჯებიან, მაგრამ რეალურად დიდი ძალა და გამძლეობა ახასიათებთ. ღმერთი მათ მხარესაა. მათ ღვთის გზავნილი მკაფიოდ ესმით დაუცველობის, ტანჯვისა და ჩაგვრის მდგომარეობაში ყოფნის გამო. მათ თავიანთი გამძლეობა, ტკივილი და მოთმინება გულს უხსნის ღვთის ხმის მოსმენისა და ღვთის გზავნილის მისაღებად მოციქულების ქვეყნადს მოვლინების პერიოდში. საკუთარი ჩაგვრის წინააღმდეგ ხმის ამაღლებისას ისინი აღასრულებენ ამქვეყნად ღვთის ნებას, რითაც გააკვირვებენ მათ, ვინც მიჩვეულია ძალაუფლების ფლობას და თავს ღმერთად მიიჩნევს<sup>4</sup>.

---

<sup>4</sup> ყურანის 34:31–34 აიები განმარტავს, რომ მათ, ვისაც ძალაუფლება, სიმდიდრე და სტატუსი აქვთ, საკუთარ თავებსა და საკუთარ ინტერესებს ღმერთებად გამოაცხადებენ და ითხოვენ, სხვებმა თავყვანი სცენ. მაგრამ სუსტი და დაუცველი ხედავს სისტემის ფარისევლობას და დილემის წინაშე აღმოჩნდება: მათ შეუძლიათ მიიღონ საკუთარი მსხვერპლობა და თქვან: „თქვენ რომ არა, ჩვენ მორწმუნენი ვიქნებოდითო.“ ან მათ შეუძლიათ მიიღონ მოციქულის მოწოდება, დაუპირისპირდნენ მათ, ვინც მათ სუსტებად აქცევს, თავყვანი სცენ ჭეშმარიტ ღმერთს და უარყონ მჩაგვრელი სისტემა (ავტორის შენიშვნა).

მოციქულებზე მონათხრობი გვიყვება მათ ისტორიას, ვინც შეისმენს ღვთის სიტყვას, რადგან მათი სმენა უფრო გაწაფულია ჩაგვრის გამოცდილების გამო და ჩაგვრის წინააღმდეგ გამძლეობისა და ბრძოლის მეშვეობით. იმ მოციქულთა გზავნილი, როგორებიც იყვნენ ლუტი, სალიჰი, მოსე და მუჰამედი, მხოლოდ ერთი ღმერთის რწმენა და ცრუ კერპების თაყვანისცემის უარყოფა არ არის. მათ გზავნილს ასევე წარმოადგენს საკუთარ კეთილდღეობაზე უარის თქმა ღარიბების, დაუცველების, უცხოებისა და ტანჯულების დასაცავად, რის გარეშეც ღვთის თაყვანისცემა არასრულყოფილი და მართლაც, თვალთმაქცურია. ეს თავი ლუტისა და სალიჰის შესახებ მონათხრობს დეტალურად მოგვიანებით განიხილავს. ჯერ ის უნდა აღინიშნოს, თუ როგორ იდგა თითოეული მოციქული ჩაგრულების მხარეს. მოციქულებს გამოზდნენ მათი საზოგადოების ძლევა მოსილი პირები, რომლებიც „თავს უფრო დიადად მიიჩნევდნენ“, რადგან მათ ქედმაღლურად მიითვისეს სიმდიდრე, პრესტიჟი და იდეოლოგიური სიმართლე.

ყურანის თანახმად, სალიჰი სამუდამი შეძლებულ ხალხთან მივლენილი მოციქული იყო. იმ ხალხის ხელმძღვანელმა, რომლებიც განდიდებით მოქმედებდნენ და თავი სხვებზე უკეთესი ეგონათ, მათ მიერ ჩაგრულებსა და სუსტებად მიჩნეულებს მიმართა: *„განა თქვენ იცით, რომ სალიჰი წარმოგზავნილია თავისი უფლისგანო? მიუგეს: ჩვენ რაც წარმოგვეგზავნა, იმისა გვწამსო“* (ყურანი 7:75, ლობჟანიძე 168). ლუტი იყო მოციქული, რომელიც მივლენილი იყო დაბლობის მდიდარ ქალაქებში (რომელიც მოიცავდა სოდომსა და გომორას, თუმცა ყურანში ისინი ასე არაა დასახელებული). როდესაც ლუტი ცდილობს დაიცვას სუსტები, ღარიბები და უსახლკაროები მოციქულის გულუხვი სტუმართმოყვარეობის ეთიკის შესაბამისად, მისი ხალხი ჩაგრავს მას და ცდილობს მისი სისუსტე დაამტკიცოს მისი ღირსების შელახვითა და სტუმრების შეურაცხყოფით. ანალოგიურად, მოსე წინ აღუდგება თავისი თემიდან ზოგიერთს, ვინც ცდილობს მოსეს წინააღმდეგ აჯანყებას და ოქროს ხბოს თაყვანისცემით მოციქულის სტატუსის ფეხქვეშ გათელვას. მოსემ უთხრა: *„რა საძაგლად შემცვალეთ, ჩემს შემდგომ! განა წინ წაუხვედით თქვენი უფლის ბრძანებას?! ... მძას თავში ხელი ჩაავლო და თავისკენ მიიზიდა. ჰარუნმა უთხრა: ო, დედაჩემის ძეო, ამ ხალხმა, ჭეშმარიტად, დამაოსა და კინალამ მომკლა. ნუ შემარცხვენ მე მტრის გასახარად და ნუ დამადგენ უსამართლო ხალხთან ერთადო“* (ყურანი 7:150, ლობჟანიძე 171-172). სხვადასხვა ისტორიის თხრობისას ყურანი აშკარად უკავშირებს კერპთაყვანისმცემლობას უსამართლობას და გვიჩვენებს, რომ ხალხი ეწინააღმდეგება მოციქულებს, მათთან ერთად ჩაგრავს მოციქულთა მიმდევრებს და მათ დამცირებას ცდილობს. ღმერთი დალოცავს მათ, ვისაც ძლიერები და ამპარტავნები სუსტებად მიიჩნევენ, მათ, ვინც უსამართლობას განიცდის და მიწასა და მტვერშია დანარცხებული იმ სოციალური სისტემის თუ მისი ძალაუფლებრივი მიმართებების წყალობით, რომელსაც ძლიერები ქმნიან, კერპებად აქცევენ და ძალაუფლებისკენ საკუთარ მისწრაფებებს ღვთაებრიობას მიაწერენ. *„ჭეშმარიტად, ფარაონი განდიდდა ქვეყანაზე ... და გვნებავს წყალობა ვუყოთ მათ, ვინც შევიწროვდნენ ქვეყანაზე და ვაქციოთ ისინი მეთაურებად და ვაქციოთ მემკვიდრეებად“* (ყურანი 28:3-4, ლობჟანიძე 264).

თუმცა სუსტებმა და დაჩაგრულებმაც შეიძლება მალევე დაიწყონ სხვების ჩაგვრა, როგორც კი დაწინაურდებიან და ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელთ, როგორც ყურანი მოგვითხრობს,

ებრაული ტომები ეგვიპტეში ჩაგრულები იყვნენ ფარაონის კერპთაყვანისმცემელი ამპარტავნების გამო<sup>5</sup>. მიუხედავად ამისა, როდესაც ებრაულმა ტომებმა ჩაგვრისგან თავისუფლება იგემეს, მოციქულის წინააღმდეგ შემოტრიალდნენ, ცდილობდნენ მოსეს დაჩაგვრასა და დასუსტებას. ებრაული ტომების მსგავსად, მუსლიმური თემის ისტორიაც წარმატებისა და წარუმატებლობის ნარევია. მათ თავდაპირველ გულმხურვალებას, მხარი დაეჭირათ სუსტთა და განძარცვულთათვის, აქეზებდა მოციქული მუჰამედი, რომელიც თავად ობოლი იყო და მისი პირველი მიმდევრები იყვნენ მონები, ქალები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა მარგინალიზებული გარიყული პირები. თავიანთი გულმოდგინებით, ყველაზე პირველმა მუსლიმებმა დააარსეს სავსებით ახალი, ინოვაციური თანამეგობრობა, რომელიც რწმენის, გაზიარებული ქონებისა და ურთიერთდაცვის დობილთა და ძმობილთა სათვისტომოზე დაყრდნობით დაფუძნდა. მათ ექსპერიმენტს განხეთქილება ჰქონდა მექაში არაბულ ტომობრივ ძალებთან და მოგვიანებით მედინაში ებრაული სექტების ძალებთან. ეს იყო ის ორი ძალა, რომლებიც განაგებდა არაბეთში სამხედრო სიმლიერის, სავაჭრო შემოსავლებისა და რელიგიური ლეგიტიმაციის გამეფებულ მდგომარეობას.

თუმცა მუსლიმთა ექსპერიმენტის თავდაპირველმა წარმატებამ ეს უკანასკნელი კომპრომისსა და დეგრადაციას დაუქვემდებარა. მუსლიმები ურთიერთსოლიდარობის გასამლიერებლად სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ გარე მტრებთან ბრძოლას, ამასთან ერთად, საშუალება მისცეს ძველ ტომობრივ ამპარტავნებასა და პატრიარქალურ ფასეულობებს, კვლავ შეეღწია მათ საზოგადოებაში. ომის საშუალებით ძალაუფლებისა და ფინანსური მოგების მოხვეჭით, მუსლიმები დაუბრუნდნენ ძველ უთანასწორობებსა და იერარქიებს. ყურანი მათ მონების გათავისუფლებისგან მოუწოდებდა, რის მიუხედავაც დაიწყეს მონების ყოლა. მათ პატრიარქ მამამთავრებად მოქცევა დაიწყეს იმის მიუხედავად, რომ ყურანი ქალისა და მამაკაცის მორალურ თანასწორობას აცხადებს. მათ ფუფუნებაში ცხოვრება დაიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ყურანი მათ აფრთხილებს სიმდიდრის მოხვეჭის წინააღმდეგ. რამდენიმე თაობაში მუსლიმთა განმანთავისუფლებელი და თანამეგობრობის ექსპერიმენტი იმპერიად იქცა, რომელიც მეტოქეობას უწევდა რომს. განთავისუფლების შესახებ ყურანის გზავნილი განიმარტებოდა, როგორც ისლამური პრივილეგიის ბატონობა.

ყურანი ჯერ კიდევ ჩვენთანაა და მისი გზავნილი არ დაკარგულა. განთავისუფლების შესახებ მისი გზავნილი კვლავ ექოდ გაისმის ყურანის სიტყვებსა და გამოსახულებებში, ზოგჯერ ცხადად და ზოგჯერ კი – ირიბად. ისმენენ თუ არა ამ გზავნილს მუსლიმები და ცდილობენ თუ არა მის ხორცშესხმას, მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განიმარტება ეს გზავნილი. განმანთავისუფლებელი თეოლოგია ამტკიცებს, რომ ინტერპრეტაციის შინაარსი

---

<sup>5</sup> როგორც ყურანის აია 7:136-137 ამბობს (ლობჟანიძე 170-171): „ჩვენც შური ვიძიეთ მათზე და დავახრჩვეთ ისინი ზღვაში იმის გამო, რომ არ დაუჯერეს ჩვენს სასწაულებს და იყვნენ მათ მიმართ უგულისხმონი. და მივეცით მემკვიდრეობად იმ ხალხს, ჩაგრულად რომ მიიჩნეოდა, იმ ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი, რომელიც ვაკურთხეთ. და აღსრულდა შენი უფლის უმშვენიერესი სიტყვები – ისრაელის ძეთა მიმართ იმის გამო, რაც მოითმინეს, ხოლო ის კი დავაქციეთ, რასაც ქმნიდნენ ფარაონი და მისი ხალხი და რასაც ამაღლებდნენ“ (ავტორის შენიშვნა).

განპირობებულია ყურანის განმმარტებლის ეგზისტენციალური მდგომარეობით. ღარიბები, დაუცველები და ტანჯულები იმ ეგზისტენციალურ პოზიციაში არიან, რომ აქტიურად მოისმინონ წმინდა წერილის გზავნილი და მისი სამართლიანობისკენ მოწოდება. ისინი წმინდა წერილის განმმარტებლის პრივილეგირებულ პოზიციაში იმყოფებიან სწორედ იმიტომ, რომ დაუცველ მდგომარეობაში არიან, მათი საზოგადოების შიგნით ჩაგრულები არიან.

## ისლამური განმათავისუფლებელი თეოლოგია

განმათავისუფლებელი თეოლოგია „ღმერთზე საუბრის“ გამორჩეულ გზას გვთავაზობს. განმათავისუფლებელი თეოლოგია რელიგიური ტრადიციებიდან ამოდის, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს პატრიარქალურ და სასულიერო ელიტების ძალაუფლებას, რომლებიც ამ ტრადიციების სახელით ლაპარაკობენ. განმათავისუფლებელი თეოლოგია ცდილობს აღადგინოს დაჩაგრულთა გამბედაობა და დარწმუნებულია, რომ მათ, ვინც იტანჯება, ნამდვილად ესმით ღვთის გზავნილის და უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრებისას ისინი განასახიერებენ ამ სამყაროში ღვთის ნებას. განმათავისუფლებელი თეოლოგიის ორიენტაციის მუსლიმები, პროფესიონალი თეოლოგები იქნებიან ისინი თუ სათემო აქტივისტები, ცდილობენ განდევნილებს ხმა დაუბრუნონ და საშუალება მისცენ, საკუთარი გამოცდილების შესახებ სიმართლე ილაპარაკონ, რადგან ამ უსამართლობის გამოცდილებამ უნდა წარმართოს საზოგადოების რელიგიური და მორალური მოვალეობების გაგება. გეი, ლესბოსელმა და ტრანსგენდერმა მუსლიმმა აქტივისტებმა მიიღეს ეს გამოწვევა. მუჰსინ ჰენდრიქსს აშკარად ესმის ამ უფრო ფართო კავშირების მნიშვნელობა. ის შთაგონებული იყო სამხრეთ აფრიკელი თეოლოგი და პოლიტიკური აქტივისტი ფარიდ ესაკით, რომელიც ხელმძღვანელობდა მოძრაობას სახელად „ისლამის გამოძახილი“, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფარიდ ესაკის წიგნი სახელწოდებით „ყურანი, განთავისუფლება და პლურალიზმი“ სიცხადითა და სიღრმით აუღერებს ისლამში განმათავისუფლებელი თეოლოგიის რელიგიურ პრინციპებს. მას ლესბოსელი და გეი მუსლიმი აქტივისტები სავალდებულო საკითხავად მიიჩნევენ<sup>6</sup>. ესაკის ნაშრომში სინთეზირებულია პროგრესული ისლამური აზროვნება და

---

<sup>6</sup> ფარიდ ესაკი შთაგონებული იყო ადრინდელი მუსლიმი, განსაკუთრებით სამხრეთ აზიაში მოღვაწე, თეოლოგებით, სადაც ის სწავლობდა. სამხრეთ აზიელი მუსლიმი ინტელექტუალი და რეფორმატორი მაულანა აბულ კალამ აზადი იყო ისლამური განმათავისუფლებელი თეოლოგიური მიდგომის პიონერი, როდესაც მან მონაწილეობა მიიღო ინდოეთის ეროვნულ კონგრესში მაჰათმა განდისთან ერთად და ყურანის ძლევა მოსილი ინტერპრეტაციის საკუთარი შეხედულებები ჩაიწერა წიგნში „ტარჯუმან ალ-ყურანი“ [Tarjuman al-Qur'an] (პირველად გამოიცა 1930 წელს). სამხრეთ აზიაში აზადის ისლამის განმათავისუფლებელი თეოლოგია შემდგომში განავითარა და პოპულარობა მოუტანა მაულანა ვაჰიდ ალ-დინ ხანმა და ასგარ ალი ენჯინერმა. ორივე მათგანმა ამ თემაზე მრავალი წიგნი გამოაქვეყნა. იხილეთ, მაგალითად, ენჯინერის „ისლამი და განმათავისუფლებელი თეოლოგია“ (ავტორის შენიშვნა).

გულმხურვალე პოლიტიკური აქტივობა. ესაკის მტკიცება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ისლამის არსებითი მიზანი მორწმუნეთა ყოველგვარი ჩაგვრისგან განთავისუფლებაა, არამედ ისიც, რომ სამართლიანობისკენ უწყვეტი და მუდმივად განახლებული სწრაფვა გაათავისუფლებს ყურანს წინა ინტერპრეტაციიდან, რომელიც წმინდა წერილს სხვადასხვა ფორმის ჩაგვრის გასამართლებლად იყენებდა. მისი აზრით, ყურანი განმათავისუფლებელიცაა და განთავისუფლებასაც საჭიროებს. განთავისუფლების დაპირების შესასრულებლად, მუსლიმებმა ჯერ ყურანი უნდა გაათავისუფლონ ფრაგმენტული, შეზღუდული და დამახინჯებული ინტერპრეტაციებისგან, რომლებიც უსამართლობას უმაგრებს ზურგს.

სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის კონტექსტში, ესაკისა და ამ ბრძოლის სხვა მონაწილეების უშუალო მიზანი იყო რასობრივი იერარქიების ჩაგვრისგან გაათავისუფლება და უთანასწორობისა თუ სიღარიბის იმ სისტემების აღმოფხვრა, რომლებსაც რასობრივი იერარქიები განაპირობებდა. დამატებით, ბევრმა მუსლიმმა ქალმა თავის თავზე აიღო გამოწვევა, გამოეაშკარავებინა პატრიარქალური სოციალური სისტემები, როგორც ჩაგვრის გამომწვევი მიზეზი. მრავალთა შორის, ასეთები იყვნენ, მაგალითად, ფატიმა მერნისი, ამინა ვადუდი, ასმა ბარლასი და კეცია ალი. ეს ისლამის ფემინისტი მკვლევრები აღნიშნავენ, თუ როგორ ზღუდავს პატრიარქატი ქალების თანასწორობასა და სულიერებას და ამასთან, როგორ აყენებს საფრთხის ქვეშ მამაკაცის კეთილდღეობას და იწვევს ავტორიტარიზმის სოციალურ კეთროვანებას. მათ უერთდება მამაკაცი მეცნიერების მზარდი ჯგუფი, როგორცაა ხალიდ აბუ ელ ფადლი და ომიდ საფი, რომლებიც მხარს უჭერენ ფემინისტურ კრიტიკას და ხედავენ მის გადამწყვეტ როლს მამაკაცების იმ სოციალური როლებისგან გაათავისუფლებისას, რომლებიც დასაბამს იღებენ უსამართლობისა და აგრესიიდან. ეს აქტივისტ-მეცნიერების გუნდი, ქალებიცა და კაცებიც, ახმოვანებენ ისლამურ განმათავისუფლებელ თეოლოგიას, რომელიც ცდილობს, გაათავისუფლოს მუსლიმი ქალები უთანასწორობისგან და ასევე სურს ყურანის გაათავისუფლება მამაკაცების ინტერპრეტაციებისგან, რომლებმაც ყურანის სულიერების ძალა შეზღუდეს.<sup>7</sup> გეი და ლესბოსელი მუსლიმი თეოლოგები ფორმალური თუ არაფორმალური გზებით უერთდებიან ამ ფართო მოძრაობას, რომელიც ამდენი ფრონტის არსებობით მხოლოდ ძლიერდება. ეს უფრო ფართო მოძრაობა, რომელმაც განმათავისუფლებელი თეოლოგიის ეთიკური ნაპერწკალი და ინტელექტუალური ინსტრუმენტები გაითავისა, ცნობილი გახდა, როგორც პროგრესული მუსლიმების მოძრაობა. ეს სახელწოდება, როგორც ჩანს, პირველად გამოიყენეს სამხრეთ აფრიკაში და შემდგომში გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მცხოვრებ მუსლიმურ საზოგადოებებში<sup>8</sup>. ამ მოძრაობამ გაახმოვანა მუსლიმების მიერ ყურანის ახლებური ინტერპრეტაციის აუცილებლობა, რათა ყურანმა თავდაპირველი თანასწორობისა და განთავისუფლების

<sup>7</sup> Shaikh, "Gender Justice."

<sup>8</sup> მეოცე საუკუნის დასაწყისში სამხრეთ აზიის მუსლიმებს ჰქონდათ მოძრაობა, რომელსაც სახელად „პროგრესულს“ უწოდებდნენ, მაგრამ ის ძირითადად ლიტერატურული და ფილოსოფიური მოძრაობა იყო, რომელიც სეკულარული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობდა და ხაზს უსვამდა მოდერნისტულ ეგზისტენციალიზმსა და სოციალისტურ პოლიტიკას (ავტორის შენიშვნა).

გზავნილი დაიბრუნოს. ასევე ამ მოძრაობამ ამგვარი ინტერპრეტაციის განსახორციელებლად საჭირო ინტელექტუალური ინსტრუმენტები უზრუნველყო. ამით პროგრესული მუსლიმი აქტივისტები და მეცნიერები მიზნად ისახავენ ისლამის ტრადიციის შიგნიდან აღორძინებას. გეი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი მუსლიმი აქტივისტები საკუთარ თავს და მათ მიერ დაფუძნებულ ადვოკატირების ორგანიზაციებს ამ ფართო მოძრაობის ნაწილად მიიჩნევენ<sup>9</sup>. ყურანზე მათი პერსპექტივა ეფუძნება სექსუალური ორიენტაციითა და გენდერული იდენტობით განსაზღვრული უმცირესობის თავისებურ ეგზისტენციალურ გამოცდილებას, მაგრამ იგი მიესადაგებადა ეხმიანება სხვა უმცირესობათა ჯგუფების პერსპექტივებს. თუმცა, რადგან ისინი მუსლიმები არიან, მათი ხმები ეყრდნობა ყურანს და ანგარიშვალდებულია ყურანის იდეალებთან და განცხადებებთან. რა კითხვებს უსვამენ ისინი ყურანს და რა პასუხებს აძლევს ყურანი მათ? როგორ ეწინააღმდეგება მათი მიდგომა ყურანის წინა ინტერპრეტაციებს? როგორ წახალისებს ეს მიდგომა ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც მუსლიმებისთვის, როგორც საზოგადოებისთვის, ყველა ეპოქაში მარადიულ გამოწვევად დარჩება?

## ყურანის ინტერპრეტაციის პრინციპები და ინსტრუმენტები

ტრანსგენდერი, ლესბოსელი და გეი მუსლიმები ამ პროგრესულ მუსლიმთა მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ და მათი კეთილდღეობა პირდაპირ დამოკიდებულია მოძრაობის შედეგზე. ამ ფართო მოძრაობის მიზანია, ისლამური ტრადიციის შიგნიდან აღორძინება. ის მიზნად ისახავს ძველი ტრადიციის ტოტების „გასხვლას“, რომელიც შესაძლოა ოდესღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ახლა გამხმარია და მხოლოდ რელიგიის სახელით უსამართლობის გამართლებას ემსახურება. ისლამის ცოცხალი ხის გასხვლის შემდეგ, ეს ჯგუფები იმედოვნებენ, რომ სულს ხელახლა ჩაბერავენ სასიცოცხლო დინების ნაკადს, რომელიც ახალი ყლორტებისთვის გზას გახსნის და სამომავლო ნაყოფის იმედს ჩასახავს. რა თქმა უნდა, საკმაო რაოდენობის გამხმარი, გასასხლავი ტოტები არსებობს. მუსლიმებმა ყურანის განმარტების მდიდარი, თუმცა რთულად გასაგები ლიტერატურა შექმნეს. ეს ლიტერატურა მძიმე და დატვირთულია ყურანისადმი პატივისცემის გამოხატულების გამო, თუმცა ეს ასევე იმის ნიშანია, თუ რამდენად რთულია ყურანის პირდაპირ მისადაგება სოციალური ორგანიზაციის საკითხებისა და სამართლებრივი წესებისთვის. მაგალითად, მეოთხე ხალიფა იმამ ალი დაუპირისპირდა ხარიჯ მემბოხეებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, მას მოცემულ შემთხვევებში ინტერპრეტაციის გარეშე, პირდაპირ

<sup>9</sup> ეს აქტივისტები მონაწილეობას იღებენ პროგრესული მუსლიმების უფრო ფართო მოძრაობაში, რადგან მათ იდენტობას მრავალი განზომილება აქვს. ისინი მონაწილეობენ არა მხოლოდ როგორც ჰომოსექსუალები ან ტრანსგენდერები, არამედ ასევე ჩართულები ადამიანის უფლებების ადვოკატირებაში, ფემინისტურ პოლიტიკაში, ახალგაზრდების გაძლიერებაში, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების დაცვასა და ოჯახებსა და ქვეყნებს შორის კონფლიქტების არაძალადობრივი გადაწყვეტის ხელშეწყობის პოპულარიზებაში (ავტ. შენ.)

„მიესადაგებინა“ ყურანისეული განაჩენი. შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, იმამ ალიმ შეკრიბა ხალხი, გამოიტანა ყურანის წიგნი და მასთან შეხებისას, წამოიძახა: „ყურანო, ელაპარაკე ხალხს!“ ხალხი ალის გარშემო შემოეხვია: „ო, ალი, დაგვცინი? ეს ხომ მხოლოდ ქაღალდი და მელანია და ჩვენ [ადამიანები] ვსაუბრობთ მისი სახელით.“ ამას ალიმ უპასუხა: „ყურანი ორ ყდას შუა სწორი ხაზებითაა დაწერილი. ის თავისთავად არ ლაპარაკობს. მას სჭირდება შესაბამისი კომენტატორი, კომენტატორები კი ადამიანები არიან.“<sup>10</sup>

იმამ ალი მართალი იყო, როდესაც აჩვენა, რომ ყურანის სახელით ყოველთვის ადამიანები საუბრობენ – ისინი ყურანის სიტყვებს საკუთარი ლოალობებისა და პოლიტიკური პოზიციების მიხედვით განმარტავენ. ეს ნიშნავს, რომ ინტერპრეტაცია ყოველთვის ორაზროვანი და სადავოა. ეს ბუნდოვანება საშუალებას აძლევს გეი, ლესბოსელ და ტრანსგენდერ მუსლიმ აქტივისტებს, გაახმოვანონ ყურანის „სექსუალურობისადმი მგრძნობიარე“ ინტერპრეტაცია, რომელიც ჰომოსექსუალური გამოცდილების მიმართ ყურადღებას გამოიჩენს და ხელს შეუწყობს ამ ჯგუფების არსებობას მუსლიმებს შორის. ისინი ამტკიცებენ, რომ მოციქულმა ლუტმა დაგმო ერთსა და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის გაუპატიურება და დაუცველთა მიმართ სექსუალური სახის ძალადობა. ისინი ამბობენ, რომ სოდომსა და გომორაში კაცებმა ლუტის სტუმრების მიმართ სექსუალურად იძალადეს არა ვნებით გაუმადლობის გამო, არამედ იმისთვის, რომ უარეყოთ ლუტის მოციქულბრივი მისია, მისთვის სტუმრებისა და უცნობების სტუმართმოყვარეობით გამასპინძლების უფლებამოსილება და ღირსება აეყარათ. ეს თავი მოგვიანებით წმინდა წერილების ამგვარი ალტერნატიული ინტერპრეტაციის დეტალებს ჩაუღრმავდება და აჩვენებს, რომ ეს არის წმინდა ტექსტის უფრო პირდაპირი და კონტექსტზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია, ვიდრე მისი პატრიარქალური და ჰომოფობიური ცრურწმენით ინფორმირებული განმარტება.<sup>11</sup>

ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მუსლიმები ყურანს წინააღმდეგობის გაწევისა და განახლების ორმაგი სტრატეგიით უდგებიან. ისინი ეწინააღმდეგებიან წინა ინტერპრეტაციებს, მაგრამ ახალი ინტერპრეტაციის სახელით ადვოკატირებენ, რომელიც, მათი რწმენით, უკეთესია – მეტად ზუსტი, უფრო მახვილი ან უფრო ეთიკურია – ვიდრე წინა ინტერპრეტაციები. წინააღმდეგობის გაწევისას ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოციქულ ლუტის ამბის ძველ ინტერპრეტაციებზე. ეს არის ამბავი, რომელიც, ბევრის მტკიცებით, ჰომოსექსუალობას გმობს. ისინი ასევე კითხვებს უსვამენ სხვა აიებს, რომლებიც მოგვითხრობს კონკრეტულად ქალების ტრანსგრესიებზე, რომლებიც, რამდენიმე კომენტატორის მტკიცებით, გმობს ლესბოსურ ქმედებებს. განახლებაზე საუბრისას ტრანსგენდერი, ლესბოსელი და გეი მუსლიმები ყურადღებას ამახვილებენ იმ აიებზე, რომლებიც ღვთის გზავნილში ამ ჯგუფების ყოფნას ადასტურებს და ხაზს უსვამენ იმ მომენტებს, როდესაც ყურანს ქმნილებების ნაირგვარობა და ადამიანთა საზოგადოებებში მრავალფეროვნება მნიშვნელოვან ღირებულებად მიაჩნია, როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად მედინაში მოციქული მუჰამედის საზოგადოებაზე მსჯელობისას. განახლებასა

<sup>10</sup> Abou El Fadl, *Speaking in God's Name*, p. 24.

<sup>11</sup> Kugle, "Sexuality, Diversity and Ethics."

და წინააღმდეგობასთან ერთად, ისინი აფასებენ იმ ფაქტს, რომ ისტორიული პირობების ცვლილება ყურანის მნიშვნელობის გაგების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ეს მნიშვნელობა ყურანში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დამალული იყო წინა ისტორიული პირობებით შეზღუდვის გამო. წინა ინტერპრეტაციები შეზღუდულია ადამიანთა კონცეპტუალური და პოლიტიკური ლოიალობებით, რომლებსაც ინტერპრეტაციისას ისევე ახასიათებდათ სისუსტე და ცდომილებები, როგორც ჩვენ გვახასიათებს.

ვიდრე ყურანის კონკრეტული აიების განმარტებას მივუბრუნდებით, აუცილებელია განვიხილოთ ინტერპრეტაციის პრინციპები და ინსტრუმენტები. ყურანის სიტყვების სიღრმეში ჩასვლამდე, მნიშვნელოვანია, ეს ინსტრუმენტები ნათლად გამოვკვეთოთ, რადგან ბევრი ისლამური ავტორიტეტი „ჩვეულებრივ მუსლიმებს“ საერთოდ უკრძალავს ინტერპრეტაციის პროცესში ჩართვას, განსაკუთრებით მათ, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების მიჯნიდან საუბრობენ (მაგალითად, ქალები, ახალგაზრდები, ღარიბები ან სექსუალური და გენდერული უმცირესობები). თუმცა თუ ვინმე შეკრებს, ეგრეთ წოდებული, მარგინალური ხალხის რაოდენობას, აღმოაჩენს, რომ ისინი შეადგენენ მუსლიმთა დიდ უმრავლესობას. ასე რომ, მუსლიმების უმრავლესობას არ გააჩნია ყურანის ინტერპრეტაციის ინსტრუმენტები, მათ უარს ეუბნებიან იმ უფლებაზე, რომ მათ უშუალოდ და პირადად ჰქონდეთ ყურანთან შეხება. რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციაში ჩართვისთვის საჭიროა გარკვეული დონის ცოდნა. მაგრამ ასეთი ცოდნის მქონე პირებმა კონსულტაციები უნდა გაუწიონ სხვებს, ვისაც თავიანთი გამოცდილებები ყურანთან და ყურანის მეშვეობით საუბრის საშუალებას მისცემდა, თუნდაც ამ პირებს არ ჰქონდეთ არაბულისა და ისლამური მეცნიერებების საკმარისი დონის ფორმალური ცოდნა, რომ სრულად დაეუფლონ ინტერპრეტაციულ ხელოვნებას<sup>12</sup>. საზოგადოებები, რომლებიც ზღუდავს რელიგიური ცოდნისკენ სწრაფვას და თრგუნავს აზრის სულიერი ძიების პროცესს, ღალატობს ყურანის გზავნილის მნიშვნელოვან არსებით ნაწილს. ჩვენთვის, როგორც მუსლიმებისთვის, ჩვენი ინტერპრეტაცია უფრო მდიდარი იქნება, თუ უფრო მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე ხმები დასვათ კითხვებს ყურანის გარშემო.

სექსუალობისადმი მგრძნობიარე ინტერპრეტაცია ყურანის სიტყვებისა და გზავნილის იმგვარ გაგებას მოიაზრებს, რომელიც ითვალისწინებს სექსუალობისა და სექსუალურ ორიენტაციისრეალობას ყურანის მკითხველებსა და მიმდევრებს შორის. სექსუალობისადმი მგრძნობიარე ინტერპრეტაცია ცალსახად არაპატრიარქალური უნდა იყოს. ის არ უნდა

---

<sup>12</sup> სამწუხაროდ, კონსულტაციები ნაკლებად ტარდება ისლამურ საზოგადოებებში, სადაც ელიტები ეფექტურად კრძალავენ ცოდნას მუსლიმებისთვის, რომლებიც არ არიან მამაკაცები და ჰეტეროსექსუალები. ისინი კრძალავენ იმ სახის ცოდნას, რაც აუცილებელია ინტერპრეტაციის პროცესში. პატრიარქალური ავტორიტეტები ამპარტავნულად ანიჭებენ საკუთარ თავს ერთპიროვნულ ხმას "ილაპარაკონ ღვთის სახელით." ყურანი არ აძლევს უფლებას იმ ძალაუფლებრივი დინამიკის არსებობას, რომელიც შექმნის სასულიერო კლასს. პირიქით, ყველა მორწმუნეს აქვებს, დასვან კითხვები, გამოიკვლიონ, ეძიონ ღმერთის ქადაგება „ცისკიდურებზე და მათ სულებში“ (ყურანი 41:53, ლოზჟანიძე 305). ის მოუწოდებს ყველა მუსლიმს – მამაკაცსა და ქალს, ელიტასა და უბრალო ხალხს, მდიდარსა და ღარიბს, არაბსა და სხვებს – ეძიონ ცოდნა, იკითხონ, იფიქრონ და გააკეთონ ინტერპრეტაცია (ავტორის შენიშვნა).

აწესებდეს მამაკაცის უზენაესობის პატრიარქალურ ფასეულობებს. მან არ უნდა ივარაუდოს, რომ ყურანის ყველა მკითხველი ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონეარის (ან უნდა იყოს). მან უნდა აირიდოს ადამიანის ბუნების შესახებ ყავლგასული იდეების თავს მოხვევა (როგორებიცაა შუა საუკუნეების მუსლიმური წარმოდგენები ფილოსოფიაზე, მედიცინაზე ან ფსიქოლოგიაზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ელინისტური ნორმებიდანაა გადმოდებული და დიდი ხანია, დამტკიცებულია მათი პრიმიტიულობა და არამეცნიერულობა). ამ თვალსაზრისით, ყურანის სექსუალობისადმი მგრძნობიარე ინტერპრეტაციამ უნდა შეავსოს წმინდა წერილის გენდერის მიმართ მგრძნობიარე ინტერპრეტაცია (რომელსაც ფემინისტი ისლამის მეცნიერები, ქალებიცა და მამაკაცებიც, უძღვნიან თავს), ასევე კლასობრივად და რასობრივად მგრძნობიარე ინტერპრეტაციები.

ინტერპრეტაციის ასეთი პროგრესული მიდგომები ეფუძნება შვიდ პრინციპს: (1) ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებას, რადგან მათ სული ღმერთმა შთაბერა;<sup>13</sup> (2) სიცოცხლის სიწმინდეს, რადგან ის აღიარებს ყველა ადამიანის შესაძლებლობას, ამ ქვეყნად მიჰყვეს კეთილდღეობის უმაღლეს სულიერ მისწრაფებებს და იმ ქვეყნად მიაღწიოს ხსნას; (3) პლურალიზმის ეთიკას, რადგან ღმერთი მრავალფეროვნებას ქმნის იმ ეთიკური გამოწვევის გამო, რათა შევიცნოთ უცხო, ვიზრუნოთ სხვებზე და გავუგოთ სხვებს და ეს პროცესი დაგვეხმარებასაკუთარი თავის სრულად შეცნობის გზაზე; (4) წესრიგი სამართლიანობის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული და რადგანაც ღვთის გზავნილი მარადიული, მაგრამ რთულად შესაცნობია, პრინციპების დაწესება და მათი მოქნილი გამოყენება მუდმივად ცვალებად სოციალურ გარემოებებშია საჭირო<sup>14</sup>; (5) ღმერთის სიტყვა მნიშვნელოვანია და ინტერპრეტაცია ყველა მუსლიმის უფლება და ვალდებულებაა, რომ მათ გამოარკვიონ, თუ რას გულისხმობს ღმერთი წმინდა წერილის სიტყვებში, მათ მიღმა და მათი მეშვეობით (ენობრივი საზღვრებისა და სიტყვების გრამატიკული შეზღუდვების ფარგლებში)<sup>15</sup>; (6) რწმენა შეავსებს გონივრულობას, ამიტომ ყურანი უნდა გავიაზროთ ადამიანის ბუნების

<sup>13</sup> ჰუმანურობასა (*adamiyya*) და მორალურ-სამართლებრივ სიწმინდეზე (*'isma*) იხილეთ Recep Senturk, “I Am Therefore I Have Rights’.”

<sup>14</sup> ყურანი კაცობრიობას აწვდის მითითებებს, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ჩვენივე ღვთისგან ბოძებული არჩევანით (გონებით, გამოცდილებითა და სულიერი გამჭრიახობით) და იმ გზებით, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლიანობის მიღწევას ყველასთვის. ღვთის სიბრძნის გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ ყურანი თავზე არ გვახვევს სამართლებრივ წესრიგს და ამის მაგივრად ეთიკურ პრინციპებს აწესებს. ის ჩვენ გვიტოვებს მორალური დაბრკოლებების გადაწყვეტის საშუალებებს ყურანის ინტერპრეტაციისა და მისი პრინციპების გამოყენების გზებით. ყურანის პრინციპების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა უნდა იცვლებოდეს გარემოებების ცვლილებასთან ერთად, თუ მიზანი სამართლიანობის მიღწევაა (ავტორის შენიშვნა).

<sup>15</sup> მუსლიმებს სჯერათ, რომ ყურანი არის ღმერთის ქადაგება, გადმოცემული შუამავალ მუჰამედის მეშვეობით და მუსლიმთა თაობების მიერ წარმატებით შენარჩუნებული (რომლებმაც დაიმახსოვრეს იგი, ჩაიწერეს და მისი მნიშვნელობაზე ერთმანეთთან თავიდანვე კამათობდნენ). მისი ფორმა არაბული მეტყველებითაა გადმოცემული, მაგრამ მისი მნიშვნელობა არაბულის საზღვრებს სცდება და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა ენის მოლაპარაკებებისთვის. არ არსებობს ყურანის „სიტყვა-სიტყვით“ წაკითხვა, რომელიც ინტერპრეტაცია არ იქნება. ნებისმიერი წაკითხვა მოიცავს მკითხველის პირად ვარაუდებს, მიკერძოებულ აზრებს და გამოცდილებას, რაც საშუალებას იძლევა, მაგრამ ასევე ფარგლებში აქცევს ადამიანის მიერ ყურანის გაგებას (ავტ. შენ.).

შესახებ დაკვირვებადი გამოცდილებების, მეცნიერული კვლევისა და არგუმენტირებული მსჯელობის ფონზე; (7) სიყვარული წარმოადგენს მიზანს, და მართალია, ყურანი მოგვიწოდებს ავაშენოთ წესებსა და კანონებზე დამყარებული მორალური წესრიგის მქონე საზოგადოებები, მაგრამ ამ ბრძანების უკან უფრო საფუძვლიანი მიზანი იმალება, რომ ხელი შეუწყოს წრფელ სიყვარულს თითოეულ ადამიანსა და ღმერთს შორის, მორწმუნე საზოგადოების ინდივიდებს შორის, ყველა ოჯახის წევრს შორის და სექსუალურ პარტნიორებს შორის<sup>16</sup>.

ყურანის ინტერპრეტაციისას ამ შვიდი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მაგრამ ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს კონკრეტული ინსტრუმენტებით. ბევრი ეს ინსტრუმენტი განსაზღვრეს ადრეულმა მუსლიმმა მკვლევარებმა, რომლებიც ინტერპრეტაციით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო თარგმნის ინსტრუმენტებს ნაწილი თანამედროვე მუსლიმმა მოაზროვნეებმა მიუმატეს.<sup>17</sup> ეს ინსტრუმენტები მოიცავს: (1) ენობრივი სიზუსტისკენ სწრაფვას, რომ ყურანის ყველა ინტერპრეტაცია არაბულის გრამატიკულ კონვენციებში იყოს შესაძლებელი და მათ ავთენტური მნიშვნელობით მოერგოს<sup>18</sup>; (2) ყურანის უპირატესობის დაცვას – უნდა გამოიყენებოდეს ყურანისეული ენა, მისეული თხრობა და მისეული პრინციპები – და კვლავ არ უნდა დავეყრდნოთ კულტურულ ცრურწმენებს, ისლამის გაჩენამდე არსებულ ნიმუშებს და ყურანთან კავშირში მყოფ სხვა წმინდა წერილების ტრადიციებს; (3) ყურანის ერთიანობის გააზრებას, რომ ყურანის ინტერპრეტაცია არ შემოიფარგლოს სიტყვა-სიტყვით თარგმანით, ფრაზებსა და ბწყარედებზე დაწვრილმანებით, არამედ უნდა გაიბას კავშირები მთლიანი ყურანის სხვა ნაწილებში ამ ტერმინებისა თუ იდეების გამოყენების შინაარსთან<sup>19</sup>; (4) ყურანის კონტექსტის დაზუსტებას, რადგან, იმის მიუხედავად, რომ წმინდა წერილი მარადიულად აქტუალურია, კონტექსტმა, რომელშიც ყურანი გამოცხადდა, ჩამოაყალიბა ის ენა და ფორმა, რომლითაც მისი გზავნილია გამოხატული<sup>20</sup>; (5) ფოკუსირება პრინციპებზე, რადგან ეთიკური პრინციპები ყურანის

---

<sup>16</sup> თუ ყურანის ჩვენეული ინტერპრეტაცია სამართლებრივი დეტალებით იქნება შეპყრობილი და მხოლოდ ფიკჰის შესახებ დისკუსიებზე დაიყვანება, ჩვენ დავკარგავთ ყურანის უმაღლესი მიზნების ხედვას, განსაკუთრებით მის მიზანს, ხელი შეუწყოს საზოგადოების ყველა დონეზე მოსიყვარულე და ჰარმონიულ ურთიერთობებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფიკჰი უგულვებელყოფთ, მაგრამ ის მოითხოვს სამართლიანობის მოთხოვნებთან წესების თანხმობაში მოყვანას და სიყვარულით შთაგონებასთან მათ ბალანსს (ავტ. შენ.).

<sup>17</sup> Esack, *The Qur'an*, გვთავაზობს *ყურანის განმარტების* მიმოხილვას.

<sup>18</sup> ეს პუნქტი აგრძელებს ზაჰირიტული სამართლებრივი სკოლის შეხედულებებს, რომელიც დაფუძნებულია მაქსიმალურად, რომ „ყველაფერი დასაშვებია, თუ ცალსახად და აშკარად აკრძალული არ არის“ (ავტორის შენიშვნა).

<sup>19</sup> კლასიკური ხანიდან მოყოლებული ყურანის განმარტებების ლიტერატურა თანმიმდევრულად არ ადასტურებდა ყურანის მთლიანობასა და ერთიანობას. თანამედროვე მუსლიმი ინტერპრეტატორები ამ ინსტრუმენტს გვთავაზობენ, რომ შევავსოთ და შევასწოროთ დეტალები იმ ინტერპრეტაციის ტრადიციისა, რაც ჩვენ შემკვიდრეობით მივიღეთ (ავტ. შენ.).

<sup>20</sup> მუსლიმი თარჯიმნები ყოველთვის სვამდნენ კითხვას, თუ როგორი გავლენა აქვს მნიშვნელობაზე გამოცხადების კონტექსტებს, აიას გამოცხადება მექაში მოხდა თუ მედინაში (ძალიან განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებში), გამოცხადდა თუ არა ის კონკრეტული პიროვნების ან

წინამძღოლობის ბირთვს წარმოადგენს, ხოლო ყურანის გზავნილის ენიდან ეს პრინციპები ინტერპრეტაციის წყალობით გამოაშკარავდება; (6) წესების დაწესებისას თავშეკავებას, სანამ ადამიანი ბოლომდე არ გამოიკვლევს, შეესაბამება თუ არა ეს წესი ყურანის ზოგად პრინციპებს; (7) მორალური ოპტიმიზმის გათავისებას, რადგან ყურანის ჩვენეულ გაგებას მხოლოდ ინტერპრეტაციის ტექნიკური ინსტრუმენტები არ განაპირობებს (მაგ. გრამატიკა, ლინგვისტიკა, არაბული პოეზია, ადრეული ისლამური საზოგადოების ისტორია და სხვა წმინდა წერილებთან მისი შედარება), არამედ ის ასევე ყალიბდება ცხოვრების მიმართ ჩვენი დამოკიდებულებით. როგორ განმარტავს ადამიანი ყურანს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ის ადამიანის ბუნებას, რა როლს ანიჭებს ადამიანურ ურთიერთობებში სექსუალურ აქტივობას, რა ღირებულებას ანიჭებს გენდერულ განსხვავებას და როგორ ესმის საზოგადოებაში პოლიტიკური ავტორიტეტის ფუნქციის მნიშვნელობა<sup>21</sup>.

ეს შვიდი ინსტრუმენტი ცხადყოფს, თუ სინამდვილეში რამდენად რთულია წმინდა წერილის ინტერპრეტაციის ამოცანა. წმინდა წერილის ინტერპრეტაციისთვის ამგვარი ენობრივი, რაციონალური და ეთიკური ინსტრუმენტების გამოიყენებისა და ზემოთ მოცემული შვიდი პრინციპით ხელმძღვანელობისას,, მორწმუნეებს შეუძლიათ დაიწყონ ინტერპრეტაცია. თუმცა, პროცესი ყოველთვის მოიცავს კამათსა და დავას. ეს არის განგრძობითი პროცესი, რომელიც არასოდესაა პოლემიკისაგან დაცლილი და თავისუფალი. მიუხედავად იმისა, რომ, გასაგები მიზეზების გამო, მორწმუნეებს სიზუსტე სწყურიათ, ინტერპრეტაციას თანდაყოლილი ბუნდოვანება რეალურად დადებით როლს თამაშობს – გვაიძულებს, ვიყოთ ერთდროულად უშიშრებიც და თავმდაბლებიც ყველაზე ყოვლისმომცველი და სამართლიანი ინტერპრეტაციის მუდმივ ძიებაში.

ისლამურ ტრადიციაში ყურანის ინტერპრეტაცია იჯთიჰადის<sup>22</sup>, გააზრებისთვის ბრძოლის, ერთ-ერთი ასპექტია. ეს არის ძალისხმევა, რომ პირმა მიმართოს თავისი მთლიანი რესურსები

---

კრიზისის მისამართით, თუ გამოვლინდა იმისთვის, რომ კონკრეტული აუდიტორიისთვის მიემართა. კონკრეტული აია ენას მეტაფორული გზით იყენებს თუ პირდაპირი მნიშვნელობით? ბოლოს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განზრახულია თუ არა, აია სამართლებრივად იყოს გამოყენებული? თუ ეს ასეა, იძლევა თუ არა ბრძანების ფორმულირება გაურკვევლობის სივრცეს, მოითხოვს თუ არა პირობითობას, ან აწესებს თუ არა შეზღუდვებს? ტრადიციული ისლამური ინტერპრეტაციის ასეთ ინსტრუმენტებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში იდეოლოგმა ინტერპრეტატორებმა ხანდახან მიატოვეს ან შეასუსტეს მათი გამოყენება (ავტ.შენ.).

<sup>21</sup> ყურანი მოგვიწოდებს, მივიღოთ სამყარო მთელი თავისი დამაბნეველი მრავალფეროვნებით. დავინახოთ მრავალფეროვნება როგორც საშუალება, რომლის მეშვეობითაც ღმერთი უფრო მეტად გვაიძულებს ვიცხოვროთ უმაღლესი ეთიკური პრინციპების შესაბამისად და არ მივიღოთ ნეგატიური, პესიმისტური და სამყაროს უარყოფელი პოზიცია, რომელიც სამყაროს მხოლოდ გამოცდებისა და განსაცდელების ადგილად აღიქვამს. პესიმისტური დამოკიდებულება ხშირად აიგივებს სამყაროს (როგორც განსაცდელების ადგილს) ქალებთან (როგორც ცდუნების განსახიერებებს) და სექსთან (როგორც მორალის დამაბინძურებელ საფრთხეს), რითაც მხარს უჭერს პატრიარქალურ რწმენებს, მიზოგინიურ მტკიცებებსა და ავტორიტარულ პოლიტიკას (ავტორის შენიშვნა).

<sup>22</sup> اجتهاد /iġtihād/ – იჯთიჰადი კომპეტენტური ფაკიჰის უნარი და უფლება, გამოიტანოს საკუთარი გადაწყვეტილება რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე ფიკჰის მეთოდებით, ყურანისა და სუნას საფუძველზე.

– სულიერი, ინტელექტუალური, ლიტერატურული და პოლიტიკური – რწმენის საკითხის გასაგებად. ამ ტერმინს საერთო ენობრივი ფესვები აქვს არაბულ სიტყვა ჯიჰადთან, რომელიც ნიშნავს „ბრძოლას“, სიტყვის უფრო ცალსახა ფიზიკური გაგებით, მორალური რწმენით, სამართლებრივი ძალდატანებით ან ფიზიკური იძულებით. ეს ორი სახის ბრძოლა ერთმანეთთან უდავოდ დაკავშირებულია. ძალაუფლების დამცველები ყველაზე ხშირად მათ ეწინააღმდეგებიან, ვინც ცდილობს იჯთიჰადის პროცესში ჩართვას (ვინც იბრძვის, ჩაწვდეს რელიგიის არსს, რისი მემკვიდრეობითაც ღმერთს თავს უძღვნის სრული გულწრფელობითა და სუფთა სინდისით). ამ უკანასკნელთ ხშირად ემუქრებათ ძალადობა ან ძალადობით დაშინება, ესე იგი, როგორც ფაქტობრივი, ისე სიმბოლური ძალადობა.

ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მუსლიმებისთვის ბრძოლა არაძალადობრივი უნდა იყოს მაშინაც კი, როცა ისინი ძალადობის ან ძალადობის მუქარის წინაშე იმყოფებიან. ეს იმიტომ, რომ მათ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ოჯახებთან და უშუალოდ საკუთარ საზოგადოებასთან უწევთ. ერთადერთი სტრატეგია, რამაც შეიძლება იმუშავოს, სხვების დარწმუნებაა და არა იძულება. მაშინაც კი, თუ საკუთარი ოჯახები და საზოგადოებები მათ ჩაგრავენ ან მათზე ძალადობენ. ასევე, ყურანი მორწმუნეებს სიტყვებით და არა მუშტებით ბრძოლისკენ მოუწოდებს, როცა ამბობს: „*მოუწოდე მათ შენი უფლის გზისაკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით და ეკამათე იმით, რაც საუკეთესოა*“ (ყურანი 16:125, ლობჟანიძე 217). მაგრამ სანამ ისინი საზოგადოებასთან ან ოჯახთან ბრძოლას დაიწყებენ, ტრანსგენდერი, ლესბოსელი და გეი მუსლიმები საკუთარ თავს ებრძვიან და უპირისპირდებიან იმ შიშის წყალობით, რომელიც მათ აღზრდისას გაითავისეს. შიშმა, თუ ის ფსიქიკაში ღრმადაა ფესვგადგმული, შეიძლება საკუთარი თავის სიძულვილი და თვითდაზიანებითი ქცევა გამოიწვიოს. ხშირად საპასუხო მუშტზე უფრო მტკიცე წინააღმდეგობის ფორმა ისაა, არ მისცე საშუალება მჩაგვრელს შენს შინაგან ცხოვრებაზე ჰქონდეს გავლენა.

სწორედ ასეთ არაძალადობრივ სტრატეგიას წარმოადგენს გეი, ტრანსგენდერ და ლესბოსელ მუსლიმთა მცდელობა, აჩვენონ ყურანის საკუთარი ინტერპრეტაციის, როგორც უფრო სრულყოფილი და უკეთესი განმარტების, უპირატესობა. ეს სტრატეგია მჩაგვრელებს არ აძლევს საშუალებას, გააჩუმოს ან დააჯინოს ეს ჯგუფები. ეს სტრატეგია საშუალებას აძლევს ამ ადამიანებს, გარიყვასა და ძალადობაზე მაღლა დადგნენ და აჩვენონ, რომ ორივე მხარე იზიარებს ფუნდამენტურ ღირებულებებს. ამ გზით ლესბოსელ, გეი და ტრანსგენდერ მუსლიმებს შეუძლიათ მათი ადამიანობისა და ღირებულების სიმბოლური დადასტურებისთვის ყურანს მიუბრუნდნენ. ყურანის აიების მოხმობით ისინი ღმერთს შესთხოვენ, მისცეს მათ შინაგანი ძალა და სიმტკიცე, რათა წინ აღუდგნენ ბრძოლას, რომელიც მათ შინაგან ქართვეილებსა და გარეგან ჭიდილს მოიცავს და აერთიანებს ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ასპექტებს. რადგან უკვე გამოვყავით ინტერპრეტაციის პრინციპები და ინსტრუმენტები და ვაჩვენეთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობის საკითხი დევს სასწორზე, შეგვიძლია იმ გეი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი მუსლიმებისათვის საყურადღებო კონკრეტული აიების გარჩევას შევუდგეთ.

## მრავალფეროვნება და სექსუალობა

ყურანის გადასახედიდან, მრავალფეროვნება ღვთის შექმნილი არსებების ბუნების დამახასიათებელი დადებითი მნიშვნელობის მქონე რეალობაა. კოსმოსის, კაცობრიობისა და სოციალური ჯგუფების მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება ღვთის შემოქმედებითი ნების განუყოფელი ნაწილია. მრავალფეროვნება ჩვენი მორალური სისტემებისთვის ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს. მუსლიმმა ფემინისტებმა გამოიკვლიეს გენდერის ყურანისეული აღწერილობა, როგორცაა, მაგალითად, შემდეგი აია: „*ო კაცნო, გეშინოდეთ თქვენი უფლისა, რომელმაც შექმნათ თქვენი ერთი სულისაგან შექმნა მის მსგავსი ბუნებისგან მისი მეწყვილე და მიმოფანტა იმ ორისაგან კაცი მრავალი და ქალი*“ (ყურანი 4:1; ლობჟანიძე, 135). ქალის შექმნა არ იყო შეცდომა, არც მორალური სტანდარტის დავარდნა და არც სრულყოფილი მამაკაცის დეფექტური ასლის შექმნა (როგორც მოგვიანებით ისლამში დაშიფრული შარიათის პატრიარქალურმა ინტერპრეტაციებმა ივარაუდა).<sup>23</sup> გენდერის მრავალფეროვნება მჭიდროდ უკავშირდება სხვადასხვა ტომში, სექტაში, ერსა და ცივილიზაციაში ადამიანთა საზოგადოებების მრავალფეროვნებას: „*ო, ხალხო, ჭეშმარიტად, ჩვენ შეგქმენით თქვენ მამრისა და მდედრისაგან და გაქციეთ ერებად და ტომებად, რათა შეიცნოთ ერთმანეთი. თქვენგან ყველაზე უფრო პატივდებული ალაჰის წინაშე, თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია*“ (ყურანი 49:13, ლობჟანიძე 321). ერთი ღმერთის მიერ განსხვავებული და ერთი შეხედვით, ურთიერთდაპირისპირებული ადამიანის სახეობების შექმნის უკან მაღალზნეობრივი მიზანი დგას: ის გვაიძულებს, თავი შევიკავოთ ჩვენი ეგოისტური ქედმაღლობისგან, ის მოგვიწოდებს სხვების მიმართ თანაგრძნობის ეთიკის პრაქტიკისკენ, დაუცველების დაცვისკენ თავიანთ სოციალურად განპირობებული განსხვავების პირობებში და ამის მეშვეობით ღმერთის არსებობის გაცნობიერებისკენ. „*და რომ ენებებინა ალაჰს, აქცევდა მათ ერთიან თემად; მაგრამ შეიყვანს იგი იმას, ვისაც ინებებს, თავის წყალობაში. უსამართლოებს კი... არა ჰყავთ მათ არც მეოხი და არც შემწე*“ (ყურანი 42:8, ლობჟანიძე 306).

ჩვენი, ადამიანთა მრავალფეროვნება ხშირად ხდება გარიყულობისა და ძალადობის მიზეზი, მაგრამ რეალურად ღმერთისთვის ეს არის საშუალება, გამოწვევის წინაშე დაგვაყენოს, რათა სამართლიანობის მოთხოვნების შესაბამისად გადავლახოთ ინდივიდუალური ეგოიზმითა და საზოგადოებრივი შოვინიზმით გამოწვეული შეზღუდვები. უზარმაზარი მრავალფეროვნება გვაყენებს გამოგნებელი განსხვავებების პირისპირ. განსხვავებების არსებობა ხშირად გვიბიძგებს, გავრიყოთ სხვები, რადგან ამით მტკიცე საზოგადოების შენების იმედი გვაქვს ან ძალაუფლებრივი იერარქიები შევქმნათ გარკვეული სახის მორალური წესრიგის დასამყარებლად. თუმცა, ყურანი გვაფრთხილებს, არ გავცდეთ საზღვრებს და სხვები არ გავრიყოთ. ის შეგვახსენებს, რომ თითოეული სიცოცხლე შეუცვლელია: „*ამის გამო დაუწერეთ ისრაელის ძეთ, რომ ის, ვინც მოკლავს სულს, არა სულისა წილ, ანდა*

<sup>23</sup> Wadud, *Qur'an and Woman*, pp. 23–29, და Barlas, *Believing Women*, pp. 133–139.

უწმინდურებისათვის ქვეყანაზე, თითქოს ამოეხოვოს ხალხი ერთიანად, ხოლო ვინც აცოცხლებს მას, თითქოს, ეცოცხლებინოს მთელი ხალხი“ (ყურანი 5:32, ლოზანიძე 149). ყველა ადამიანი, ამკარა და რეალური განსხვავებების მიუხედავად, უფრო დიდი მთლიანობის ნაწილია. საკუთარი ღირსების მისაღწევად თითოეული მათგანის ღირსების დაცვა მნიშვნელოვანია და თითოეული მათგანის უფლებების დაცვა აუცილებელია ჩვენი საკუთარი სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანთა საზოგადოებების მრავალფეროვნება არა მხოლოდ გარეგნულად არის გამოხატული, არამედ ენის უფრო დახვეწილ ელფერებასა და რწმენის გრადაციებშიც არსებობს. ყურანი ამბობს, „მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ შექმნა ცანი და ქვეყანა და განასხვავა თქვენი ენები და ფერები. ამაში, ჭეშმარიტად, სასწაულებია სამყარო(ელ)თათვის“ (ყურანი 30:22, ლოზანიძე 272). ყურანის ტერმინი „ფერი“, არაბულში მეტაფორების სიმდიდრის წყალობით, შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ ხილულ ფერებს, არამედ სხვა შეგრძნებებს, როგორებიცაა საკვების ან სხვადასხვა კერძის „გემო“ ან არომატი<sup>24</sup>. ჩვენს, ესე იგი, ადამიანებს შორის მრავალფეროვნება ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე კანის ფერი ან ერთი შეხედვით შესამჩნევი გარეგნული მახასიათებლებია.. მრავალფეროვნება ჩვენი პიროვნების შინაგან ფუნდამენტზეც ვრცელდება, რომელიც ენას, ცნებებს, რწმენასა და გამოცდილებებს მოიცავს. ადამიანთა მრავალფეროვნების ეპისტემოლოგიურ<sup>25</sup> და ეთიკურ დონეზე ასეთი რადიკალურად დადებითი შეფასების გათვალისწინებით, შეიძლება სამართლიანად დავინტერესდეთ, ეხება თუ არა ყურანი ასევე სექსუალობის მრავალფეროვნებას.

რას ვგულისხმობთ სექსუალობაში? ადამიანის ღრმა პიროვნულ ფუნდამენტში ინახება ჩვენი სექსუალობის არსი, რომელიც ბევრად უფრო ფაქიზი და ყოვლისმომცველია, ვიდრე მხოლოდ სექსუალური აქტები. სექსუალობაში ვგულისხმობთ ერთგვარ თვითშეგრძნებას, რომელიც მხოლოდ სექსუალური ვნების მსგავს სურვილზე არ დაიყვანება, არამედ ეს ისეთი სახის ლტოლვაა, რომელიც იწვევს ემოციურ კმაყოფილებას, ჩვენში იწვევს სიხარულის ნაპერწკალს და სხვა ადამიანთან შეხვედრის გზით გვიბიძგებს ეგზისტენციალური სრულყოფილებისკენ, რომელიც აერთიანებს სხეულს, სამშვენელსა და სულს. სექსუალური აქტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სხვა ადამიანის „დაგემოვნების“ საშუალებაა არა მხოლოდ სხეულებრივი შეგრძნებების გამო, არამედ იმ კუთხითაც, რომ ის გვეხმარება, ჩავწვდეთ სხვა ადამიანის პიროვნებას. ისევე როგორც საკვების გასინჯვისას, ადამიანი სხვა ინდივიდის პიროვნებას ჩაწვდება სხვასთან საკუთარი სხეულის შერწყმით. ეს პროცესი აქრობს საზღვრებს საკუთარ თავსა და სხვას შორის ჰარმონიული მოძრაობის, ინტენსიური ინტიმური ურთიერთობისა და

---

<sup>24</sup> ყურანი იყენებს ტერმინს „ფერები“ მცენარეების იმ მრავალფეროვნებაზე საუბრისას, რაც დედამიწაზე იზრდება (ყურანი 16:13), სასურსათო კულტურებზე (ყურანი 39:21), ხილსა და ნიადაგებზე (ყურანი 35:27), მრავალფეროვანი ელფერისა და სამკურნალო თაფლის გემოებზე (ყურანი 16:69) ლაპარაკისას, ისევე როგორც კაცობრიობის მრავალფეროვანი ბუნების, მხეცებისა და საქონელის (ყურანი 35:28) აღსაწერად (ავტორის შენიშვნა).

<sup>25</sup> ეპისტემოლოგია არის მეტაფიზიკური ფილოსოფიის განხრა, რომელიც ცოდნის სფეროს შეისწავლის. ის ინტერესდება, თუ როგორ იქმნება ცოდნა. ეპისტემოლოგია შეისწავლის ცოდნის ბუნებას, წარმოშობას, ფარგლებს, რწმენის რაციონალურობას და ა.შ. (მთარგმნ. შენიშვნა).

ექსტაზური აღტაცების მეშვეობით. ამიტომაც აქვთ სექსუალურ აქტებს ამხელა ძლევამოსილება. ამიტომაც არის, რომ სექსუალობა თითოეული ინდივიდის პიროვნების ინტიმური ნაწილი და თითოეული ადამიანის განუყოფელი კომპონენტია სილამაზის, მშვენიერების დაფასების ან ძლიერი ემოციებისგან თავშეკავების დროს.

სექსუალობას მრავალი კომპონენტი აქვს, რაც განაპირობებს ყოველ ინდივიდში მის უნიკალურ გამოვლინებას. ეს კომპონენტები მოიცავს სექსუალური ლტოლვის სიძლიერეს, სექსუალური კონტაქტის სიხშირესა და გრადაციებს, რომლებიც შეიძლება მერყეობდეს აგრესიულად ვნებიანი სტილიდან ფაქიზ, ნაზ მეთოდებამდე და ასევე მოიცავდეს საპასუხო რეაგირების ინტენსივობის ნაირგვარობას. სექსუალობის განუყოფელი კომპონენტია სექსუალური ორიენტაცია, ესე იგი, ინდივიდს საპირისპირო გედერის პარტნიორი იზიდავს თუ იმავე გენდერის პარტნიორი (ან შესაძლოა ორივე იზიდავდეს და შესაძლოა – არცერთი). არის თუ არა ეს ცნება წმინდა წერილში ან ისლამში? კლასიკური ისლამის თეოლოგებსა და კანონმცოდნეებს განხილვები ჰქონდათ „სექსუალობის“ შესახებ (თუმცა, ეს მსჯელობები, მამაკაცის კონტროლის გამო, ერთი მხრივ, საკმაოდ მიკერძოებული იყო). ამის მიუხედავად, ამ დისკუსიებისას სისტემურად არ უფიქრიათ იმაზე, რასაც ჩვენ „სექსუალურ ორიენტაციას“ ვუწოდებთ. სანამმათ მოსაზრებებს მივუბრუნდებით, რასაც კლასიკური ისლამური ტრადიცია დაეფუძნა, საჭიროა, ყურანზე დაფუძნებული საკმაოდ დახვეწილი მოდელი შევიმუშავოთ, რომ გავიაზროთ პიროვნული ხასიათის მნიშვნელობა და ისიც, თუ როგორ უკავშირდება მას სექსუალური ორიენტაცია.

---

## ბუნება და პიროვნული ხასიათი

სექსუალური ორიენტაცია ერთ-ერთია „ფერების“ განსხვავებიდან, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისგან გამოარჩევს. თუმცა ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან ჰომოსექსუალობას, მას „არაბუნებრივს“ ან ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მახასიათებელს უწოდებენ. ამის საპირისპიროდ, ლესბოსელები და გეები ამტკიცებენ, რომ მათი სექსუალური ორიენტაცია მათი თანდაყოლილი პიროვნული ხასიათისა და შინაგანი სამყაროს გამომხატველია და იმდენად სიღრმისეულია, რომ მისი შეცვლის რაციონალურ შესაძლებლობებს სცილდება. ტრანსგენდერი ადამიანები იმავეს ამტკიცებენ თავიანთ გენდერულ იდენტობაზე. პროფესიული ფსიქიატრიული ასოციაციების კლინიკური კვლევები ადასტურებენ ამ რწმენას. მათმა უმრავლესობამ ჰომოსექსუალობა „პიროვნების აშლილობის“ კატეგორიიდან ამოიღო კიდევ და უარყო ადრე მიღებული მეთოდები, რომლებიც სქესობრივი ორიენტაციის „გამოსწორებას“ ირწმუნებოდნენ. დისკუსია მიმდინარეობს იმაზე, თუ რა წარმოადგენს ადამიანის ბუნებას. ისლამური პერსპექტივიდან შეიძლება ვიკითხოთ: როგორ ქმნის ღმერთი ადამიანებს? რა როლს თამაშობს სექსუალობა და სექსუალური ორიენტაცია პიროვნების ჩამოყალიბებაში? ირჩევენ ადამიანები სექსუალურ ორიენტაციას? შეიძლება მისი შეცვლა არჩევანითა თუ ჩვევების მეშვეობით? უნდა ვაგოთ მორალურად პასუხი სექსუალური

ორიენტაციისთვის მაშინაც კი, თუ ის პიროვნული ხასიათის არაცნობიერი შემადგენლების ნაწილია? ეს კითხვები სიღრმისეულია, ხოლო პასუხები აშკარა არ არის.

თანამედროვე ფსიქიატრია სულ უფრო მეტად ირწმუნება, რომ სექსუალური ორიენტაცია ინდივიდუალური პიროვნების თანდაყოლილი ნაწილია. სექსუალურ ორიენტაციაზე ზემოქმედების მდგენელები შეიძლება იყოს გენეტიკური, საშვილოსნოში ყოფნისას არსებული ჰორმონალური ბალანსი და ჩამოყალიბებული იყოს ადრეული ბავშვობის გამოცდილებებით, რომელთა ერთობლივი ეფექტი მოზარდობისა და ადრეულ ზრდასრულ ასაკში ვლინდება.<sup>26</sup> დასავლეთში ფსიქიატრთა უმეტესობა (და სულ უფრო მეტად მუსლიმური საზოგადოებებში პროფესიონალები) ამტკიცებს, რომ ადამიანების დამოკიდებულება საკუთარი სექსუალური ორიენტაციის მიმართ ძირითადად კულტურითაა განპირობებული, მაგრამ თვით ორიენტაცია არ არის კულტურის ნაყოფი. პიროვნების სექსუალური ორიენტაციით განპირობებული ქცევა ექვემდებარება რაციონალურ კონტროლსა და კლინიკურ ცვლილებებს, მაგრამ მისი განმაპირობებელი სექსუალური ორიენტაცია ამ კონტროლს არ ემორჩილება. წინამოდერნულ ეპოქაში ფილოსოფოსებმა შენიშნეს, რომ სექსუალური ორიენტაცია დიდწილად ინდივიდის არჩევანის მიღმა იყო. რადგან არ არსებობდა საკმარისი ცოდნა გენებისა და ჰორმონების შესახებ და არ არსებობდა საკმარისი ფსიქიატრიული კვლევები, როგორც წესი, ისინი ვარაუდობდნენ, რომ სექსუალობას ასტროლოგიური გავლენა განსაზღვრავდა.<sup>27</sup> ლესბოსელი და გეი მუსლიმების პირადი მონაყოლიც მოწმობს განსხვავებულობის ადრეულ და ღრმა განცდას, რასაც მოჰყვება ხანგრძლივი და რთული ბრძოლა, რათა გაითავისონ, რომ ეს განსხვავება ჰომოსექსუალური ორიენტაციის გამო არსებობს და იპოვონ ოჯახისა და მეგობრებისთვის ამის ახსნის გზები. ამასთან, პიროვნების სექსუალური შესაძლებლობების საზღვრებში ემოციური კმაყოფილებისკენ მიისწრაფოდნენ. დღეს მუსლიმურ საზოგადოებებში არ არის გადაწყვეტილი, უნდა მიიღონ თუ არა მათ თანამედროვე ფსიქიატრიული კვლევები. თანამედროვე სამედიცინო სისტემების მქონე ქვეყნებში მოღვაწე პროფესიონალმა ფსიქიატრებმა ერთობლივად უარყვეს იდეა, რომ ჰომოსექსუალობა პათოლოგიაა რომელიც უნდა „განიკურნოს“ სექსუალური ორიენტაციის შეცვლით. ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანის შინაგანი ხასიათი ვერ შეიცვლება, გარეგნული ქცევის შეცვლა რომც იყოს შესაძლებელი. კლინიკური თერაპევტების უმეტესობამ უარი თქვა ამ იდეაზე, რომ შესაძლებელია პაციენტის სექსუალური სურვილის ან ქცევის შეცვლა და ამის ნაცვლად ჰომოსექსუალ კლიენტებს ეხმარება, გაუმკლავდნენ ბავშვობის გადაუჭრელ ტრავმებს, რომლებიც გამოწვეულია ოჯახის, საზოგადოებისა და რელიგიის მიერ მათი უარყოფით.

მუსლიმურ საზოგადოებებში მოღვაწე პროფესიონალებმა ნელ-ნელა გადმოიღეს კვლევებსა და თანამედროვე მედიცინაზე დაფუძნებული კლინიკური მიდგომები. ისინი მხარს უჭერენ

---

<sup>26</sup> Hamer et al., “A Linkage between DNA Markers on the X Chromosome and Male Sexual Orientation,” და Le Vay, “Difference in Hypothalamic Structure between Heterosexual and Homosexual Men.” Boswell, “Concepts, Experience and Sexuality,” და Roughgarden, *Evolution’s Rainbow*.

<sup>27</sup> Brooten, *Love Between Women*, pp. 115–142

მიდგომას, რომ არ განსაჯონ სხვები. ამავე დროს, ნეოტრადიციონალისტი მუსლიმები, რომელთაც საკმაოდ ფართო აუდიტორია ჰყავთ, ამასხარავებენ ჰომოსექსუალობას და მას წარმოაჩენენ როგორც დანაშაულს, დაავადებას ან საზიანო მიდრეკილებას. ბევრი მუსლიმი მზადაა მიიღოს თანამედროვე მედიცინის ცოდნა და ტექნიკა კონკრეტული პრობლემების სახელდახელო გზით გადასაჭრელად, მაგრამ ისინი თავიდან ირიდებენ ადამიანის პიროვნული ხასიათის თანმიმდევრული თეორიის შემუშავებას, რომელიც დაეფუძნებოდა სამედიცინო პრაქტიკასა და სამეცნიერო აღმოჩენებს ან საკუთარი რელიგიის წმინდა წერილს. თუმცა, ყურანი ბევრ მოსაზრებას გთავაზობს პიროვნული მახასიათებლების თეორიის შესახებ და ჩვენ შეგვიძლია მასში ჰარმონიულად შევუთავსოთ თანამედროვე ფსიქიატრიის მიერ გამოვლენილი კომპლექსურობა ისე, რომ ჩვენი წარმოდგენები მორალზე ფუნდამენტურად იყოს დაფუძნებული ადამიანის პიროვნული მახასიათებლების რეალობაზე.

პიროვნების მახასიათებლები შედგება მრავალი დონისგან. ყურანში შესაძლოა ვიპოვოთ მინიმუმ ოთხი ძირითადი შრის შესახებ მითითება. ესენია გარეგნობა, შინაგანი ხასიათი, გენეტიკური მოდელები და შინაგანი სინდისი.<sup>28</sup> გარეგნული ფორმა, რომელშიც ჩვენ გამოვისახებით არის *სახე* (صورة /*sūra* – ფორმა; სახე). ყურანი ამბობს, „*ო, ადამიანო, რამ გაცდუნა წინაშე შენი უფლისა, კურთხეულისა, რომელმაც შეგქმნა შენ, მიმოგასწორა და გაგათანაბრა, ნებისმიერ სახედ, რაშიც კი ისურვა, გამოგსახა*“ (ყურანი 82:6-8, ლოზჟანიძე 359). ბევრი სხვა აია აღწერს იმ ეტაპებს, რომლების საშუალებითაც ღმერთი ქმნის თითოეული პიროვნების ფორმას, სახეს: დედის მუცელში ფიზიკურ ზრდას და მოგვიანებით მასში სულის შთაბერვის შემდეგ ახალი, ცნობიერების მქონე არსების სახით ცხოვრებას, რომელიც აგრძელებს განვითარებასა და ზრდას დაბადების, ჩვილობის, ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში. სახე სრულყოფილად ამჟღავნებს თავს, როცა სრულწლოვანებას მივალწევთ, დავიწყებთ დამოუკიდებლად მოქმედებას, როგორც მორალური არჩევანის მქონე პირები და პასუხს ვაგებთ ჩვენს ქმედებებზე. თუმცა, ჩვენი პიროვნება გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენი გარეგნობა და რაციონალური ქმედებები.

ჩვილობისა და ბავშვობის გამოცდილებიდან თითოეულ ადამიანს უვითარდება შინაგანი ხასიათის, თვისებების, პოტენციალის ან მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანდაყოლილია და რომელსაც ყურანი *šākila*/ხასიათს უწოდებს. ეს ხასიათი განსაზღვრავს, თუ როგორ ვრეაგირებთ ამა თუ იმ გამოცდილებაზე და სიღრმისეულად აყალიბებს ჩვენში რწმენის შესაძლებლობას: „*გარდმოვაკლენთ ყურანისგან იმას, რაც განიკურნება და წყალობაა მორწმუნეთათვის; მაშინ, როცა იგი არაფერს მატებს უსამართლოთ, თვინიერ ზარალისა. და როს წყალობას მივცემთ ადამიანს, პირს იბრუნებს და მომორდება მას, ხოლო როცა სიავე დაატყდება, სასოწარკვეთილი შეიქნება*“ (ყურანი 18:82-83, ლოზჟანიძე 221). განწყობები და ხასიათი, ძირითადად, ჩვენი გააზრებული გადაწყვეტილების და ცნობიერების მიღმა ყალიბდება: ბავშვობის გამოცდილება, ჩვილის მოვლენებები,

---

<sup>28</sup> Kugle, “Sexual Diversity in Islam.”

ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობები. მოკლედ, ეს არის ჩვენი ფსიქიკა, რომლის მეშვეობითაც ვლინდება პიროვნული ეგო.

გენეტიკური მემკვიდრეობა ჩვენი პიროვნების მესამე დონეა. თანამედროვე მეცნიერების მეშვეობით ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს ბიოლოგიურ მასალაში გენეტიკური მოდელები არა მხოლოდ ჩვენს გარეგნულ ფორმას განსაზღვრავს, არამედ ღრმა გავლენას ახდენს ფსიქიკურ ხასიათზე. ყურანი ორგანული ცხოვრების ამ მატერიალურ საფუძვლებზე მიუთითებს, როცა აცხადებს, „ჩვენ შევქმენით კაცი წკრიალა თიხისაგან“ (ყურანი 23:12, ლობჟანიძე 244). არაბულად ამას ეწოდება طيبة /*ṭabī'a*/ ბუნება (ინდივიდის „ფიზიკური შტამპი“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ტემპერამენტულ ბუნებას), ეს ტერმინი ყურანიდან კი არ არის გადმოღებული, არამედ ბერძნული მეცნიერებიდან, როცა ის ითარგმნა არაბულად და ისლამური მეცნიერების ნაწილად იქცა. გენეტიკური შტამპის მეშვეობით, რომელიც ჩვენი ორგანული ქსოვილის სიღრმეშია ჩანერგილი, ყურანი ასახავს განვითარებას ზიგოტიდან მუცლადმყოფ ნაყოფამდე და ჩვილობამდე, რაც ააშკარავებს მჭიდრო კავშირებს გენეტიკურ მასალას, ბიოლოგიურ ორგანიზმისა და მორალის მქონე უფლებამოსილ ინდივიდს შორის: „მერმე მოვათავსეთ იგი წვეთად უსაფრთხო ალაგას. მერმე შევქმენით ეს წვეთი სისხლის ლეკერტად და შევქმენით ლეკერტი ხორცის ნაჭრად, ხორცის ნაჭერი კი ვაქციეთ ძვლებად. და დავფარეთ ძვლები რბილით. მერმე კი დავაფუძნეთ იგი სხვა ქმნილებად, და კურთხეულია ალაჰი – მჯობი ყოველი შემოქმედისა“ (ყურანი 23:13-14, ლობჟანიძე 244). გენეტიკური მემკვიდრეობის ცნება, რა თქმა უნდა, ართულებს განხილვებს მორალის შესახებ. როგორც მუსლიმს, მე მჯერა, რომ ჩვენი მორალური ღირებულება ეფუძნება იმ არჩევანს, რასაც ვაკეთებთ გენეტიკური პოტენციალის საფუძველის გათვალისწინებით და გარემო-პირობების შეზღუდვების პირობებში. რა თქმა უნდა, მე არ ვამტკიცებ, რომ გენეტიკა ჩვენს შესახებ ყველაფერს განსაზღვრავს და ჩვენს ზნეობრივ სისუსტეს ამართლებს, ისევე, როგორც ვერ დავეთანხმები პრედეტერმინისტულ თეოლოგიას, რომელიც მიიჩნევს, რომ ღმერთს წინდაწინვე აქვს ნაბრძანები, კორუმპირებული და უსამართლო მჩაგვრელები ჯოჯოხეთში მიაბრძანოს (პოზიცია, რომელსაც კლასიკური სუნიტური თეოლოგიის დიდი ნაწილი სახიფათოდ უახლოვდება). თუმცა, მორალური ღირებულება წინდაწინ არ უნდა იყოს შეფასებული და თითოეულ ადამიანს უნდა მიეცეს გონივრული შანსი, რათა შეფასდეს მისი განვითარების პოტენციალი და გულწრფელობის საფუძველი, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდის პოზიციისა და პიროვნების რეალისტურ, გონივრულ და თანაგრძნობით გამსჭვალულ შეფასებებს. „არ დაავალდებულებს ალაჰი არცერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას შეუძლია“ (ყურანი 2:286, ლობჟანიძე 124). რადგან როგორც ყურანი ოპტიმისტურად ამტკიცებს, ყველას აქვს უნარი, შეიცნოს ღმერთი.<sup>29</sup>

ყურანის ეს აია მიუთითებს პიროვნების მეოთხე შრეზე, რომელიც ადამიანის შინაგანი სინდისია, ფაქიზად არის მოქცეული პიროვნების გარეგნული მახასიათებლების შიგნით და მხოლოდ ინდივიდის შინაგანი ხასიათის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი. ეს ჩვენი პიროვნული მახასიათებლების ის ნაწილია, რომელშიც ჩვენი ნამდვილი ადამიანობა ინახება. ეს არის ჩვენი

<sup>29</sup> ის მეორდება ყურანის შემდეგ აიებში 2:233, 6:152, 7:42, 23:62.

თავდაპირველი ბუნება (*fitra*), ჩვენი არსების ღრმა საფუძველი, რომელსაც სულთან აქვს შეხება და ღვთის ყოფნას აცნობიერებს. ჩვენი გარეგანი ფორმა შეიძლება გაიზარდოს ან ჩამოჰკენეს, ჩვენი შინაგანი ხასიათი შეიძლება დაიხვეწოს ან პირიქით, თავდაპირველ გამოუცდებლობას დაუბრუნდეს, მაგრამ ჩვენი შინაგანი სინდისი სუფთა რჩება, თუ ჩვენი ცნობიერება მისგან ყურადღებას არ გადაიტანს. „*მიაქციე ხატი შენი სარწმუნოებას, ჰანიფად, ალაჰის მოწყალებით რომელმაც ასე მოაწყო მასზე ხალხი. არ ექნება შეცვლა ალაჰის ქმნილებას*“ (ყურანი 30:30, ლობჟანიძე 272). ჩვენ შეგვქმნეს იმისთვის, რომ გაცნობიერებული გვექონდეს ღმერთის ყოფნა (ღვთის ყველა თვისებით, დიდებული და გამოაფნებელი თვისებებითაც და მშვენიერი და სიყვარულის გამომწვევი თვისებებითაც) და ამისგან არავინ არის გარიყული ამ თავდაპირველი ბუნებისგან, რომელიც არასოდეს იკარგება. ეს ფიტრა გვამღებს ჩვენს სინდისს. ის იტევს წინასწარგანზრახვასა და გულწრფელობას, რისი მიხედვითაც უნდა შეფასდეს ქმედებების მორალური ღირებულება, როგორც წინასწარმეტყველი ასწავლიდა: „რა თქმა უნდა, ქმედებები განზრახვებიდან მოდის და თითოეული მიიღებს იმას, როგორი განზრახვებიც აქვს.“<sup>30</sup>

სექსუალური აქტებიც აგრეთვე იმით უნდა შეფასდეს, თუ რა განზრახვით სრულდება ისინი. განზრახვა თავდაპირველად გულწრფელობით ყალიბდება, შემდეგ შინაგანი ხასიათის ფილტრში ფერადდება და მხოლოდ შემდეგ გამოიხატება ფიზიკურად გაცხადებული მოქმედებით. სექსუალური ორიენტაცია ლატენტურად არის თითოეულ ინდივიდში, რომელიც წარმოიქმნება გენეტიკური ბუნების და ადრეული ბავშვობის ხასიათის<sup>31</sup> კომპლექსური მიმართებით. მიმდინარე კვლევები ნელა, მაგრამ სტაბილურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სექსუალური ორიენტაცია, ძირითადად, თანდაყოლილია. ფსიქიატრები იკვლევენ ადრეული ბავშვობის გამოცდილებას, ქიმიკოსები სწავლობენ დაბადებამდე ჰორმონალური ზემოქმედების მნიშვნელობას ნაყოფის განვითარებაზე და ბიოლოგები გენეტიკურ მემკვიდრეობას აკვირდებიან, რომელიც სრული სახით არსებობს ჩასახვის მომენტიდან. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიზეზი ალბათ განპირობებულია ასეთი ფაქტორების ერთობლიობით. როგორც არ უნდა იყოს მიზეზების ზუსტი ბალანსი, სექსუალური ორიენტაცია უკვე არსებობს რაციონალურ აზროვნებამდე ან მოზარდის მომწიფებამდე. სექსუალური აქტების განსჯა სექსუალობის თეორიის გარეშე აუცილებლად იწვევს უსამართლობას და ღალატობს ყველაზე ფუნდამენტურ ისლამურ სწავლებას, რომ ქმედებები ფასდება იმით, თუ რა განზრახვაა მათ უკან.

## ლუტის ხალხის პირისპირ

<sup>30</sup> Al-Bukhari, *Sahih*, “Kitab al-Wahi,” book 1, [chapter 1](#), report 1.

<sup>31</sup> أَكَلَا /šākila/ ხასიათი - ხასიათის, თვისებების, პოტენციალის ან მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანდაყოლილია.

კლასიკური ისლამის თეოლოგები და კანონმცოდნეები ყურანს განმარტავდნენ ისე, რომ არ ჰქონდათ ექსპერიმენტულ მეცნიერებაზე დაფუძნებული სექსუალური ორიენტაციის სრულად ჩამოყალიბებული თეორია. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველის ცხოვრება სექსუალურად დადებითი მორალის მოდელი იყო, კლასიკოსი კანონმცოდნეები და თეოლოგები სექსუალობას, ძირითადად, უარყოფითი ტერმინებით განიხილავდნენ, როგორც ვნების ძლევამოსილებას. მაგალითად, დიდი ღვთისმეტყველი ფაზრ ალ-დინ რაზი (გარდაიცვალა 1209 წელს) ამტკიცებს, რომ ვნების ძლევამოსილება იწვევს თავშეუკავებლობას და ამორალურ ქმედებებს, მათ შორის სექსს.<sup>32</sup> ამ თეოლოგების განხილვის მთავარი ტერმინია ხორციელი ჟინი,<sup>33</sup> რაც ნიშნავს ვნებას ან ხორციელ სურვილს. თუმცა, ყურანი ამ ტერმინს ოდნავ უფრო ნიუანსირებულად იყენებს – ხან დადებითად და ხან უარყოფითად – რათა აღწეროს სურვილი, როგორც მადა და ამით მიღებული სიამოვნება. ყურანი იყენებს ზმნა „შაჰვას“ ჭამასთან და დაღვეასთან დაკავშირებით და ასევე სქესობრივი კავშირის შესახებ. ეს არის ყველა იმ სახის სიამოვნება, რომელიც აღთქმულია სამოთხეში სულელებისთვის.<sup>34</sup> უფრო ამქვეყნიურ კონტექსტში ყურანი გვაფრთხილებს შაჰვას შესახებ, რომელიც არის სურვილი ყველა იმ შინაგანი სიამოვნებისა, რომელიც სულს კმაყოფილებას ანიჭებს და სხეულს სიმსუბუქეს, თუმცა თუ მას აღვირახსნილობის საშუალებას მივცემთ, შეიძლება ის გახდეს ავხორცი: *„ემშვენიერება ხალხს ხორციელი სიყვარული ქალებისა, შვილებისა, ოქრო-ვერცხლის მთათა, დარახტული ცხენებისა, საქონლისა და ნახნავ-ნათესისა. ეს არის წუთისოფლის სახსარი. ალაჰის წიად კი უკეთესი სამკვიდროა“* (ყურანი 3:14, ლობჟანიძე 125). ცხადია, შაჰვა, როგორც ავხორციელი ვნება, საზიანოა, რადგან ის აშორებს ადამიანს ღვთისგან, უზიდავს სიხარბისკენ და უზნეო საქმეებისკენ. ხორციელი სიყვარული, რომელიც, სხვა თარგმანში ითარგმნება როგორც „სურვილები,“ მრავლობითი მნიშვნელობითაა ნახსენები და აჩვენებს, რომ ვნება შეიძლება სხვადასხვა რამისკენ იყოს მიმართული: საკვებისკენ, სექსისკენ, ოჯახით სიამაყისკენ (შვილების ხსენება), სიმდიდრისკენ (ოქრო-ვერცხლის ხსენება), სტატუსისკენ და ძალაუფლებისკენ (ცხენების ხსენება).

სურვილის ობიექტები და მათი მოხმარებით მიღებული სიამოვნება არ არის თავისთავად ცუდი და სწორედ ამიტომ, უშუალოდ ისინი არ არის აკრძალული. საშიშია ნდომის ფსიქიკური მდგომარეობა, ავხორცი ლტოლვის მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინი ხორციელი ჟინი, რომელიც მოხმარებას ხდის ვნებით სავსეს და პოტენციურად დესტრუქციულს. სურვილის ობიექტები ცუდია მაშინ, როდესაც სხეულებრივი სიამოვნებები გაჯერებულია ეგოისტური სიამაყით. ამ მიზეზის გამო, ყურანი ადარებს ტერმინ ჟინს სხვა ტერმინს – ნდომას<sup>35</sup>, რაც ნიშნავს მხურვალე სურვილს ან ნდომას. ნდომა ნაკლებად ეხება სხეულებრივ სიამოვნებას ან მისწრაფებას და უფრო მეტად ეგოისტური

<sup>32</sup> Razi, *Mafatih al-Ghayb*, vol. 2, p. 383.

<sup>33</sup> شهوة /šahwa/ ხორციელი ჟინი, ვნება

<sup>34</sup> სამოთხეში „სურვილის“ შესახებ გვიამბობს ყურანის აიები 21:2, 41:31, 43:71, 16:57, 56:21, 77:42.

ჯოჯოხეთისა და „სურვილის“ შესახებ კი 34:54.

<sup>35</sup> بغاء /buğā'/ ნდომა, სურვილი

კმაყოფილების მიღებას ნიშნავს, ინდივიდის მიერ ყოველთვის იმის მიღწევას, რაც მას სურს<sup>36</sup>. თუ ეგოისტური მიზნების დასაკმაყოფილებლად სიამოვნებისკენ სწრაფვა არღვევს მორალურ საზღვრებს, ის ხდება უზნეობა<sup>37</sup>, ტერმინი, რომელსაც ყურანი იყენებს „უხამსობის“, „ამორალურობის“ მნიშვნელობით, რასაც იგი მკაცრად გმობს. თუმცა ყურანი ირწმუნება, რომ ძიება და სურვილი თავისთავად ცუდი კი არ არის, არამედ მათ უკან არსებული განზრახვა და გულწრფელობაა მნიშვნელოვანი. თუ ვინმეს აქვს ძიებისა და ნდომის სურვილი, მაგრამ ამავედროულად აღიარებს ღვთის წყალობას და საკუთარი მიზნის მიღწევისას უმაღლის მას სხვების დაზიანების ან მათი უფლებების დარღვევის გარეშე, მაშინ სურვილის სახიფათო ტალღებში შეცურვა შეიძლება არ იყოს გასაკვირი: „*იგია ის, ვინც დაგიმორჩილათ თქვენ ზღვა, რათა გამოიკვებოთ მისგან ახალი ხორცი და ამოიტანოთ იქიდან ზინათნი, რომელთაც შეიმკობთ. და ხედავ ხომალდებს, მას რომ კვეთენ?! – რათა ისურვოთ მისი მადლი, და ეგებ დაუმადლოთ*“ (ყურანი 16:14, ლობჟანიძე 212). ღმერთი მორწმუნეებისგან მოითხოვს გონიერებას, გულწრფელობას და მადლიერებას ყოველი სარგებლის მიღებისას, იქნება ეს ფიზიკური სიამოვნება თუ ეგოისტური სურვილი<sup>38</sup>. სექსი ჩამოთვლილია საკვებთან, სიმდიდრესთან და ძალაუფლებასთან ერთად იმის ხსენებისას, თუ რას შეიძლება მიემართებოდეს ჩვენი სურვილები, ხოლო სურვილი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. სურვილის ეთიკურობა უფრო მეტად დამოკიდებულია სურვილის განზრახვაზე, ინტენსივობაზე და ეთიკურ ქცევაზე, ვიდრე ნდომის კონკრეტულ ობიექტზე ან გამოცდილებაზე. ყურანი ყველას აფრთხილებს სექსუალური ვნების შესახებ, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა ან ოჯახური მდგომარეობისა. თუნდაც ჰეტეროსექსუალური სექსი კანონიერ მეუღლესთან შეიძლება იყოს ავხორცი, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი აია აღწერს (ყურანი 3:14), თუ ის იწვევს სიხარბეს, ეგოიზმს ან ზიანს და შეურაცხყოფას აყენებს სხვებს.

ყურანი სხვა სახის სურვილებს შორის სექსუალური სურვილის გამოყოფისას მასზე დახვეწილი ენით საუბრობს, თუმცა შეიცავს თუ არა ის მითითებებს სექსუალური ორიენტაციის შესახებ? მისი ენა კონკრეტულად ჰეტეროსექსუალ ადამიანებს მიემართება. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ისინი შეადგენენ უმრავლესობას ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის არაბეთში წინასწარმეტყველ მუჰამედის უშუალო გარემოში. ერთი მხრივ, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გამრავლება, ბავშვების აღზრდა და ოჯახური გენეალოგია ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შედეგია. ეს განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ მყოფ პატარა საზოგადოებისთვის არის აქტუალური, როგორც იყო ადრეული მუსლიმური საზოგადოება. ამ მიზეზით, ყურანი კანონიერებასა და მემკვიდრეობასთან ერთად პირდაპირ საუბრობს ჰეტეროსექსუალურ მრუმობაზე. ამის საპირისპიროდ, ყურანი ნათლად და ცალსახად არ

<sup>36</sup> ყურანის 19:59 აიაში შედარებულია ვნებითი და ეგოისტური სურვილი, რომ აჩვენოს, ისლამის მოვლინებამდე როგორ გახრწნა ხალხმა შუამავლური გზავნილი.

<sup>37</sup> فاحشة /fāḥiṣa/ უზნეობა, უხამსობა, ამორალურობა

<sup>38</sup> Kugle, *The Book of Illumination*, pp. 161–177.

მიმართავს მუსლიმური საზოგადოების ჰომოსექსუალებს, რადგან ყურანში არ არის შესაბამისი ტერმინი „ჰომოსექსუალი“ ან „ჰომოსექსუალობა.“ ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კლასიკოსი მუსლიმი კანონმცოდნე ყურანისეულ თხრობას ლუტის თავის ხალხთან ბრძოლის შესახებ უკავშირებს ჰომოსექსუალურ სექსს ან, უფრო კონკრეტულად, მამაკაცებს შორის ანალურ პენეტრაციას. მოციქული ლუტის ხალხი ნიშნავს სოდომისა და გომორის ხალხს, როგორც ეს თორაშია აღწერილი. ყველა მუსლიმი ინტერპრეტატორი გმობს ლუტის ხალხის კაცების მიერ ლუტის ავტორიტეტის უარყოფას. მათ ლუტისთვის უცხო ადამიანების მასპინძლობისა და დაცვის უფლების ჩამორთმევა სცადეს და იმ დონემდე ხელყვეს მისი უფლებამოსილება, რომ მოითხოვეს, იძულებითი სქესობრივი კავშირი თავისივე სქესის, ლუტის სტუმარ უცხო მამაკაცებთან. ზოგიერთმა კლასიკოსმა კანონმცოდნე ინტერპრეტატორმა წმინდა ტექსტში ამოიკითხა ის დასკვნა, რომ ლუტი, უპირველეს ყოვლისა, მივლენილი იყო მამაკაცებს შორის ანალური სექსის აკრძალვის მიზნით. მათ აზრით, მამაკაცებს შორის ანალური სექსი ლუტის ხალხში ფესვგადგმული აქტი და მრუშობის ძირითადი მიზეზი იყო. ამ ინტერპრეტატორებმა შექმნეს სამართლებრივი ტერმინი *ლივატი (liwat)*, რომელიც „ლუტის ხალხის ქმედებების“ შემოკლებაა, ნიშნავს ანალურ კავშირს და შეესაბამება ინგლისურ ტერმინს „sodomy.“<sup>39</sup> ახალი ტერმინის – ლივატის შექმნით კლასიკური პერიოდის სამართალმცოდნე ინტერპრეტატორებმა განამტკიცეს ის მოსაზრება, რომ ლუტის ხალხის ქმედებები მჭიდროდაა დაკავშირებული მამაკაცების ანალურ სქესობრივ აქტებთან. შესაბამისი ტერმინი ლუტი<sup>40</sup>, შეიქმნა მამათმავალის მნიშვნელობით ანუ ის სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენს აღნიშნავს.<sup>41</sup> თუმცა არც ერთი ეს ტერმინი არ მოიპოვეს თავად ყურანში, რაც სექსუალობისადმი მგრძობიარე ინტერპრეტატორებს ეჭვება აღუძრავს იმის შესახებ, თუ როგორ ამოიკითხეს სამართალმცოდნეებმა წმინდა წერილში ტერმინები და კონცეპტები, რომლებიც წმინდა ტექსტში საერთოდ არ არსებობს.

გეი, ტრანსგენდერი და ლესბოსელი მუსლიმები ეწინააღმდეგებიან მთელი ყურადღების მხოლოდ ერთი სქესის ადამიანებს შორის სექსუალურ კავშირებზე მიმართვას. მათი აზრით, მხოლოდ ამაზე ფოკუსირება, ფაქტობრივად, ამახინჯებს ამბის წაკითხვას.

---

<sup>39</sup> ქართულად ყველაზე ახლო შესატყვისია სოდომ-გომორული ცოდვა ან მამათმავლობა (მთარგმნ. შენიშვნა).

<sup>40</sup> لوطي /lūṭī/ მამათმავალი

<sup>41</sup> შუა საუკუნეებში არაბი გრამატიკოსები აბუნდოვანებდნენ იმ ფაქტს, რომ ტერმინი *liwat* არის სამართლებრივად გამოგონილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ის არ მომდინარეობს არაბულის გარდა სხვა ენებში შუამავალ ლუტის სახელიდან, არამედ მომდინარეობს არაბული ზმნიდან *lata*. ეს ზმნა ნიშნავს „მიმაგრებას.“ სიტყვასიტყვით ის გულისხმობს კედელზე თაბაშირის ან ტალახის მიმაგრებას და გადატანითი მნიშვნელობით აღწერს, თუ როგორ მიემაგრება პირი ან ნივთი ადამიანის გულს, თუ ადამიანს ნივთი ან პირი უყვარს. ამ მნიშვნელობით ეს ზმნა ჩნდება ჰადისში და არაბულ პოეზიაში, მაგრამ არა ყურანში. ამ შეუსაბამობას ავრცელებდნენ გრამატიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ანალური სქესობრივი კავშირის დროს ლუტის ხალხის კაცები „მიეკრობოდნენ“ ერთმანეთის უკან. ზმნა *lata*-ს და მისი ადრეული გამოყენების განსახილველად, საიდანაც არცერთი არ აღნიშნავდა სექსუალურ აქტებს, იხილეთ Lane, *Arabic–English Lexicon*, pp. 2681–2682 (ავტორის შენიშვნა).

სინამდვილეში, სიუჟეტი ღალატის შესახებ მოგვითხრობს და აღწერს იმას, თუ როგორ შეიმუშავა ლუტის ხალხმა მზაკვრული გეგმა, რათა წყალი შეეყენებინა ლუტის მოციქულებრივი მისიისთვის და თავიანთ საზოგადოებაში მისი საჯარო პოზიციისთვის. ერთი სქესის ადამიანებს შორის სქესობრივი აქტები მხოლოდ ერთ-ერთი იყო იმ ქმედებათა ფართო სპექტრიდან, რისი მეშვეობითაც მათ უღალატეს ლუტს. ეს აქტები მოიცავდა როგორც მკვლელობასა და ძარცვას (როგორც აღნიშნულია ყურანის 29:29 აიაში), ასევე საერთო შეკრებებზე სხვა შემზარავ ქმედებებს (რაზეც კომენტატორები ირწმუნებიან, რომ მოიცავდა საჯარო სიშიშვლეს, აზარტულ თამაშებსა და კერპთაყვანისმცემლობას). ამ ინტერპრეტაციის წინ წამოწევით, გეი და ლესბოსელი მუსლიმები არ „უარყოფენ“ ყურანის განმარტების მთელ კლასიკურ ტრადიციას, როგორც მათ ზოგიერთი ოპონენტი ადანაშაულებს. ამის მაგივრად, ისინი დებატების გაღვივებით ტრადიციას აღადგენენ: თავდაპირველად ტრადიცია ხომ სწორედ დებატებზე დაშენდა.

რა თქმა უნდა, განმარტების ლიტერატურაში არსებობს მრავალი მიმდინარეობა და შიდა წინააღმდეგობა. გეი და ლესბოსელი მუსლიმები, მაგალითად, საკუთარ მსჯელობას აფუძნებენ ანდალუსიის ცნობილი სამართალმცოდნისა და მკვლევარის იბნ ჰაზმის ინტერპრეტაციას. ის ამტკიცებდა, რომ ლუტის ხალხი განადგურდა მათი ურწმუნოების გამო (*kufir*) და მათი საზოგადოებისათვის მივლენილი მოციქულის ძალადობრივი უარყოფის გამო. უარყოფა გამოიხატა მათ დანაშაულებრივ ქმედებებში, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთი იყო სექსუალური ხასიათის:

„ლუტის ხალხის წინააღმდეგ ღვთის [შურისძიების] ქმედება არ არის გამოწვეული იმით, რასაც ისინი [სხვა თარჯიმნები] ვარაუდობენ [ესე იგი, მამაკაცებს შორის ანალური კავშირის პრაქტიკით]. არამედ, ღმერთი ამბობს: „და ცრუდ შერაცხა ლუტის ხალხმა შეგონებანი ჩემი. ჭეშმარიტად, ჩვენ წარგვზავნეთ მათზე ქარიშხალი, თვინიერ ლუტის სახლეულისა, რომლებიც ვიხსენით გარიჟრაჟზე. წყალობად ჩვენი წიაღიდან. ამგვარად ვუზღავთ იმას, ვინც დარჩება მადლობელი. ის დაემუქრა მათ ჩვენი რისხვით. ისინი კი დაეჭვდნენ ჩემს შეგონებებში. ისინი შეეცადნენ მისი სტუმრების შეურაცხყოფას. მაგრამ ჩვენ დავუვსეთ მათ თვალები და დააჭაშნიკეთ ჩემი მუქარა და სასჯელი“ (ყურანი 54:33-37, ლობჟანიძე 328). ღმერთი ამასაც ამბობს, „და როს მიუვიდნენ ლუტს ჩვენი მოციქულნი, ავად მიიღო ისინი და თავი უძლურად იგრძნო მათ წინაშე. უთხრეს: ნუ გეშინია და ნუ იწუხებ! ჩვენ, ჭეშმარიტად, გადაგარჩენთ შენ და შენს ოჯახს, თვინიერ შენი ცოლისა, რომელიც იყო ჩამორჩენილთაგანი“ (ყურანი 29:33, ლობჟანიძე 270). ღმერთმა გამოაცხადა მკაფიო ტექსტი<sup>42</sup>, რომელშიც ნათქვამია, რომ ლუტის ხალხმა არ ირწმუნა [მისი შუამავლობა] და ამიტომ მოუვლინა მათ ქვების ქარიშხალი. [ღვთაებრივი] ქვებით ჩაქოლვის მოვლენა, რომელმაც ისინი დასაჯა, ღვთის პასუხი კონკრეტულად ერთი ტიპის ამორალური ქცევისთვის [fāhiṣa-უზნეობა] კი არ იყო, არამედ ურწმუნოებისა და უარყოფისთვის [kufir-ურწმუნოება]. ვინც იმას ამტკიცებს, რომ ქვებით ჩაქოლვა ამ ამორალური ქცევის [მამაკაცებს შორის ანალური სექსის] საპასუხო სასჯელი იყო. ამ ქმედების ჩამდენი მაშინ იქნება ქვებით ჩასაქოლი, თუ ის ღვთის შუამავლის

<sup>42</sup> نصّ /naṣṣ/ ტექსტი

[kafir] უარყოფელია. მათი მტკიცება, რომ ყურანი ამართლებს ჩაქოლვის სასჯელს [ამ სექსობრივი აქტისთვის] ბათილი და ცარიელია, რადგან მათი ქმედება ეწინააღმდეგება ყურანის სიტყვების ცხად მნიშვნელობას [hukm-იუდ. ნორმა].<sup>43</sup>

ამ ნარატივის გაანალიზებით, იბნ ჰაზმი ცდილობს აღმოაჩინოს ის ეთიკური პრინციპი, რომლის დარღვევის გამოც ლუტის ხალხი დაისაჯა. ეს პრინციპი იყო მოციქულისა და მისი ეთიკური ხელმძღვანელობის უარყოფა. მათ სხვადასხვა გზით უარყვეს მოციქული და მის სტუმრებზე სექსუალური ძალადობაც მათი განზრახვის ერთ-ერთი გამოხატულება იყო, რისი მეშვეობითაც სურდათ, უარეყოთ ლუტის, როგორც მოციქულის, ღირსება და თავიანთი ქალაქებიდან განედევნათ იგი. იბნ ჰაზმი ყურანს განმარტავს, როგორც სამართალმცოდნე, მაგრამ ის არის ის სამართალმცოდნე, რომელიც უფრო მეტად ეყრდნობა ყურანის ცხად ენას და ნაკლებად კულტურულ ვარაუდებსა ან ანგარიშებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება დაეშვაებინათ მოციქულის თანამედროვეებს.

იბნ ჰაზმი ნამდვილად არ ყოფილა გეი აქტივისტი, მაგრამ ის შეიძლება მივიჩნიოთ ყურანის პირველ „სექსუალობისადმი მგრძობიარე“ განმმარტებლად. ის ქმნის პრეცედენტს, რასაც ლესბოსელ და გეი მუსლიმ ინტერპრეტატორებს შეუძლიათ მიჰყვნენ და დახვეწონ. მისი ინტერპრეტაცია ადამიანური ბუნების დახვეწილი თეორიით ბევრად უფრო ინფორმირებული იყო, ვიდრე კლასიკური *tafsir*-ის მწერალთა უმეტესი ნაწილის. კერძოდ, იგი იცავდა ინტერპრეტაციის პირველ სამ პრინციპს, რაც ამ თავში ჩამოვთვალეთ (ყურანის უპირატესობა, კონტექსტისადმი ყურადღება და პრინციპების ჩამოყალიბება), რადგან ის არა მხოლოდ სამართალმცოდნე იყო, არამედ ეთიკოსი და ლიტერატურის ავტორი, რომელმაც ყურანის ანალიზში შემოიტანა ენის მიმართ პოეტის მგრძობიარეობა. გარდა ამისა, ის უშიშრად უპირისპირდებოდა მის თანამედროვე დოგმატურ მიდგომებს, მით უმეტეს იმ შემთხვევებში, თუ ის ხედავდა, რომ ყურანის არარაციონალური ან წარმოსახვაზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია უსამართლო კანონებს უმაგრებდა ზურგს. მართალია, ის მიიჩნევდა, რომ ანალური სექსი მამაკაცებს შორის იყო დანაშაული და შესაბამისად, აკრძალული ისლამური კანონით, მაგრამ ის წინდახედულების გამოჩენისკენ მოუწოდებდა სხვებს, რომ მათ არ მიეცათ გასაქანი ჰომოფობიური ისტერიისთვის და მისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიენიჭებინათ. როგორც ავტორიტეტულმა სამართალმცოდნემ, რომელიც მსახურობდა კორდოვას მთავარი მოსამართლის პოსტზე, მან სწორად აღნიშნა, რომ ყურანი ანალურ სექსს იმ ენით არ კრძალავს, რომ ამ კონკრეტული ქმედებისთვის იურიდიული ძალის სასჯელი გამოიყენებოდეს. ამიტომ მან დაასკვნა, რომ მასთან მრუშობის ან ჰეტეროსექსუალური სიძვის ('zina) ანალოგია არ არის გამართლებული და რომ სოდომ-გომორის ცოდვა თავიდან უნდა იქნას აცილებული დამრიგებლური, დისციპლინური სასჯელის გზით. ამ სამართლებრივ განსხვავებებზე დეტალურად სხვა თავში ვისაუბრებ. ამჯერად საკმარისია ყურადღება მივაქციოთ იბნ ჰაზმის ტონს, როდესაც ის ამბობს: „აუცილებელია ამ პრაქტიკის შეჩერება ისეთი საშუალებებით, რომლებიც არ ანადგურებენ სიცოცხლეს, ადამიანურ ღირსებასა თუ საარსებო წყაროს... ჩვენ ვეძებთ

<sup>43</sup> Ibn Hazm, *Al-Muhalla*, vol. 1, p. 393 (part 12 on “the act of the Tribe of Lot”).

თავშესაფარს ღმერთთან მაშინ, როდესაც რომელიმე ქმედებაზე გამძვინვარებულებს იმაზე ბევრად მეტი ან ბევრად ნაკლები ბრაზი გვამოძრავებს, ვიდრე ეს ღმერთს აქვს ღვთის რჯულის მორალით ხელმღვანელობისას, კანონმდებლობას ვაყალიბებთ ჩვენი პირადი შეხედულებების საფუძველზე და ამით კანონების გახრწნილ სისტემებს გამოვჭყედავთ.<sup>44</sup> მისი სამართლებრივი კრიტიკა გამოიწვია მისმა მოსაზრებამ, რომ არსებობენ ჰომოსექსუალი მუსლიმები, მათი წმენა სხვა მუსლიმებზე არანაკლებია და მათი ცხოვრება ისევე ძვირფასია, როგორც სხვების. მისი პერსპექტივა ითვალისწინებდა „პლატონური სიყვარულს,“ ამიტომ შეემლო მკაფიოდ განესხვავებინა სექსი და სიყვარული, მოქმედებები და განწყობილება.

ლუტის ხალხის ამბის ინტერპრეტაციისას იბნ ჰაზმი უბრუნდება ყურანის პირველ მომენტებს, სადაც ეს ხალხია ნახსენები. ის აღმოაჩენს, რომ ყველა ეს ადრეული აია ხაზს უსვამს ლუტის ხალხის ურწმუნოებას და იმას, თუ როგორ უარყვეს მათ ლუტის შუამავლობა, აქ არ ჩანს მასზე ფიზიკური თავდასხმის სექსუალური დეტალებით აკვირება. ხმის ტონით ადრეული მომენტები ყველაზე უნივერსალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე ეთიკურია. იბნ ჰაზმი ასევე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ლუტის ხალხის განადგურების ერთადერთი ან მთავარი მიზეზი მამაკაცების ერთმანეთთან სექსი ყოფილიყო, რადგან ლუტის ცოლიც დაიღუპა ყველა ქალთან და ბავშვთან ერთად. თავისი აზრის გასამტკიცებლად იბნ ჰაზმს მოჰყავს ყურანი: *„მიუტანა ალაჰმა იგავად იმათ, ვინც იყვნენ ურწმუნონი, ნუჰის (ნოეს) ცოლი და ცოლი ლუტისა, რომლებიც იყვნენ ჩვენს მონათაგან ორი მართალი მონის ხელქვეით. და უღალატა ორივემ და ვერცერთ ვერაფერმა უშველა ალაჰის წინაშე და ებრძანათ: შედით ცეცხლში შემსვლელლებთან ერთადო“* (ყურანი 66:10, ლოზჟანიძე 344). ლუტის ცოლი დამნაშავე იყო ურწმუნოებასა და ღალატში, რადგან უარყოფდა ქმრის, როგორც შუამავლის როლს, ისევე როგორც მის საზოგადოებაში მცხოვრები მამაკაცები იყვნენ ამაში დამნაშავეები და ამიტომ დაიღუპა იგი მათთან ერთად<sup>45</sup>. მამაკაცებს შორის სექსუალური აქტები ამ ამბის არსისა და მორალური გაკვეთილისთვის უმნიშვნელოა.

გეი და ლესბოსელი მუსლიმების დამოუკიდებელი თანამედროვე ინტერპრეტაციები ადასტურებს იბნ ჰაზმის შუა საუკუნეების მიდგომას. ისინი მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ, რადგანაც იზიარებდნენ მსგავს ვარაუდებს, პრინციპებსა და სტრატეგიებს. იბნ ჰაზმის მსგავსად, ისინი ეწინააღმდეგებიან სხვა ინტერპრეტატორებს, რომლებიც ვიწროდ ფოკუსირდებიან მამაკაცებს შორის ანალური პენეტრაციაზე და ლუტის ამბავში სექსთან დაკავშირებულ ფართო კონტექსტს უგულებელყოფენ. მაგალითად, ადრეული ეგზეგეტი ალ-ტაბარი (გარდაიცვალა 923 წელს) იმ აიების განმარტებისას, რომლებშიც ლუტი თავისი

<sup>44</sup> Ibid., p. 397.

<sup>45</sup> ყურანი ზუსტად არ აკონკრეტებს, თუ როგორ უღალატა ლუტს მისმა ცოლმა. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ ქალი „მის ქვეშ“ იყო, რაც ნიშნავს ლუტის დაცულ სახლელულობაში ყოფნას და ვალდებული იყო, დამორჩილებოდა ლუტს, მაგრამ ამის მიუხედავად მან უღალატა ქმარს. კომენტატორებმა დეტალები მოგვაწოდეს არა ყურანის წყაროებიდან, არამედ სხვა ტექსტებიდან და ამბობდნენ, რომ ცოლი ინფორმაციას აწვდიდა თავისი ტომის მამაკაცებს, როდესაც ლუტი თავის სახლში მფარველობდა და მასპინძლობდა უცნობებს, რათა მისი ტომის კაცებს არ მიეცათ ლუტისთვის სტუმართმოყვარეობის შესაძლებლობა. სტუმართმოყვარეობა კი იყო ის საშუალება, რომლითაც მათ ქალაქებში ლუტი თავის ეთიკურ ავტორიტეტს გამოხატავდა (ავტორის შენიშვნა).

ხალხიდან ზოგიერთ მამაკაცს ჰკუთნა არიგებს „სისამაგლის ჩადენისთვის [al-fahisha]“ (ყურანი 7:80-81), წერს: „უზნეობა, რომელსაც ისინი სჩადიან და რისთვისაც ღმერთი სჯის მათ, არის მამაკაცებს შორის სქესობრივი პენეტრაცია [ityan al-dhukur]. ამის მნიშვნელობა ასეთია: ლუტი ამით უნდა ამბობდეს: თქვენ ყველა, თქვენი ერის ხალხი კაცების უკანალში ათავენ და არა ქალებთან, ვინც ღმერთმა თქვენთვის მოიწონა და დაუშვა.“<sup>46</sup> ალ-ტაბარი აქ აშკარად იყენებს განსაზღვრისა და ჩანაცვლების სტრატეგიას: ის განსაზღვრავს „უზნეობის“ ბუნებას, როგორც ანალურ სექსს და შემდეგ ამ განმარტებას ყურანში აბრუნებს, იმასაც კი ბედავს, რომ ამ განმარტებით შთაგონებულმა გადაწეროს ის დიალოგი, რომელიც ლუტის ისტორიის განუყოფელი ნაწილია (როცა ის წერს, „ამის მნიშვნელობა ასეთია: ლუტი ამით უნდა ამბობდეს...“). რადგან ალ-ტაბარი არის, უპირველეს ყოვლისა, სამართალმცოდნე, ის არ ცდილობს ყურანში ლუტის ისტორიის უფრო ფართო კონტექსტში წაკითხვას, რათა აღმოაჩინოს მისი სიღრმისეული თემები ან შეადაროს ყურანის მიერ ტერმინი „უზნეობის“ (fahisha) გამოყენების სხვა მაგალითებს, სადაც ყურანი აღწერს იმ მოქმედებებს, რომლებიც ცალსახად სავსებით არ წარმოადგენს ანალურ პენეტრაციას ან ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის აქტებს ან თუნდაც სექსუალურ აქტებს. მკვლევარი ამრინ ჯამელი ამ ორაზროვნებას დეტალურად განიხილავს სტატიაში, რომელიც მიზნად ისახავს გაარკვიოს, იყენებს თუ არა ყურანი ტერმინ უზნეობას ძირითადად და მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის აქტების მნიშვნელობით და ასკვნის, რომ ყურანი ამ ტერმინს ასე არ იყენებს.<sup>47</sup> ცხადია, ალ-ტაბარის მიზანი არ ყოფილა ყურანის ტერმინებსა და თემებზე სრულყოფილი და კვლევითი ინტერპრეტაციის მომზადება, არამედ სურდა მამაკაცებს შორის სექსის შესახებ სამართალმცოდნეების გადაწყვეტილებები დაეკავშირებინა ყურანისთვის იმის მტკიცებით, რომ თავად ყურანი ამართლებს ამ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს.

ალ-ტაბარის ინტერპრეტაციის ლოგიკის შესახებ სხვაგანაც დამიწერია<sup>48</sup> და მისი დეტალური განხილვის შესაძლებლობა აქ არ მაქვს. რადგან ლუტის ამბის ალ-ტაბარისეული ინტერპრეტაცია ორიენტირებულია იურიდიულ გადაწყვეტილებებზე, ის განხილული იქნება სხვა თავში, რომელიც შეაფასებს ჰომოსექსუალობის ადგილს ისლამურ იურისპრუდენციაში ანუ ფიკჰში. ამ თავში საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ კლასიკური ინტერპრეტატორების უმეტესობა ალ-ტაბარის მაგალითს მიჰყვება და სქესობრივი აქტები თითქმის მხოლოდ მამაკაცებს შორის ანალური სექსის ჭრილში განიხილა (იშვიათ შემთხვევებში, მამაკაცსა და ქალს შორის ანალური სექსის ჭრილშიც). ინტერპრეტაციის ეს ტრადიცია იმდენად გავრცელებულია, რომ ყურანის მრავალი თარჯიმანი (რომლებმაც შეიძლება არც კი აღიარონ, რომ ყველა თარგმანი რეალურად არის ინტერპრეტაცია) ამ აიების ინტერპრეტაციისას იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ჰომოსექსუალობა“, „არაბუნებრივი სექსი“ ან „დანაშაული ბუნების კანონების წინააღმდეგ“<sup>49</sup>. რა თქმა უნდა, სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რათა

<sup>46</sup> Al-Tabari, *Tafsir*, vol. 3, p. 163.

<sup>47</sup> Jamel, “The Story of Lut.”

<sup>48</sup> Kugle, “Sexuality, Diversity and Ethics,” pp. 203–219.

<sup>49</sup> იხილეთ, მაგალითად, ყურანის 29:28-35 აიების აბდულა იუსეფ ალისეული თარგმანი, რომელშიც ის al-fahisha-ს თარგმნის როგორც „უზნეობას“ და შემდეგ სქოლიოში განსაზღვრავს ლუტის ხალხის

იმ დონეზე არ დავვეყრდნოთ ყურანის თარგმანებს, რომ მათ ყურანის სრული ინტერპრეტაცია ჩაანაცვლონ. იმისთვის, რომ ინტერპრეტაცია სრულყოფილი იყოს, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა კი არ უნდა განისაზღვროს, რისი მიზანიც ალ-ტაბარის აქვს, არამედ უნდა აიხსნას წიგნის უფრო სიღრმისეული თემები და ფართო კონტექსტი, რის გაკეთებასაც ალ-ტაბარი უგულებელყოფს. ამ მოკლე დისკუსიიდან რაც ირკვევა ისაა, რომ ალ-ტაბარი და სხვა კლასიკოსი ინტერპრეტატორები არასოდეს განიხილავდნენ სექსუალურ ორიენტაციას პიროვნების განუყოფელ ასპექტად, რაც არსებითად ზღუდავს მათ ინტერპრეტაციას.

მათ რომ ჰომოსექსუალობა ადამიანის განუყოფელ ასპექტად მიეჩნიათ, ისინი არ წაიკითხავდნენ ლუტისა და მისი ხალხის ამბავს იმ კუთხით, თითქოს ის ზოგადად ჰომოსექსუალურ ქმედებებს განიხილავს, არამედ კონკრეტულად მამაკაცების მიერ კაცების გაუპატიურებაზე მითითებას ამოიკითხავდნენ. ეს აქტები ჯარისკაცების მიერ გაუპატიურების, როგორც იარაღის (რაც მოხდა იუგოსლავიის ომებში როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მიმართ) ან დაკითხვისას სექსუალური აქტების, როგორც დომინაციის ინტრუმენტად გამოყენების ანალოგიური იქნებოდა (რაც მოხდა აბუ გრეიბში, გუანტანამოს ყურეში და სხვა ციხეებში). თუ ჩვენ სექსუალური ორიენტაციის ფსიქოლოგიური თეორიით ვიხელმძღვანელებთ, როგორც ჩანს, ლუტის ხალხის კაცები სინამდვილეში ჰეტეროსექსუალი მამაკაცები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ აგრესიით დაემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება სხვა დაუცველი მამაკაცებისთვის. ეს დაუცველი „კაცები“ სინამდვილეში ანგელოზები იყვნენ, რომლებიც მათ ქალაქში უცხოებისა და მოგზაურების სახით იყვნენ გამოცხადებულები და რომლებსაც ლუტმა სტუმართმოყვარეობა და დაცვა თავისი შუამავლის ავტორიტეტის წყალობით შესთავაზა. ბრბოს მცდელობა, გააუპატიურონ უცხო მამაკაცები, მოტივირებული იყო ლუტისთვის სამოციქულო ავტორიტეტის უარყოფის სურვილით და საკუთარი ეგოისტური სტატუსისა და ძალაუფლების დამტკიცებით და არა სექსუალური ლტოლვითა და სხეულის სიამოვნებით.

ინტერპრეტაციის ეს ხაზი უფრო მეტ აზრს ანიჭებს იმ მრავალ აიას, რომელიც ლუტის ამბავს ჰყვება, ვიდრე ლუტის ამბის კლასიკური ინტერპრეტაცია, თითქოს მოციქული ჰომოსექსუალური ორიენტაციის მქონე მამაკაცებს შორის სექსის აკრძალვას ეხებოდა. აიები წაკითხული უნდა იყოს კონტექსტში, სხვა მონაკვეთების გათვალისწინებით, რათა კონკრეტული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია მოხდეს. *„და ლუტი (წარგ ზავნილ იქნა), როცა უთხრა თავის ხალხს: განა იმგვარ სისამაგლეს სჩადით, რომელიც უწინ სამყაროთა ერთ ბინადარსაც კი არ ჩაუდენია?! თქვენ ვნებით [shahwa] ინთებით კაცებზე და არა – ქალებზე. ჭეშმარიტად, თქვენ ხართ ხალხი აღვირახსნილიო! და სხვა არაფერი იყო მისი ხალხის პასუხი, იმის გარდა, რომ თქვეს: გაამევეთ ისინი თქვენი სოფლიდან, რადგან ეს არის ხალხი, რომელიც სიწმინდეს ელტვისო. და ჩვენ ვიხსენით ის და მისი სახლეული, მისი*

---

განსაკუთრებულ დანაშაულს, როგორც საჯაროდ მამაკაცებს შორის ანალურ სექსს. იუსეფ ალი ბევრ სხვა მთარგმნელზე პატიოსანია და სქოლიოებს იყენებს ამ განმარტებების გასაკეთებლად და არ სვამს ამ განმარტებებს უშუალოდ თარგმანში (ავტორის შენიშვნა).

ცოლის გარდა, რომელიც იყო ჩამორჩენილთაგანი“ (ყურანი 7:80-83, ლობჯანიძე 168).<sup>50</sup> თუ ამორალური ქმედება იყო მამაკაცების სქესობრივი აქტები ერთმანეთთან, მაშინ რატომ დაისაჯა ლუტის ცოლი ღვთის სასჯელით? ცხადია, ის უნდა „უზნეობის“ მონაწილე, კერპთაყვანისმცემლობისა და ექსპლუატაციის ქსელის ნაწილი, რომელიც ფესვგადგმული იყო ქალაქის მოსახლეობაში, მათ შორის ქალებსა და ბავშვებში, რომლებიც არ იყვნენ სქესობრივი აქტების მონაწილეები. სწორედ ეს კითხვა დასვა თეოლოგმა იბნ ჰაზმმა თითქმის ათასი წლის წინ, როდესაც მან დაადანაშაულა ყურანის სხვა კლასიკოსი მუსლიმი ინტერპრეტატორები ლუტის ისტორიის დეტალების უგულვებელყოფისა და მისი ძირითადი გზავნილის დამახინჯებაში: „მათ ავიწყდებათ, რომ, როგორც ეს ნათლად არის ნათქვამი ყურანში, ლუტის ხალხში ამ ქმედების ჩამდენები იყვნენ ურწმუნოები, რომლებმაც ცრუდ შერაცხეს თავიანთი მოციქულის შეგონებანი, რადგან მათთან ერთად მათი ქალებიცა და ბავშვებიც დაისაჯნენ, რომლებსაც [სექსუალური] აქტები არ ჩაუდენიათ.“<sup>51</sup>

კაცებს, რომლებიც გაუპატიურების მიზნით ლუტის სტუმრებს დაესხნენ თავს, ცოლები და შვილები ჰყავდათ და როგორც ყურანი (27:55, ლობჯანიძე 262) აღნიშნავს, „განა თქვენ მიუდგებით კაცებს ვნებით, ნაცვლად ქალებისა“, თუმცა ყურანი არაბულ გრამატიკაში ხაზს უსვამს, რომ ის ამ ფრაზაში კონკრეტულ ქალებსა და კაცებს გულისხმობს. ყურანის ორიგინალი ტექსტის გრამატიკა მიანიშნებს, რომ ამაში იგულისხმება კონკრეტულად „ის მამაკაცები“, რომლებზეც ისინი სექსუალურ ძალადობას აპირებენ და „ის ქალები“, რომლებთანაც უკვე აქვთ სექსუალური ურთიერთობა. ის ფაქტი, რომ ყურანი იყენებს კონკრეტულად განსაზღვრულ არსებით სახელებს (არაბული ‘al’ არტიკლს, რაც ინგლისურად ‘the’ არტიკლია), ყურადღებიან მკითხველს მიანიშნებს ლუტის წყევლის კონკრეტულ შინაარსზე. ის არ საუბრობს ზოგადად კაცებზე, რომლებსაც აქვთ სექსი ზოგადად სხვა მამაკაცებთან და არა ზოგადად სხვა ქალებთან. ის გმობს კონკრეტულად იმ მამაკაცებს, რომლებიც სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ კონკრეტულად მის სტუმარ მამაკაცებზე (მამაკაცებზე, რომლებიც, როგორც უცხოები, მოწყვლადები არიან და მისი სტუმართმოყვარე მფარველობის ქვეშ იმყოფებიან), ხოლო გვერდით ტოვებენ სექსუალურ ურთიერთობებს, რომლებიც უკვე აქვთ ქალებთან, რომლებიც მათი ცოლები არიან. ეს ფაქტი გვაფრთხილებს, რომ მათი დანაშაული იყო არა ზოგადად ჰომოსექსუალობა ან თუნდაც თავად სექსუალური აქტები, არამედ მათი განზრახვა, რამაც მათი ქმედებების ამორალურობა გამოიწვია. მათ სექსუალურ ძალადობას ამომრავებდა მათი ურწმუნოება და მათი მოციქულის უარყოფა.

სხვა აიაში ლუტი მის თავდამსხმელებს ედავება: „განა თქვენ ერთადერთნი სამყაროთაგან წვეებით მამრებთან?! მიგიტოვებიათ კი ის, რაც შეგიქმნათ თქვენმა უფალმა თქვენს მეუღლეთაგან. დიახ, თქვენ ხართ ხალხი გახრწნილი!“ (ყურანი 26:165-166, ლობჯანიძე 258) აქ ლუტი აკონკრეტებს, რომ ამ კაცებს უკვე ჰყავთ მეუღლეები, ცოლები, რომლებიც მათ ღმერთმა შეუქმნა და ისინი მაინც აგრესიულად გადადიან წესიერების ზღვარს, როდესაც

<sup>50</sup> სხვა აიები, რომლებიც ლუტის ამბავს ჰყვება: ყურანი 6:86, 11:77-81, 15:61-72, 21:71-75, 26:161-174, 27:54-57, 37:133-134.

<sup>51</sup> Ibn Hazm, *Al-Ihkam fi Usul al-Ahkam*, vol. 5, p. 764.

ლუტის სტუმრებისგან ითხოვენ იმას, რისი უფლებაც მათ მეუღლეებთან უნდა ჰქონდეთ. საკითხი აქ დგას ამ კაცების მიერ თავიანთი მეუღლეების უფლებებზე უცხოებზე თავდასხმის დროს. თუმცა, კრიტიკოსი დაიჟინებდა, რომ აქ სინამდვილეში მსხვერპლების გენდერია პრობლემა, რაც კაცების მიერ მეუღლეების მიტოვების პირობებში გამოვლინდა. სხვა აია უშუალოდ გენდერზე საუბრობს: „და მივიდა მასთან მისი ხალხი, აღტყინებულნი მიიწვედნენ მისკენ და სიავეებს სჩადიოდნენ ისინი უწინაც. უთხრა: ო, ხალხო ჩემო, აი, ჩემი ქალიშვილები. ისინი უფრო ტკბილნი არიან თქვენთვის. გეშინოდეთ ალაჰისა და ნუ შემარცხვენთ ჩემს სტუმრებთან. განა თქვენში არ არის ვინმე სწორი გზით მავალიო?!“ (ყურანი 11:78, ლობჟანიძე 196) ზოგმა მკითხველმა შეიძლება სულსწრაფობით ასე განსაჯოს ლუტის სიტყვები, რომ ქალები კაცებზე უფრო ტკბილნი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალები უფრო შეეფერებიან მათ სექსისთვის და კანონიერი მეუღლეობისთვის. თუმცა ამ აიების ისე წაკითხვა, თითქოს ის ჰეტეროსექსუალურ სურვილს აცხადებს ნორმატიულად, მისი კონტექსტიდან ამოგლეჯვა იქნება.

ვინმე დაიჯერებს, რომ მოციქული თავდამსხმელებს მის ქალიშვილებს შესთავაზებდა გასაუპატიურებლად, თითქოს ის ფაქტი, რომ ისინი ქალებს გააუპატიურებდნენ, ამ აქტს „წმინდად“ ან „ტკბილად“ აქცევდა? ამის მაგივრად, ლუტი სარკასტულ შედარებას აკეთებს, რათა აჩვენოს თავდამსხმელებს, რამდენად არასწორია სტუმრების გაუპატიურება, რომლებსაც მან სტუმართმოყვარეობით მფარველობა გაუწია. ორივემ, მანაც და მისმა ხალხმაც, კარგად უწყიან, რომ სულაც არაა „წმინდა“ ან „ტკბილი,“ რომ მათ ლუტის ქალიშვილები წაიყვანონ და ლუტი ამტკიცებს, რომ მის თვალში მისი სტუმრების შეურაცხყოფა კიდევ უფრო უარესია, ვიდრე მის ქალიშვილებთან ქორწინების გარეშე ინტიმური კავშირის ქონა. ის უფლებას კი არ აძლევს თავდამსხმელებს, მისი ქალიშვილები გააუპატიურონ, არამედ ის სარკაზმით, რომელიც სასოწარკვეთილებისგან უჩნდება, გამოხატავს, რომ მოწყვლადი უცხოები ისეთივე მოწყვლადები არიან მისთვის, როგორც მისი საკუთარი შვილები. ზედაპირულად თუ შევხედავთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის საუბრობს კაცების სექსუალურ ორიენტაციაზე, თუმცა სინამდვილეში ის ქადაგებს, რომ ქალებიცა და კაცებიც იმსახურებენ გაუპატიურებისა და შეურაცხყოფისგან დაცვას. ამგვარი დაცვა, რომელიც ქალებზეც ვრცელდება და კაცებზეც, არის იმ ზრუნვის ეთიკის შედეგი, რომელიც მის შუამავლურ მისიას ასაზრდოებს. ეს ეთიკური გზავნილი ძალიან აშკარად ჩანს სხვა აიაში ამ ამბის ნარატიულ თხრობაში: „მან კი უთხრა: ესენი ჩემი სტუმრები არიან და ნუ დამაკნინებთ! გეშინოდეთ ალაჰისა და ნუ დამაღონებთო! უთხრეს: განა შენთვის რაიმე აგვიკრძალავს სამყაროთაგან? უთხრა: აჰა, ჩემი ქალიშვილები, თუ თქვენ ამის მქნელნი ხართო“ (ყურანი 15:68-71, ლობჟანიძე 211). ამ ორი გენდერის შედარება მხოლოდ იმისთვისაა, რომ მკითხველისთვის გამოკვეთოს, ორივე გენდერი იმსახურებს იმ სახის მფარველობას, რასაც ადამიანი საკუთარი ქალიშვილებისთვის იჩენს. თავდამსხმელებისთვის ქალიშვილების შეთავაზება სარკასტული კრიტიკაა იმ ქმედებისა, რაც ბოროტმოქმედებს მამაკაცი სტუმრების მიმართ განუზრახავთ. ლუტის ქცევა გვიბიძგებს, უფრო შორს გავიხედოთ და მხოლოდ იმ ამოჩემებულ საკითხზე კი არ ვიმჯელოთ, დანაშაულს ერთი სქესის მქონე პირებს შორის აქტები წარმოადგენს, თუ ჰეტეროსექსუალური აქტები, არამედ

საკითხს სიღრმისეულად შევხედოთ და გავიაზროთ, რომ მთავარი პრობლემა ძალადობა და იძულებითი სექსუალური კავშირია.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვიდავოთ, რომ ლუტის ისტორია საერთოდ არ არის ჰომოსექსუალობის შესახებ. ლუტი აკრიტიკებს სექსის, როგორც იარაღის გამოყენებას. ლუტი გმობს იძულებით სექსუალურ აქტებს, მაგალითად, გაუპატიურებას. ესაა აგრესიისა და სხვების ძალით დამორჩილების წყურვილით განპირობებული მამაკაცთა სექსუალობის კრიტიკა და არა – კონკრეტულად ჰომოსექსუალობის გაკიცხვა. ამ ისტორიისთვის შემთხვევითია, რომ მისი სტუმრები, რომლებიც ძალადობის მიზანს წარმოადგენენ, კაცები არიან. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იგივე ამბავი, რომელშიც სტუმრები ქალები არიან და ის მაინც იმავე სიძლიერის მატარებელი იქნებოდა და იგივე მორალური გზავნილი იღებოდა მასში, თუ ისლამური წარმოსახვა საშუალებას მისცემდა ანგელოზებს, ქალების სახით გამოცხადებულიყვნენ. ის სამართალმცოდნეები, რომლებმაც ეს ამბავი ჰომოსექსუალურ აქტებად თარგმნეს, მთავარ აზრს ვერ ჩაწვდნენ<sup>52</sup>.

## ლუტის ხალხის მიღმა

ეს ალტერნატიული ინტერპრეტაცია ირწმუნება, რომ ლუტის ხალხის ზოგიერთი მამაკაცი დამნაშავე იყო თავდასხმასა და გაუპატიურებაში და არა ერთსა და იმავე სქესის მქონე ადამიანებს შორის სქესობრივ აქტებში ან ჰომოსექსუალურ ორიენტაციაში. ეს ეფუძნება ლუტის მთლიანი ამბის წაკითხვას, ყველა თავისი დეტალით და არა იმ მიზეზზე ფოკუსირებას, რომ ღვთის განრისხება ბრბოს თავდასხმისას იმავე სქესის მქონე ადამიანების მიმართ სექსუალური აქტების ბუნებამ გამოიწვია. ეს ალტერნატიული ინტერპრეტაცია არა მხოლოდ ნათელს ფენს ლუტის მთლიან ამბავს, არამედ ყურანში ლუტის ისტორიის კონტექსტის უფრო სიღრმისეულ ანალიზსაც გვთავაზობს. ლუტის ნარატივი ერთ მონაკვეთში არაა თავმოყრილი. ყურანი მისი ისტორიის მოვლენებზე გაბნეულად მიანიშნებს, რის გამოც ინტერპრეტატორებს უწევთ რამდენიმე სურას ციტირება, რომ ამბავი შეაკოწიწონ. ზოგიერთი ეს ინციდენტი მიანიშნებს სამარცხვინო სექსუალურ ძალადობაზე, როდესაც სხვები მიუთითებს ლუტის ხალხის სხვა დანაშაულებზე, კერპთაყვანისცემლობაზე, ლუტის შუამავლური მისიის უარყოფაზე, ან ლუტის ხალხის მდიდარ ქალაქებში ანგელოზების

<sup>52</sup> ისლამურ სამართალში მუდმივად ვხვდებით იმის ნიშნებს, რომ ყურანის აიები, სადაც გაკრიტიკებულია და იზღუდება პატრიარქატი, სისტემატურად უგულვებელყოფილი ან დამახინჯებულია, რათა მამაკაცების ძალაუფლების ხელში ჩაგდება უზრუნველყოს. სამართალმცოდნეებმა მამაკაცებს მრავალცოლიანობის ნება დართეს იმის მიუხედავად, რომ ყურანში ამის საწინააღმდეგო გაფრთხილებას ვკითხულობთ, ნებადართულია ხარჭები, მაშინ როცა ყურანი მოუწოდებს მორწმუნეებს, გაათავისუფლონ მონები. ხოლო იძულებითი განცალკევება მხოლოდ ქალებზე ვრცელდება, მაშინ როცა ყურანი ბრძანებს, მოკრძალება და ერთგულება დაიცვან როგორც ქალებმა, ასევე კაცებმა. ეს არის ის, რასაც ლეილა აჰმედი უწოდებს ყურანის „ეთიკურ თანასწორუფლებიან ხმას,“ რომელიც ხშირად არის დაკარგული კლასიკურ ინტერპრეტაციაში და სამართლებრივ ახნებში; იხილეთ, Ahmed, *Women and Gender in Islam*, pp. 64–66 (ავტორის შენიშვნა).

მოგზაურობაზე, რომლებიც მამაკაცების ფორმით იყვნენ მოვლენილნი. ყურანის ნარატიული სტრატეგია ანაწევრებს ამბავს, რაც საქმეს უიოლებს პატრიარქულ ინტერპრეტაციას, როგორც ალ-ტაბარია, ფოკუსირდეს მხოლოდ ერთსა და იმავე სქესის მქონე ადამიანებს შორის სექსუალურ აქტებზე და ფართო კონტექსტი უგულვებლყოს. რატომ ჰყვება ყურანი ამბავს ამ სახით?

ყურანს თავისი უნიკალური სტრუქტურა აქვს, რომელიც მას უნიკალურს ხდის და გამოარჩევს სხვა წმინდა წერილებისაგან, როგორებიცაა თორა ან სახარება. მისი სილამაზისა და სიძლიერის ნიშანია ისიც, თუ როგორ ანაწევრებს წინა მოციქულებს, მაგალითად, ლუტის შესახებ ამბებს. ყურანი ლუტის ისტორიის ნაწილებს ყოველთვის სხვა, მსგავსი მისი მქონე მოციქულების ამბების კონტექსტში ჰყვება. ლუტისა და მისი ხალხის ხსენება ყოველთვის ხდება სხვა, რიგი მოციქულების, მაგალითად, ნოე, სალიჰის, ჰუდის, შუაბის, მოსას ამბების თხრობისას. სხვადასხვა ხალხმა და ერმა, სადაც თითოეული ეს მოციქული იყო მიგზავნილი, სხვადასხვა ინოვაციური გზა იპოვა, რათა შუამავლები გაემეფებინა თავიანთი წრიდან და მათი ავტორიტეტისთვის ძირი გამოეთხარა. ამ ისტორიების ზედაპირზე აშკარაა, რომ თითოეულმა ხალხმა იპოვა თავის შუამავალზე თავდასხმის სხვადასხვა გზა, მაგრამ მათი სიღრმისეული მიზანი საერთო იყო, რომ სიცრუედ მიეჩნიათ შუამავლების გაფრთხილება სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობაზე, მორალურ პასუხისმგებლობასა და განკითხვის დღეზე.

ლუტის ხალხსა და ღვთის მიერ განადგურებულ სხვა ხალხს აერთიანებდათ ის განზრახვა, რომ უარყოთ და დაემცირებინათ თავიანთი წინასწარმეტყველნი, უკუეგდოთ თავიანთი შუამავალი და მისი ერთი ღმერთის რწმენისა და სამართლიანად მოქმედების გზა. ყველაზე ადრეული შეგონება, სადაც ლუტია მოხსენიებული, უბრალოდ ამას ამბობს, „*გრუდ შერაცხა ლუტის ხალხმა შეგონებანი ჩემი*“ (ყურანი 54:33, ლოზჟანიძე 328), სადაც არსადაა ნახსენები სექსუალური აქტები. ეს ადრეული შეგონება, პირველი შემთხვევაა, როდესაც ყურანი ლუტს ახსენებს, გვამლევს გასაღებს, სწორად გავიგოთ ამბის არსი და მისი სიღრმისეული მნიშვნელობა. ლუტის ხალხი დაისაჯა ურწმუნოებისა და შუამავლის უარყოფის გამო. მისი მფარველობის ქვეშ მყოფი სტუმრების გაუპატიურება ლუტის ავტორიტეტის უარყოფის მხოლოდ ერთ-ერთი გზა იყო. ლუტი არ უნდა იყოს სხვა შუამავლებისგან დამოუკიდებლად განხილული, რადგან ყურანი მისი უარყოფის გამოცდილებას სხვა შუამავლების პარალელურად ახსენებს.

ეს ნათელი გახდება, თუ ჩვენ ერთმანეთს სხვადასხვა მოციქულის ამბებს შევადარებთ, რისკენაც ყურანის სტრუქტურა თავად გვიბიძგებს. მეცნიერულ ექსპერიმენტებში შეგროვებული დაკვირვებების შედარება გვამლევს საშუალებას ფიზიკური სამყაროს სტრუქტურისა და მოძრაობის პრინციპების საპოვნელად, ხოლო მოციქულების ისტორიების შედარება დაგვეხმარება გამოვკვეთოთ ის საერთო პრინციპები, რომლებიც წინასწარმეტყველთა გამოცდილებებს მთავარ ღერძად მიჰყვება. ყურანი ყველაზე ხშირად

ლუტს შუამავალ სალიჰთან კავშირში ახსენებს<sup>53</sup>. როგორც ლუტი იყო სოდომისა და გომორის ხალხთან მივლენილი მოციქული, ასევე სალიჰი იყო სამუდის ხალხთან მივლენილი, რომელთაც ძლევამოსილი ქალაქები ჰქონდათ აგებული და მდიდარ სავაჭრო გზებს აკონტროლებდნენ. სოდომისა და გომორის მაცხოვრებლების მსგავსად, სამუდის ძლევამოსილი ელიტა ქედმაღალი გახდა, მოიხვეჭა უამრავი სიმდიდრე და უარი თქვა რესურსების თანასწორად განაწილებაზე, რათა დაეცვა უპოვარები და უსუსურები. სალიჰმა თავისი ხალხის ეთიკური ხრწნა წარმოაჩინა ღმერთის ბრძანებით წმინდა დედალი აქლემის წარდგენით. მან მოუწოდა თავის ხალხს, რომ მათ მიწაზე აქლემისთვის თავისუფალი გადაადგილებისა და მათი წყლის დაღვინის საშუალება მიეცათ, რომ დაეცვათ და ეზრუნათ მასზე, რადგან ის უპატრონო და დაუცველი იყო<sup>54</sup>. სალიჰის წმინდა დედალი აქლემი ცოცხალი მეტაფორაა უპოვარი და დაუცველი ხალხისა, რომელიც სამუდის მმართველობის ქვეშ ცხოვრობს: თუ ელიტა სალიჰის ბრძანებას მიიღებდა და წმინდა აქლემს მოუვლიდა, შეიძლება ისინი დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ ეპყრობოდნენ უპოვარ ხალხს და შესაძლოა, უფრო სამართლიანად გაენაწილებინათ თავიანთი რესურსები. მაგრამ სამუდის ელიტამ სალიჰის შუამავლობა უარყო, დასცინა ღმერთს, რომელმაც მოციქული მიუვლინა და იმ გზავნილს, რომელიც მან მიუტანა. იმის მაგივრად, რომ უშუალოდ სალიჰს დასხმოდნენ თავს, ისინი თავს დაესხნენ დედალ აქლემს, გაკოჭეს და დაკლეს (ყურანი 7:77). რატომ მოკლეს სალიჰის აქლემი? რათა უარეყოთ იმ მოციქულის ავტორიტეტი, რომელიც აქლემს მფარველობდა და სიცრუე ეწოდებინათ ერთი ღმერთის რწმენისთვის, რომელმაც შუამავალი მიავლინა. ამის გამო, ღმერთმა სამუდის ქალაქები გაანადგურა. როგორც ყურანის აღწერიდან ჩანს, ეს მოხდა ვულკანური ამოფრქვევის საშუალებით, რასაც თან ახლდა მიწისძვრა და მტვერისა და გაზის მახრჩობელი ღრუბლები.

ვინმე სერიოზულად მიიღებდა ყურანის ისეთ ინტერპრეტაციას, რომლითაც, სამუდის ხალხი აქლემთმომოძულე უნიკალური სოციუმად გამოცხადდებოდა? თუ სალიჰის ისტორიის გასაშიფრად გამოვიყენებდით კლასიკოსი მკვლევარების (მაგალითად, ალ-ტაბარის) ლუტის ამბისეულ ინტერპრეტაციულ სტრატეგიას, მაშინ ეს დასკვნა უნდა გამოგვეტანა. თუმცა არც ერთი ინტერპრეტატორი არ იჩემებს, რომ აქლემის სისხლისადმი ლტოლვამ სამუდის ხალხის შინაგანი ხასიათი გახრწნა ან ბუნება შეერყვნა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სალიჰის დედალი აქლემი დაკლეს. არავინ აცხადებს, რომ სალიჰი სამუდში სპეციალურად იმისთვის იყო გაგზავნილი, რომ აქლემების დაკვლა აეკრძალა. არც ერთი ინტერპრეტატორი არ კითხულობს სალიჰის ისტორიას აქლემის მოპარვის ან ცხოველთა დაკვლის დანაშაულთან კავშირში.

---

<sup>53</sup> ლუტი მოხსენიებულია თორაში, რადგან ის ცნობილი იყო ებრაული ტომებისთვის, რომლებიც ენათესავებოდნენ აბრაამის ოჯახს და ცხოვრობდნენ აბრაამის დროს. ამის საპირისპიროდ, სალიჰი არის წინასწარმეტყველი, რომელიც არ არის ნახსენები თორაში, რადგან ის ეკუთვნოდა სხვა სემიტურ ტომებს, რომლებიც იყვნენ არაბების წინაპრები (ავტორის შენიშვნა).

<sup>54</sup> სალიჰის შესახებ, რომელიც მოციქულად იყო მივლენილი სამუდის ხალხთან, მოთხრობილია შემდეგ აიებში: ყურანი 7:73, 9:70, 11:61-95, 91:13 და სხვა. სამუდის ხალხმა კლდეებში ამოკვეთეს ქალაქები (ყურანი 89:9), შესაძლოა ქალაქ პეტრაში, რომლის ნანგრევები მდებარეობს იორდანეში (ავტ. შენ.).

არავინ ფიქრობს, რომ ეს აქტი ძალზე დიდი ცოდვა და ისეთი დანაშაულია, რომ სიკვდილით უნდა ისჯებოდეს. არავინ გამოთქვამს აზრს, რომ მუსლიმი ადამიანი, რომელიც მისაკუთრებს ან დაკლავს აქლემს, რომელიც მას არ ეკუთვნის, გაგუდვით უნდა დაისაჯოს იმ სამართლის გავლენით, რომლის მიხედვითაც ღმერთმა სამუდამო ხალხი დასაჯა ვულკანის ამოფრქვევით.

ყველას, ვინც სალიჰის ისტორიის ამგვარ ინტერპრეტაციას გააკეთებს, თავაზიანად შეახსენებენ, რომ მათ ამბის მთავარი აზრი ვერ გაიგეს. თუმცა ინტერპრეტაციის იგივე ლოგიკა არის გამოყენებული ლუტის ამბავში და ამ განმარტებას უჯერებს მუსლიმების უმეტესობა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ერთადერთი საზოგადოება, რომლებიც ჰომოსექსუალურ აქტებს სჩადიოდა ლუტის ხალხი იყო. ასევე ამბობენ, რომ ლუტი შუამავლური მისიით სპეციალურად ამ აქტების ასაკრძალად იყო მივლენილი და რომ მთელი ხალხი (კაცები, ქალები და ბავშვები) განადგურდნენ, რადგან ისინი ან ჰომოსექსუალურ აქტებში იყვნენ ჩართულები ან მათ წრეში ჰომოსექსუალობა მიღებული იყო და რომ მუსლიმებმა ამ ტიპის აქტებსა და მიდრეკილებებში დამნაშავე ადამიანები სიკვდილით უნდა დასაჯონ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამგვარ ლოგიკას მხოლოდ ლუტის შემთხვევაში იყენებენ და არა სხვა შუამავლების ამბების ანალიზისას და არც ერთი სხვა დასკვნა არაა ყურანის „სიტყვა-სიტყვით“ წაკითხვის შედეგად გამოტანილი, მუსლიმების უმეტესობა მაინც მედგრად უწევს წინააღმდეგობას იმ კრიტიკას ან წინადადებას, რომ ეს არაა ამ აიების ადეკვატური ანალიზი. მხოლოდ გეი და ლესბოსელი მუსლიმები არ მიუთითებენ იმ აშკარა წინააღმდეგობებზე, რომლებიც ყურანის კლასიკოსი მკვლევარების ინტერპრეტაციაში იკვეთება. ათასი წლის წინ იბნ ჰაზმიც, თავადაც კლასიკოსი მკვლევარი, მიუთითებდა ამ ხარვეზულ ლოგიკაზე, თუმცა ის უგულებელყვეს<sup>55</sup>.

ყურანი ლუტის ამბავს ჰყვება სხვა შუამავლების, მაგალითად სალიჰის და სხვათა ამბებთან კავშირში და ხშირად აერთიანებს სხვადასხვა ეპიზოდს. ყურანი ხაზს უსვამს, რომ ადრეული შუამავლებისა და ყველა ხალხში მათი უარყოფელი ელიტების ისტორიების მონათხრობში ერთი და იგივე პრინციპები უნდა გამოაშკარავდეს.<sup>56</sup> ყურანი ამ ისტორიებს კონკრეტულ კონტექსტში თავიდან ჰყვება, ხშირად იმისთვის, რომ უბიძგოს შუამავალ მუჰამედსა და მის მიმდევრებს მოთმინებისკენ, უარყოფისა და დევნაში ტანჯვის გამლებისკენ, რომ მათ არასამართლიანად არ იძიონ შური. მოციქული მუჰამედი და მისი მიმდევრები უნდა განასახიერებდნენ ამ ისტორიების ეთიკურ პრინციპებს და უნდა იმოქმედონ შუამავლური ზრუნვის ეთიკით, რომელიც არასამართლიანი ექსპლუატაციისა და რესურსების არასამართლიანი განაწილებისგან დაიცავს უპოვარებს, დაუცველებს, მარგინალიზებულებს. ეს არის ის ეთიკური პრინციპი, რომელიც მუსლიმმა საზოგადოებამ ლუტის ისტორიიდან

---

<sup>55</sup> Ibn Hazm, *Al-Muhalla*, vol. 11, p. 384. ამის შესახებ დისკუსიისთვის იხილეთ, Adang, "Ibn Hazm on Homosexuality," p. 20. იბნ ჰაზმი დასცინის ტრადიციონალისტებს და ამბობს, რომ მაშინ ისინი სრულად უნდა მიჰყვნენ საკუთარ ლოგიკას და დაწვან ის ადამიანები, რომლებიც არასამართლიანად აწონის საქონელს, რადგან ღმერთმა ცეცხლით გაანადგურა შუამავალ შუაიბის ხალხი უსამართლო სავაჭრო პრაქტიკის გამო (ავტორის შენიშვნა).

<sup>56</sup> Al-Tabari, *Tafsir*, vol. 3, p. 465.

უნდა დაასკვნას მას შემდეგ, როცა ის სამართალმცოდნეების ვიწრო ინტერპრეტაციისა და ანალურ სექსზე პატრიარქალური გადამეტებული ყურადღებისაგან გათავისუფლდება. იგივე აზრი ჰქონდა იბნ ჰაზმს ბევრად ადრე, ვიდრე ყურანის ლესბოსელი და გეი ინტერპრეტატორები ლუტის ამბის ხელახალი ინტერპრეტაციული შინაარსის იდეებს წამოწევდნენ. ის კრიტიკულად უყურებდა სხვა, თანამედროვე კლასიკოსი ინტერპრეტატორების მიერ ჰომოსექსუალების სიკვდილით დასჯის გამართლებას. ეს ინტერპრეტატორები ამტკიცებდნენ, რომ ქვების ჩაქოლვით ნებისმიერი პირის სიკვდილით დასჯა, რომელსაც თავისივე სქესის ადამიანის მიმართ პენეტრაციულ აქტებში გამოიჭერდნენ, დაუფარავად იკითხებოდა ყურანის ენაში და ლუტის ისტორიის „სიტყვა-სიტყვით“ წაკითხვისას. თუმცა იბნ ჰაზმი ამას თამამად ემიჯნებოდა. სხვა კლასიკოსი კანონმცოდნეების ინტერპრეტაცია უგულბელებოფს ყურანის აშკარა ენას და არასწორად იგებს ღვთის გზავნილის ამ ფორმით მოწოდების განზრახვას. იბნ ჰაზმი ამტკიცებს, რომ „ღმერთი ამბობს „და ცრუდ შერაცხა ლუტის ხალხმა შეგონებანი ჩემი. ჭეშმარიტად, ჩვენ წარვეზავნეთ მათზე ქარიშხალი“... (ყურანი 54:33-34, ლოზჟანიძე 328), მაგრამ ჩვენი შარიათის მიხედვით არაა დაშვებული, მატყუარა ქვებით ჩაიქოლოს, მაშინაც კი, როდესაც ის შუამავლის გაფრთხილების შესახებ იტყუება. ზოგიერთი მუსლიმი კანონმცოდნე „ლუტის ხალხის აქტის“ ჩამდენის [კაცებს შორის ანალური სქესობრივი კავშირი] ქვებით ჩაქოლვის წესის გასამართლებლად იმ აიას ეყრდნობა ... მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ აქტის ჩამდენი თავდამსხმელები იყვნენ ურწმუნოები ... მათ ასევე ავიწყდებათ, რომ ღმერთი ამბობს „ის დაემუქრა მათ ჩვენი რისხვით. ისინი კი დაეჭვდნენ ჩემს შეგონებებში. ისინი შეეცადნენ მისი სტუმრების შეურაცხყოფას. მაგრამ ჩვენ დავუვსეთ მათ თვალები და დააჭაშნიკეთ ჩემი მუქარა და სასჯელი“ (ყურანი 54:36-37, ლოზჟანიძე 328). თუ ეს სამართალმცოდნეები ნამდვილად გაჰყვებიან თავიანთ ხარვეზულ პრინციპს, მაშინ თვალები უნდა დათხარონ ნებისმიერ იმ ადამიანს, რომელსაც სტუმრის მიტაცება სურს, რადგან ღვთის მიერ ლუტის ხალხის ჩაქოლვის გარდა, ღმერთმა ლუტის ხალხის იმ წევრებს დაუბრმავა თვალები, რომლებმაც [სცადეს] მისი სტუმრების მიტაცება, როდესაც მათ კაცების მიმართ აქტების ჩადენა სურდათ, რათა მოციქული ცრუდ წარმოეჩინათ. ის, ვინც მხოლოდ ერთ მოვლენას გამოყოფს, რომელიც სინამდვილეში სხვა ამბებთანაა კავშირში, სამართლებრივ გადაწყვეტილებას ღვთის წმინდა რელიგიის სახელით აფორმებს, მაგრამ სინამდვილეში არ ეფუძნება ღვთის სიტყვის მტკიცებულებას.“<sup>57</sup> მოგვიანებით, სხვა თავში ჩვენ დეტალურად ჩავუღრმავდებით შარიათის სამართლებრივ გადაწყვეტილებებს. აქ საკმარისი იქნება მიფუთითოთ, რომ ქვების ჩაქოლვის შესახებ სამართლებრივი გადაწყვეტილება არ არის დაფუძნებული ყურანისეულ ლუტის ხალხის აიების ზუსტ და სიღრმისეულ წაკითხვაზე. ღმერთმა ჩაქოლა ისინი, მაგრამ რა იყო მიზეზი? როგორც იბნ ჰაზმი მიუთითებს, ღვთის მიერ მათი ჩაქოლვა ღვთაებრივი სასჯელია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მუსლიმებისთვის იმ ბრძანებას, რომ ადამიანები ჩაქოლონ. ამის გაკეთება ღვთის ავტორიტეტის ამპარტავნულად მისაკუთრება და ღმერთის მიერ წარსული მოვლენების ნაამბობის დამახინჯება იქნება.

<sup>57</sup> Ibn Hazm, *Al-Ihkam fi Usul al-Ahkam*, vol. 5, p. 728–729.

მაშინ რატომ ჰყვება ღმერთი ამ მოვლენებზე ყურანში? ღმერთი ლუტის ისტორიას ყურანისეული უნიკალური ფორმით უკავშირებს სხვა შემთხვევებს, მოვლენებს ჰყვება სხვა, ადრინდელი შუამავლებისა და მათი უარყოფის ამბებთან კავშირში, რომ უფრო სიღრმისეული აზრი გამოკვეთოს. შუამავლები იმიტომაც ნახსენები, რომ მათ თავად მუჰამედის სამოციქულო მისია გაამყარონ. ყურანში ლუტის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება და გმობს თავად მოციქული მუჰამადის ხალხისა და გარშემო მცხოვრები არაბების მიერ მუჰამედისა და მისი გზავნილის დევნას. ნაამბობის მიზანი ის კი არაა, რომ ერთი სქესის ადამიანებს შორის სქესობრივი კავშირი არ დაუშვას, არამედ ეთიკური პრინციპის დრამატიზებისთვის – ძლევამოსილი საზოგადოება ამხინჯებს რელიგიას, რომ საკუთარი სიმდიდრე და სტატუსი გაამართლოს, ხრწნის იმ მორალურ იდეებს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს. შესაბამისად, ელიტები უარყოფენ შუამავლურ გზავნილებს, რომლებიც შეახსენებენ მათ ადამიანურობას, ღმერთის არსებობას, სიკეთის კეთებასა და სამართლიან ქმედებას. სწორედ ძალაუფლების არმქონეებს ესმით შუამავლური გზავნილი ცხადად და ეს გზავნილი მაშინ შესრულდება სრულყოფილად, როდესაც ძალაუფლების არმქონენი დაცულები და ძვირფასები იქნებიან, როგორც ადამიანთა ოჯახის განუყოფელი წევრები.

ლუტის ხალხის შესახებ ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც მოვლენებს კონტექსტიდან ამოგლეჯს და ლუტის შუამავლურ მისიას სხვა შუამავლებისგან გამოაცალკევებს, არაჯეროვანი ინტერპრეტაციაა. ის სიმართლის სახელით ამართლებს უსამართლობას. ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მუსლიმი აქტივისტები ალტერნატიულ ინტერპრეტაციას წამოწევენ ლუტის ხალხის ამბის უფრო ფართო კონტექსტში დასაბრუნებლად, გვთავაზობენ უფრო სიღრმისეულ ეთიკურ გაგებას ღმერთის ჩანაფიქრის გამოვლენისას და აკრიტიკებენ ისლამური საზოგადოების მიერ დაკანონებული ვიწრო და ფრაგმენტული ინტერპრეტაციების მეთოდებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ჰომოსექსუალობის საწინააღმდეგო მიკერძოებული მოსაზრებები გავრცელებული იყო ისლამის წინამორბედ პატრიარქალურ რელიგიურ კულტურებში, განსაკუთრებით ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის, რომლებმაც სიღრმისეული გავლენა მოახდინეს ადრეული მუსლიმების მიერ საკუთარი რელიგიის ინტერპრეტაციაზე. შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, კლასიკოსი თარჯიმნები ეყრდნობოდნენ ამ ადრინდელ მოსაზრებებს და არა ყურანის ზუსტ სიტყვებს, როცა ამბობდნენ, რომ ლუტი, პირველ რიგში, ერთი სქესის მქონე ადამიანთა შორის პენეტრაციის აკრძალვის მიზნით მოევლინა.

თუმცა, მაშინაც კი, თუ, ყველა ზემოთ ნახსენები არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ, ლუტის მისია გაგებული იქნება ჰომოსექსუალური აქტების ან ჰომოსექსუალობის, როგორც ფსიქოლოგიური ორიენტაციის, დაგმობის მნიშვნელობით, ეს არ ნიშნავს, რომ მუსლიმები ვალდებული არიან, კანონების სფეროში დაიცვან ლუტის კონკრეტული ბრძანებები. ეს საკითხი კლასიკური ისლამური ინტერპრეტაციის სხვა, არსებით სტრატეგიას წამოწევს – მოძველებული კანონების „გაბათილების“ საკითხს<sup>58</sup>. თარჯიმნები და სამართალმცოდნეები

<sup>58</sup> علم الناسخ والمنسوخ /'ilmu n-nasihī wa-l-mansūh/ მუსლიმური თეოლოგიის ერთ-ერთი დარგი, მეცნიერება გამაუქმებელი და გაუქმებული აიების შესახებ

მხარს უჭერდნენ მოძველებული კანონის „გაბათილების“ მნიშვნელობას, რაც იმ იდეას ემყარება, რომ ღვთის გზავნილის გამოცხადება ქრონოლოგიურ და ისტორიულ დროში თანდათანობით მქლავნდება. ადრინდელი გამოცხადება მოგვიანებით გამოცხადების მიერ ან დასტურდება, ან წაიშლება და შესწორდება გვიანდელი გამოცხადებით იმის მიხედვით, თუ როგორი მდგომარეობაა იმ საზოგადოებაში, რომელშიც ღმერთი გამოავლენს ღვთაებრივ სიტყვას. ეს თეორია პირველად იმის ასახსნელად შეიმუშავეს, თუ როგორ შეეძლო ყურანს იგივე ზოგადი გზავნილი ჰქონოდა, როგორც ადრეულ წმინდა წერილების გამოცხადებებს, მაგრამ ამასთან, მათგან განსხვავებული რიტუალური და სამართლებრივი დეტალები გადმოეცა. მოგვიანებით, მუსლიმმა კანონმცოდნეებმა მოძველებული კანონების გაბათილების თეორია იმის ასახსნელად გამოიყენეს, თუ როგორ გადაიხედა ან შეიცვალა ყურანის ადრინდელი აიები გვიანდელი აიებით მაშინ, როდესაც ყველა აია ყურანის გზავნილისა და მისი წერილობითი ტექსტის განუყოფელ ნაწილად დარჩა. ეს თეორია თავისი პრაქტიკული გამოყენებით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბევრმა კლასიკოსმა მკვლევარმა, როგორცაა იბნ ჰაზმი, ამ თემას მთელი წიგნი მიუძღვნა.<sup>59</sup> ის კლასიკოსი კომენტატორები, რომელთა მტკიცებითაც ლუტის ხალხის ამბავი ამართლებს ერთი სქესის ადამიანებს შორის პენეტრაციული სექსის გამო ჩაქოლვით სიკვდილით დასჯას, ვერ ახერხებენ ამ ინტერპრეტაციის პრინციპის გამოყენებას. ისევე, როგორც ვერ იცავენ ყურანისეული ფორმულირების უპირველესობას, ზუსტად იმ უნიკალურობის შენარჩუნებით, რომელიც, ძირითადად, თორადან გამომდინარე იმავე ისტორიების ადრეულ ქრისტიანულ და ებრაულ გაგებას ეწინააღმდეგება.

მაშინაც კი, თუ სამართალმცოდნე ინტერპრეტატორები მართლები იყვნენ და ლუტი გმობს მამაკაცთა შორის სქესობრივ აქტებს, ეს აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ ის მუსლიმებსაც ეხება, რადგან ყურანის გამოცხადება აბათილებს ადრინდელი გამოცხადებების იურიდიულ ძალასა და საკანონმდებლო სისტემებს, რომლებიც ადრეულმა შუამავლებმა დანერგეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსლიმები არ არიან ვალდებულნი მიჰყვნენ ქრისტიანულ ტრადიციებს (იმის მიუხედავად, რომ მუსლიმები იესოს შუამავლად მიიჩნევენ, რომელმაც ისეთი გზავნილი გამოამჟღავნა, რომელიც რელიგიური საზოგადოებისთვის ღვთაებრივად შთაგონებული სახელმძღვანელოა) და მუსლიმებს არ მოეთხოვებათ იუდეველთა კანონის დაცვა (მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმები პატივს სცემენ მოსეს, როგორც შუამავალს და პატივს სცემენ თორას). მუსლიმები ადრინდელი დარიგებების მხოლოდ იმ ასპექტებს უნდა იცავდნენ კანონით, რომლებიც დადასტურებულია ყურანით და რომლებსაც პრაქტიკაში მოციქული მუჰამედი იყენებდა. დრომოჭმული კანონების გაბათილების კომპლექსურმა თეოლოგიურმა იდეამ განსაზღვრა ისლამი, როგორც ახალი რელიგია, რომელიც დამოუკიდებელია ადრინდელი შუამავლების სწავლებებზე დაფუძნებული რელიგიური საზოგადოებებისგან, როგორც ქრისტიანები და ებრაელები არიან.

ჰომოსექსუალობის დაგმობის მოთხოვნილება მუსლიმებში გააძლიერა მათ გარშემო არსებულმა იუდაურმა და ქრისტიანულმა ტრადიციებმა. ადრეული მუსლიმი

---

<sup>59</sup> Ibn Hazm, *Kitab fi Ma'rifat al-Nasikh wa'l-Mansukh*.

კომენტატორები ლუტის [ლოტის] ისტორიის გასაგებად ებრაულ და ქრისტიანულ წყაროებს ეყრდნობოდნენ, რომლებიც უკვე ჰომოფობური და მიზოგინური კულტურით იყო გაჯერებული. ახლო აღმოსავლეთის სხვა რელიგიური საზოგადოებების ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით ადრეულმა მუსლიმებმა გააგრძელეს კულტურული ცრურწმენები, რამაც გავლენა მოახდინა მათ ინტერპრეტაციაზე და გაბათილების თეორია შეასუსტა. ლუტის ამბის მათეული ინტერპრეტაცია, რომელიც მამრობითი სქესის მქონე ადამიანებს შორის სქესობრივ აქტებს გმობდა, უფრო მეტად ეყრდნობოდა კულტურულ წარმოდგენებს, ვიდრე ყურანის სიტყვების გულდასმით კითხვას.

ამ პერსპექტივიდან მუსლიმებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მოციქულ მუჰამედის ქცევასა და გადაწყვეტილებებს, როგორც ნორმებისა და კანონების სახელმძღვანელოს და არა ლუტის და მსგავსი წინაისლამური შუამავლების ისტორიებს, თუნდაც ისინი ყურანში ისტორიის მაგალითად იყოს ნაამბობი. ტრადიციული გადმოცემები, რომლებიც მუსლიმმა თემმა შემოინახა, არ გვთავაზობს არც ერთ შემთხვევას, როცა შუამავალმა მუჰამედმა თავის საზოგადოებაში ერთი სქესის მქონე ადამიანებს შორის სქესობრივი აქტების გამო ვინმე დასაჯა, ეს ორი მამაკაცი იქნებოდა, თუ ორი ქალი. ეს ის საკითხია, რასაც სხვა თავში სრულიად გამოვიკვლევ. ბევრად ადრე, სანამ გეი და ლესბოსელი მუსლიმი აქტივისტები ამ დაკვირვებებს გააზიარებდნენ, იბნ ჰაზმმა გამაუქმებელი და გაუქმებული აიების თეორია გამოიყენა ლუტის ისტორიის მუსლიმი ინტერპრეტაციების კრიტიკისთვის. მან იკითხა, „გვაქვს ჩვენ [მუსლიმებს] მოვალეობა, რომ დავემორჩილოთ იმ შარიათს [სამართლებრივ და რიტუალურ სისტემებს, რომლებიც შუამავალ მუჰამედამდე არსებობდა] და იმ აკრძალვებს, რასაც ისინი კრძალავდა, თუ პრინციპულად არ არის დაშვებული, რომ დავემორჩილოთ მასში არსებულ ნებისმიერ შინაარსს, გარდა იმისა, რაც ჩვენს საკუთარ სამართლებრივ სისტემაშია და რაზეც გვებრძანა, რომ დავემორჩილებოდით მუჰამედის სახელით გამოცხადებულ ამკარა ტექსტში? ... ახლა ვახსენებ იმ არეალებს, სადაც ზოგიერთმა მუსლიმმა რელიგიაში შეცდომები დაუშვა, როდესაც სხვა შარიათის სისტემების მიხედვით მიიღო სამართლებრივი გადაწყვეტილებები და ისინი მტკიცებულებად და სამხილად წარმოაჩინა [რასაც მუსლიმები უნდა დამორჩილებოდნენ] მაშინ, როცა სინამდვილეში ეს მტკიცებულებას არ წარმოადგენდა. სიმართლე ის არის, რომ დაუშვებელია ისლამში მათი [მუჰამედამდე არსებულ შუამავალთა სამართლებრივი სისტემების] მიხედვით სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება.“<sup>60</sup> იბნ ჰაზმს შუამავალ ლუტის მიერ დაწესებული რეგულაციები ადრეული შარიათის სისტემების ნუსხაში შეჰყავს, რომლებიც ძალადაკარგულად და ბათილად უნდა მივიჩნიოთ მუჰამედის გამოცხადების შემდეგ ისლამის მოვლენის გამო. ადრეული შუამავლების გამოცხადებების მხოლოდ ის პუნქტები ინარჩუნებს აქტუალობას, როგორც რიტუალური სახელმძღვანელო ან სამართლებრივი წესი, რომლებიც მუჰამედის გამოცხადებაში ცხადად არის დადასტურებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლუტის ამბავი საერთოდ არ მოგვიტოვრობს ჰომოსექსუალობის შესახებ. ყურანის სანდო და ზუსტი წაკითხვა ასეთი იქნება,

<sup>60</sup> Ibn Hazm, *Al-Ihkam fi Usul al-Ahkam*, vol. 5, p. 764.

განსაკუთრებით, თუ ლუტის ამბის უფრო ფართო კონტექსტს გავითვალისწინებთ. თუმცა, მაშინაც კი, თუ მუსლიმები დაიჟინებენ, რომ მოციქული ლუტი გამობდა ჰომოსექსუალურ აქტებს – ან კონკრეტულად ერთი სქესის პირებს შორის პენეტრაციას – საეჭვოა, მუსლიმები ვალდებულები იყვნენ, დაიცვან კანონის ისეთი პუნქტი, რომელიც ბოლო მოციქულის, მუჰამედის, მოვლენამდე არსებულ შუამავლურ მისიას ასახავს. მოძველებული კანონების „გაბათილების“ თეორია, რომელიც მუსლიმების წარმოდგენაში მათი რელიგიის, როგორც გამორჩეული და უნიკალური რელიგიის, ცენტრალური ასპექტია, ლუტის ისტორიის ასეთ სამართლებრივ ინტერპრეტაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მუსლიმი სამართალმცოდნეები, რომლებიც ყურანს განმარტავენ, დიდი ხანია მიხვდნენ, რომ ლუტის ისტორიაზე ჰომოსექსუალური აქტების აკრძალვის სამართლებრივი გადაწყვეტილებების დაფუძნება პრობლემურია. მათ ყურადღებით წაიკითხეს ყურანის სხვა აიებიც, რომლებსაც უფრო მეტი სიცხადით უნდა მიეთითებინათ კანონზე და უფრო აშკარა კავშირში ჰქონოდათ მუჰამედის დარიგებასთან. ამის მიუხედავად, როგორც დავინახავთ, ეს აიებიც ცალსახად ჰომოსექსუალურ აქტებზე არ უნდა მიუთითებდეს.

## თუ ამორალურობას ორი პირი ჩაიდენს

რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალობა არ ეხება მხოლოდ მამაკაცებს, რომლებსაც ჩვენ გვის ვუწოდებთ, არამედ ასევე ქალებსაც, რომლებსაც ჩვენ ლესბოსელებს ვეძახით. ლესბოსელები ორმაგი გამოწვევის წინაშე დგანან, პირველ რიგში, როგორც ქალები მუსლიმურ საზოგადოებებში, რომლებიც ძირითადად პატრიარქალურები არიან და შემდეგ როგორც ქალები, რომლებსაც სექსუალურად იზიდავთ სხვა ქალები. ბევრი ლესბოსელი მუსლიმისთვის ყველაზე რთული გასამკლავებელია პირველი გამოწვევა. სანამ ისინი სექსუალური ორიენტაციის განხილვას შეძლებენ, ყურადღება უნდა მიაქციონ, თუ როგორ ეპყრობიან ქალებს, მიიჩნევენ თუ არა მათ სრულყოფილ ადამიანებად, სამართლებრივად ავტონომიურად მოქმედ პირებად, კაცებთან მორალურად თანასწორებად და სექსუალური ლტოლვის მქონე სუბიექტებად, რომლებიც იმსახურებენ კმაყოფილების გრძნობას გამრავლების როლის მიღმა. კლასიკურ პერიოდში მუსლიმმა კანონმცოდნეებმა და ინტერპრეტატორებმა შეიმუშავეს ქალების მიმართ დადებითი შინაარსის მქონე ზოგიერთი გადაწყვეტილება. მათ აღიარეს, რომ ქალები სიამოვნებას იღებენ სექსისგან და უფლება აქვთ, პარტნიორებისგან მიიღონ კმაყოფილება, ადასტურებენ ქალის ორგაზმისა და ეაკულაციის არსებობასა და პოტენციას. ისინი ხაზს უსვამდნენ ჩასახვისას მამრობითი და მდედრობითი სქესის სითხეების თანაბარ მონაწილეობას, წარმოსახავდნენ კვერცხუჯრედისა და სპერმის თანასწორ და ავტონომიურად დამოუკიდებელ ჩართულობას, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან, რათა ურთიერთვალდებულების შეთანხმება შექმნან, რაც რადიკალურად განსხვავდებოდა სექსისა და ნაყოფიერების შესახებ ადრეული ელინური, ებრაული და ქრისტიანული თეორიებისგან, რომელთა მიხედვითაც აქტიური უფლებამოსილი პირი

მხოლოდ მამაკაცი და მისი სპერმა იყო.<sup>61</sup> მუსლიმი სამართალმცოდნეების უმეტესი ნაწილი არა მარტო იმას ამტკიცებდა, რომ არარეპროდუქციული სქესობრივი აქტი კანონიერი იყო, არამედ ადასტურებდა მის დადებით როლს სიამოვნების კულტივირებაში და პარტნიორებს შორის მგრძობიარე ურთიერთობის შექმნაში. ისინი ხოტბას ასხამდნენ სქესის პრელუდიას, მოფერებასა და სექსუალურ აქტივობას სიამოვნებისთვის (რომელიც გამრავლების მიზნით არ შემოიფარგლებოდა), როგორც მოციქული მუჰამედის *მაგალითის* მიმდევრები.

ეს დისკურსი, რომელიც წარმოადგენდა ქალის სექსუალურობისა და სექსუალური სიამოვნების შესახებ პოზიტიურ შეხედულებას, პრაქტიკაში ხშირად არ ხორციელდებოდა. ადგილობრივი საზოგადოებები და ინდივიდუალური ოჯახები ხაზს უსვამდნენ ქალის სასქესო ორგანოების „უწმინდურობას“ მენსტრუაციის მიზეზით და ამას ხშირად გადააქცევდნენ ხოლმე ქალთა თანდაყოლილი მორალური რღვევის თეორიად. მართალია მუსლიმები ზოგადად აღიარებენ, რომ ქალებს აქვთ სექსუალური კმაყოფილების სურვილი, მაგრამ პატრიარქალური მამაკაცები ხშირად აზვიადებდნენ ასეთი სურვილის უკონტროლო ძალაუფლებას, რომელიც დაუძლეველია ქალებისთვის და ხრწნის მათ რაციონალურ უნარებს, რაც ამართლებდა მათ გადაადგილებასა და სოციალურ ურთიერთქმედებებზე მამაკაცის კონტროლს. ძალიან ხშირად, ქალის სექსუალურობის შესახებ განხილვები იქამდე ვიწროვდებოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოუწოდებდა ქალებს, დაეკმაყოფილებინათ მამაკაცის პენეტრაციის პრივილეგია და ხელს უშლიდა ქალების ნებისმიერ სოციალურ, სულიერ ან ინტელექტუალურ აქტივობას, რომელსაც შეიძლება საფრთხე შეექმნა ამ პრივილეგიისთვის. ზოგადად, მუსლიმი სამართალმცოდნეები ყურადღებას არ აქცევდნენ ორ ქალს შორის სექსუალურ აქტებს, რადგან მათ სქესობრივი კავშირი პენისის პენეტრაციად განსაზღვრეს. მათ არასოდეს დაუსვამთ ცხადი კითხვა, არის თუ არა პენეტრაცია, მამრობითი პენისის თუ სხვა ობიექტის საშუალებით, ქალის სექსუალური კმაყოფილების მიღწევის ზენიტი და ექცევა თუ არა ქალების სექსუალური კმაყოფილება მხოლოდ პენეტრაციის ფარგლებში.

ლუტის ისტორია არ ეხება ქალებს შორის სექსუალურ აქტებს. ყურანში არ არსებობს სხვა აიები, რომლებიც ცხადად და ცალსახად ეხება ქალებს შორის სექსუალურ აქტებს, რაც არაბულ წყაროებში ცნობილია, როგორც *Sihaq* ან „ხახუნი“ (ბერძნული ტერმინის „ტრიბადიზმის“ პირდაპირი თარგმანი). ყურანი არ იყენებს ტერმინ *Sihaq*-ს (ისევე, როგორც ტერმინ *liwat*-ს არ იყენებს). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი თარჯიმანი ეძებდა ქალებს შორის სქესობრივი აქტების შესახებ მინიშნებას შემდეგ აიაში: „*თქვენს ცოლებს, რომელნიც მრუშობას [al-fahisha] მიჰყოფენ ხელს, დაუმოწმოს (ეს საქმე) ოთხმა თქვენგანმა; და თუ დაუმოწმეს, დააკავეთ ისინი სახლებში, ვიდრე სიკვდილი მიცვლით, ანდა ალაჰი რაიმე გზას გამოუნახავთ. და თუ ორი თქვენგანი ჩაიდენს მას (მრუშობას), დასაჯეთ (დაამუნათეთ) ის ორი, ხოლო თუ მოინანიეს და გამოსწორდნენ, თავი დაანებეთ მათ. ალაჰი მიმტვევებელია, მწყალობელი“ (ყურანი 4:15-16; ლოზჟანიძე 136). ეს, რა თქმა უნდა, დამაბნეველი აიების სერიაა. ტექსტის ორიგინალში ეს აია ესაუბრება მუსლიმი საზოგადოების მამაკაცებს არა*

<sup>61</sup> Musallam, *Sex and Society in Islam*.

კონკრეტულად მრუმობის, არამედ „უზნეობის“ [al-fahisha] შესახებ, რომელიც შესაძლოა ჩაიდინოს ქალების ჯგუფმა ან ქალების წყვილმა ერთმანეთთან. რას შეიძლება ეხებოდეს ეს „უზნეობა“? მეათე საუკუნის მუთაზილიტი კომენტატორის, ალ-ისპაჰანის, როგორც ჩანს, პირველი იყო, ვინც ამტკიცებდა, რომ ეს აია ეხება იმ ტიპის „უზნეობას“, როგორცაა ქალებს შორის სექსობრივი აქტები. ეს აზრი განმეორდა გვიანდელი კომენტატორების, შუა საუკუნეებში მოღვაწე ალ-ზამახშარისა და ალ-ბაიდავის მიერ. ჩვენს თანამედროვეობაში ეს მანამდე მარგინალიზებული აზრი რამდენიმე რადამ გააცოცხლა.<sup>62</sup>

მათ დაასკვნეს, რომ ამ აიებში მოხსენიებული „უზნეობა“ არის ლესბოსური სექსობრივი კავშირი. მათ ეს დასკვნა იმიტომ გამოიტანეს, რომ აია „უზნეობის“ დასადასტურებლად ოთხი თვითმხილველის არსებობას ითხოვს, რაც კონტაქტის გარეშე ჰეტეროსექსუალური სექსობრივი ურთიერთობის დასჯის მოთხოვნაშია მიუხედავად იმისა, რომ აქ მოცემული სასჯელი საერთოდ არ ჰგავს გარყვნილების (გაროზგვა) ან მრუმობის (ქვებით ჩაქოლვა) სასჯელს. რატომ უნდა დაასკვნან თარჯიმნებმა, რომ აიაში განხილული უზნეობა სექსუალური ხასიათისაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაბული გრამატიკის მრავლობითი რიცხვი „თქვენი ქალები“ აშკარად მიუთითებს სამ ან მეტ ქალზე? არაბულში სამი ან მეტი ქალის ჯგუფს კონკრეტული გრამატიკული კონსტრუქცია ახასიათებს (რომელიც გამოხატულია მრავლობითი ნაცვალსახელი  $\text{هُنَّ} /hun.na/$ -ს საშუალებით) განსხვავებით ქალების წყვილისგან ან ხალხისგან (რომელიც ნაცვალსახელი  $\text{هُنَّ} /hum/$ -ს საშუალებით გამოიხატება). რა სახის სექსობრივი აქტი უნდა იყოს, რომელსაც შეასრულებდა სამი ან მეტი ქალის ჯგუფი? სინამდვილეში, „უზნეობა“, რაზეც აია მიუთითებს, ორაზროვანია. ტერმინი *fahisha* შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა სახის ამორალურ ქმედებებს, რომლებიც საერთოდ არ არის სექსუალური ხასიათის.<sup>63</sup>

საკმაოდ სუსტია მტკიცება, რომ ეს აია გმობს ლესბოსელობას და ჰომოსექსუალური ქმედებებისთვის სასჯელს აზუსტებს. აიას ენა და კონტექსტი ასუსტებს მოსაზრებას, რომ ის უკავშირდება ორ ქალს შორის სექსუალურ ინტიმურ ურთიერთობას. არ არის დაკონკრეტებული, რა იგულისხმება „უზნეობაში“ და ყურანი ტერმინს *fahisha* მრავალი სახის ამორალური ქმედებების აღნიშვნისას იყენებს, მათ შორის მრუმობის, კერპთაყვანისცემისა და ფინანსური არაკეთილსინდისიერების აღსანიშნად. მიუხედავად იმისა, რომ პირველი წინადადება ნათლად განიხილავს ქალებს მრავლობით რიცხვში, მეორე წინადადება, რომელიც ორი ადამიანის ამორალურობას განსჯის, აშკარად არ არის მიმართული ქალების წინააღმდეგ. ის ამბობს, „ორი თქვენგანი“ [კაცთა მრავლობითი ჯგუფიდან], სადაც იგულისხმება „თქვენი კაცებიდან ორი“ (ან „წყვილი, რომელშიც შედის ქალი და თქვენი კაცთაგანი“). აღნიშნული უზნეობა ისეთი უნდა იყოს, რომ ის შეასრულოს ან ქალთა ჯგუფმა ერთად კაცების გარეშე, ან მამაკაცების წყვილმა ან მამაკაცისა და ქალისგან შემდგარმა წყვილმა. ძნელი წარმოსადგენია კონკრეტული სექსუალური აქტი, რომელიც შეიძლება

<sup>62</sup> Juynboll, “Sihak,” pp. 565–566. See also Ali, *Sexual Ethics and Islam*, pp. 81–82.

<sup>63</sup> Jamel, “The Story of Lut.”

შეესაბამებოდეს ამ მონაწილეთა კონფიგურაციას. ეს უბიძგებს ფრთხილ თარჯიმანს დასვას კითხვა, საერთოდ იგულისხმება თუ არა აქ განხილულ უზნეობაში სექსუალური აქტი.

თუ ამაში ჰომოსექსუალური ინტიმურობა იგულისხმება, მნელი წარმოსადგენი იქნებოდა ქალების ჯგუფმა და ასევე ორმა მამაკაცმა ჩაიდინოს ერთი და იგივე ამორალური საქციელი. ამის გამო, ზოგიერთმა მკვლევარმა სხვა აიები მოიხმო იმის დასამტკიცებლად, რომ ყურანი კრძალავს ლესბოსელობას და ქალებს შორის სექსუალურ აქტებს. ამის მიუხედავად, ყურანში ამის შესახებ ბევრი არაფერია. ზოგიერთი შიიტი მკვლევარი ამტკიცებს, რომ „რასის ხალხი“, წინარე ისლამური სემიტური თემი, რომელიც ყურანში ორჯერ ირიბადაა ნახსენები, ფართოდ გავრცელებული ლესბოსელობის გამო განადგურდა. თუმცა ყურანში სიტყვაც კი არ არის ნათქვამი, რაც ამ პოზიციას დაასაბუთებდა.<sup>64</sup> კომენტატორთა ძალისხმევა გვიჩვენებს, თუ რამდენად შორს წავლენ ცრურწმენებით დარწმუნებული ინტერპრეტატორები ყურანში ისეთი იდეების საპოვნელად, რომლებიც მის ენასა და კონტექსტში არ არსებობს.

ბოლოს ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი ორი აია, რომლებიც ზოგიერთის აზრით ლესბოსურ სექსს გმობს, ისეთ კონტექსტშია მოხსენიებული, რაც საერთოდ არაა დაკავშირებული სექსთან ან სექსუალობასთან. სინამდვილეში, მისი წინამორბედი და შემდეგი აიები ეხება მემკვიდრეობის გაყოფას პატიოსნად, ობლებისა და დაუცველების მხარდასაჭერად. ამ კონტექსტში, ამ ორ აიაში დაგმობილი უზნეობა, უფრო სავარაუდოა, გულისხმობდეს ფინანსურ არაკეთილსინდისიერებას ან მემკვიდრეობის საკითხებში თაღლითობას და არა ქალების ან კაცების ჰომოსექსუალურ წყვილს. ტრადიციული ინტერპრეტაციები ხშირად სექსუალურ საკითხებზე გადაუხვევენ ხოლმე, რათა თავიდან აირიდონ ეთიკური სწავლებები სიმდიდრის მოხვეჭის, სახსრების არასწორად განაწილებისა და დაუცველთა ექსპლუატაციის შესახებ<sup>65</sup>. ის აიები, რომლებიც თითქოს ლესბოსურ სექსს კრძალავს, სინამდვილეში

---

<sup>64</sup> ყურანი 25:38 and 50:12 ახსენებს რასის ხალხს, მაგრამ არასდროს აკონკრეტებს მათი განადგურების მიზეზს.

<sup>65</sup> განზრახული მნიშვნელობიდან გადახვევის მაგალითია ის, თუ როგორ განმარტავენ მამაკაცი სამართალმცოდნეები შემდეგ აიას, რომელიც მამაკაცებს მრავალცოლიანობის ნებას რთავს. მიუხედავად იმისა, რომ ყურანი ეუბნება კაცებს „ცოლად მოიყვანეთ ის ქალები, რომლებიც მოგეწონებათ, – ორი, სამი და ოთხი...“ (ყურანი 4:3, ლობჟანიძე 135), ის ამას ამბობს ობლების დაცვის კონტექსტში და აფრთხილებს მამაკაცებს, რომლებიც მათი მეურვეები არიან, რომ უსამართლოდ არ მოიხმარონ ობლების მემკვიდრეობა და ქონება, რომელიც მათი მეურვეობის გამო ერგოთ. აია ამ კონტექსტშია მოცემული: „მიეცით ობლებს თავიანთი ქონება, ნუ გადაცვლით კეთილს საზიზღარზე და ნუ შეჭამთ მათ ქონებას თქვენს ქონებასთან ერთად, რადგან ეს იქნება დიდი შეცოდება. ხოლო თუ შიშობთ, რომ სამართლიანნი ვერ იქნებით ობოლთა მიმართ, მაშინ ცოლად მოიყვანეთ ის ქალები, რომლებიც მოგეწონებათ, – ორი, სამი და ოთხი... მაგრამ თუ შიშობთ, რომ (ყველასთან ერთნაირად) სამართლიანად ვერ მოიქცევით, მაშინ (იქორწინეთ) ერთზე, ანდა იმაზე, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა“ (ყურანი 4:2-3, ლობჟანიძე 135). ეთიკური კონტექსტი აშკარად ბრძანებს, რომ კაცები ობლებს სამართლიანად უნდა მოექცნენ და მათი სიმდიდრე თაღლითობის გარეშე უნდა განკარგონ. ამ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ქალებზე დაქორწინების უფლება (როგორც მათი ლოჯისტიკური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის საშუალება) მოცემულია, როგორც უკანასკნელი საშუალება, თუ ადამიანი ვერ ასრულებს ფინანსური მხარდაჭერის მოლოდინებს. თუმცა მამაკაცმა სამართალმცოდნეებმა ის კონტექსტიდან ამოიღეს და მდიდარი ელიტისთვის

მიემართება ფინანსურ კეთილსინდისიერებასა და თაღლითობას, იმას, რასაც მამაკაცი სამართალმცოდნეები და ინტერპრეტატორები ან არასწორად ამოიციან ან აზუნდოვანებენ. წმინდა წერილის პატრიარქალური ინტერპრეტაციები ხშირად ამცირებს ეკონომიკური უსამართლობისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებს ვიწროდ განსაზღვრული სექსუალური მორალის ეთიკის სასარგებლოდ.<sup>66</sup>

## გეი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი პირების დადებითი წარმოჩენა ყურანში

გეი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი ინტერპრეტატორები მხოლოდ მუსლიმი მკვლევარების წარსულ ინტერპრეტაციებს არ ეწინააღმდეგებიან, რომლებიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამტკიცებდნენ, რომ ყურანი გმობს ჰომოსექსუალობას. ისინი ინტერპრეტაციას ხელახლა შთაბერავენ სულს იმ მომენტებზე მითითებით, როდესაც ყურანი ახსენებს გეი და ლესბოსელ მორწმუნეებს პოზიტიური ან მორალურად ნეიტრალური გზით. ჰომოსექსუალობის აშკარად აკრძალვის მაგივრად, ყურანი შეიცავს მუსლიმთა თემში ჰომოსექსუალების არსებობაზე მინიშნებებს. ამ მინიშნებების ახსნა ინტერპრეტაციას მოითხოვს, თუმცა მათი უგულებელყოფაც ინტერპრეტაციაა.

2005 წლის მარტში „შიდა წრის“ ყოველწლიური სულიერი განმარტოვების შეკრების დროს ამ საკითხებზე ინტენსიური დიალოგი გაიმართა. მუჰსინი და მისი კოლეგა დაი აბდულა აშშ-დან (რომელსაც სხვა თავში შევხვდებით) ამტკიცებდნენ, რომ ყურანი ყოველგვარი მორალური დაგმობისა და სამართლებრივი სანქციის გარეშე ახსენებს ჰომოსექსუალ ადამიანებს. პირველად ისინი ნახსენებია აიაში, რომელიც ეხება სექსუალური ორიენტაციითა და გენდერული იდენტობით განსაზღვრულ უმცირესობების ჯგუფებს, როგორც ღვთის შემოქმედებითი ნების ნაწილს. *„ალაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა. ქმნის, რასაც ინებებს, უწყალობებს, ვისაც ინებებს, მდებდრს, და უწყალობებს, ვისაც ინებებს, მამრს. ანდა აწყვილებს მათ მამრებად და მდედრებად და ქმნის, ვისაც ინებებს, ბერწად. ჭეშმარიტად, იგი ყოვლისმცოდნეა, ძლევამოსილი“* (ყურანი 42:49-50, ლოზჟანიძე 308). როგორც ჩანს, ყურანი აქ ახსენებს გენდერისა და სექსუალობის ყველა შესაძლო გადაკვეთის წერტილს, როგორც ღვთის განზრახვით დაბადებულ ქმნილებებს. პირველად მოხსენიებულნი არიან უბრალო მამრები და მდედრები, როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული სქესი, რომლებიც წყვილდებიან საპირისპირო სქესთან, რაც რეპროდუქციას ხდის შესაძლებელს. შემდეგ მოხსენიებული არიან ისინი, ვისაც „აწყვილებს ... მამრებად და მდედრებად,“ რაც გულისხმობს მამაკაცისა და ქალის ერთ ადამიანში შეერთების შესაძლებლობას, რომელიც მიუთითებს ბუნდოვანი გენდერის მქონე ადამიანებზე (ინტერსექს ან ტრანსგენდერ ადამიანებზე, რაც დეტალურად განხილული იქნება მე-6 თავში). შემდეგ ნახსენებია ის, ვინც

---

მრავალცოლიანი ქორწინების, როგორც სოციალური ნორმის, გასამართლებლად გამოიყენეს (ავტორის შენიშვნა).

<sup>66</sup> Jakobsen and Pellegrini, *Love the Sin*, pp. 4–7.

უნაყოფოა და მიანიშნებს ლესბოსელ ქალებზე ან გვი მამაკაცებზე, რომელთა სექსუალურ ორიენტაციას არ მიჰყავს ისინი რეპროდუქციულ აქტამდე<sup>67</sup>. ყურანი აქ პირობების დაკონკრეტების გარეშე მიუთითებს შესაძლებლობებზე, რომლებიც აღწერს პიროვნების მრავალფეროვან სახესხვაობებს, რაზეც მისი დისკურსი მიანიშნებს. ყურანი ხაზს უსვამს, რომ მართალი ადამიანი სულაც არ ნიშნავს პატრიარქალურ ჰეტეროსექსუალ კაცს, რადგან მასში ნათლად არის ნახსენები იაჰია [იოანე] ნათლისმცემელი, როგორც კაცი „*ბატონად თავმოზღუდულად და მოციქულად მართალთაგან*“ (ყურანი 3:39, ლობჟანიძე 126). ის არის კაცი, რომელსაც ქალებთან სქესობრივი ურთიერთობა არ აქვს<sup>68</sup>, ფრთხილი თავშეკავებისა და ასკეტური სიწმინდის და არა სექსუალური ორიენტაციის გამო. მაგრამ ჰეტეროსექსუალურ სექსსა და რეპროდუქციის პატრიარქალურ როლზე უარი მას არ უშლის არანაირად ხელს, რომ მართალ ადამიანად და შუამავლად იყოს მიჩნეული<sup>69</sup>.

ჰომოსექსუალი ადამიანები მეორედ და მესამედ იმ აიებში მოიხსენიება, რომლებიც მოკრძალებასა და გენდერულ განცალკევებას განიხილავენ. ეს აიები აქ იმ კუთხით იქნება განხილული, თუ რას გვიმჟღავნებენ ისინი გენდერულ განსხვავებაზე, მიზიდულობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე და არა მათ ისეთ წაკითხვაზე, თუ რას გვეუბნებიან ისინი სავალდებულო ჩაცმულობის კოდექსზე ან გენდერულ სეგრეგაციაზე. ეხება თუ არა ეს ნორმები ცხოვრების თანამედროვე პირობებს, ეს გენდერული სამართლიანობის ისლამური პროექტის მთავარი საკითხია, მაგრამ სხვებს დავუტოვებ სივრცეს ამის განსახილველად, რათა ჩვენ ფოკუსირებული დავრჩეთ გენდერულ და სექსუალურ უმცირესობებზე. ამრიგად, ჩვენ ვპოულობთ ჰომოსექსუალი ადამიანების მეორედ ხსენების შემთხვევას, როდესაც ყურანი მოუწოდებს მუსლიმ ქალებს მოკრძალებისკენ, მოუწოდებს ქალებს არ გაუმჟღავნონ თავიანთი სილამაზე მამაკაცებს, გარდა თავიანთი ნათესავებისა, ბავშვებისა და მამაკაცებისა, რომლებსაც არ აქვთ ნდომა<sup>70</sup>, რაც ნიშნავს მათ, „ვისაც არ აქვთ ქალებთან მიზიდულობა.“ ყურანი იძლევა მამაკაცების გრძელ და დეტალურ ჩამონათვალს, რომლებთანაც ქალებს შეუძლიათ უფრო თავისუფლად მოიქცნენ. „*და უთხარი მორწმუნე ქალებს, მხერა დაიოკონ, მოუფრთხილდნენ თავიანთ სარცხვენელთ და ნუ გამოაჩენენ თავიანთ ზინათებს, იმის გარდა, რაც მოჩანს მათგან. დაე, თავიანთი საბურველები მკერდთან გამოიკრან და არავისთან*

<sup>67</sup> عقيم /‘aqīm/ სიტყვასიტყვით ნიშნავს „უნაყოფოს“, „უშვილოს“, „ბერწს“. ყურანი მას რამდენიმე მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს. იგი აღწერს მშრალ ქარს, რომელიც მიწის უნაყოფობას იწვევს. იგი აღწერს სარას, იბრაჰიმის ცოლს, რომელსაც ეცინება ანგელოზის გაცხადებაზე, რომ მას ვაჟი გაუჩნდება, რადგან თავს მიიჩნევს მოხუც ქალად, რომელსაც გამრავლება აღარ შეუძლია (ავტორის შენიშვნა).

<sup>68</sup> حصور /ḥaṣūr/ თავშეკავებული, თავმოზღუდული, თავმოზღუდული (*ცოდვათაგან, ვნებათაგან*)

<sup>69</sup> ერთხელ მოციქული მუჰამედის ახალგაზრდა ცოლი, აიშა, უდაბნოში დაიკარგა, როცა მისი ქარავანი მის გარეშე წავიდა, მაგრამ იგი გადაარჩინა სიმჰათიურმა ახალგაზრდამ, რომელმაც იგი მედინაში დააბრუნა, რის გამოც შუამავალის ბევრმა უახლოესმა მიმდევარმა იგი დაადანაშაულა მრუშობაში. აიშამ გამოიყენა ტერმინი ḥaṣūr, რათა აღწერა ახალგაზრდა მამაკაცი, საფვან ალ-მუ‘ატალი, რაც ნიშნავდა, რომ მას არ სურდა სექსუალური სურვილი ქალებთან მისი სექსისგან ფრთხილი თავშეკავების გამო და ამიტომ მართალი კაცი იყო (ავტ. შენ.).

<sup>70</sup> اربة /‘irba/ ხორციელი სურვილი, წადილი, ვნება (*ქალის მიმართ*).

გამოაჩინონ თავიანთი შემკულობანი, გარდა თავიანთი ქმრებისა ან მამებისა ან მამამთილებისა ანდა თავიანთი ძეებისა ან თავიანთი ძმებისა ანდა თავიანთი ძმათა ძეებისა, ან თავიანთი დების წულებისა და თავიანთი ქალებისა, ვინც მათმა მარჯვენამ მოიპოვა ან იმ მსახური კაცებისა, რომელთაც ქალის ნდომა არ გააჩნიათ, ანდა ბავშვებისა, რომლებიც ვერ ამჩნევენ ქალთა სიშიშვლეს“ (ყურანი 24:31; ლოზჟანიძე 249). ტექსტის ორიგინალში, მსახური კაცების გარდა, ცალკე გამოყოფილია კაცები, რომლებსაც არ აქვთ ნდომა ქალებისა, რასაც წინ უძღვის „ქალები“ და მოჰყვება „ბავშვები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ქალთა სიშიშვლეს.“ ეს მიუთითებს, რომ ამ მამაკაცებს (ჰეტეროსექსუალი ქალების ან მოზარდობამდელი ბავშვებს მსგავსად) არ აქვთ ქალების სექსუალური ლტოლვა და ამიტომ გათავისუფლდებიან განცალკევების ზოგადი წესისგან. ეს შეიძლება განიმარტოს, როგორც გეი მამაკაცები, რომლებსაც არ აქვთ სურვილი ან მიზიდულობა ქალების შესაცდენად. ეს ასევე შეიძლება ეხებოდეს მამაკაცებს, რომლებიც არიან უცოლობის აღთქმის მიმცემნი, საჭურისები, იმპოტენტები, ან არიან საკმარისად ასაკოვანნი, რომელთაც, თუ ეს შესაძლებელია, არანაირი სექსუალური ლტოლვა არ გააჩნიათ. კლასიკოსი თარჯიმნების აზრით, ეს აია ხანდაზმულ მამაკაცებს ან იმპოტენტ კაცებს გულისხმობს, რომლებიც, მათი აზრით, ასაკის ან ანატომიის გამო გათავისუფლებულები იყვნენ ამ აკრძალვისგან. თუმცა თანამედროვე სოციალური კატეგორიის „გეი მამაკაცების“ გაჩენით, ინტერპრეტაცია უნდა განვახლოთ და მისი მნიშვნელობა გავაფართოვოთ, რომ მასში „გეი მამაკაცებიც“ შევიყვანოთ<sup>71</sup>. თუ ამ გზას ავირჩევთ, დავასკვნით, რომ ყურანი ახსენებს გეი მამაკაცებს არაპირდაპირი, მაგრამ ძლიერი გზით მათი დაგმობის გარეშე, უნიკალური მახასიათებლის აღიარებით, რომელიც მათ გამოარჩევს სხვა ზრდასრული მამაკაცებისგან – მათ არ აქვთ ქალების სექსუალური ლტოლვა და შესაბამისად, ქალების ახლო წრეში ყოფნისას არ წარმოადგენენ საფრთხეს.

მესამედ ისინი მაშინ მოიხსენიებიან, როდესაც ყურანი მუსლიმ მამაკაცებს მოუწოდებს, იყვნენ მოკრძალებულები და მოსთხოვს სახლის მოსამსახურეებსა და სტუმრებს, დააკაუნონ ან ითხოვონ ნებართვა პირად საძინებლებში შესვლამდე პოტენციური სიშიშვლის ან სექსუალური ინტიმური ურთიერთობის შესწრების ასარიდებლად. ყურანი მიმართავს მამაკაცებს გენდერული გამიჯვნის საკითხებზე და ქალების საშინაო პრივატულობის დაცვისკენ მოუწოდებს: „და როს თქვენი ბავშვები სრულწლოვანების ასაკს მიაღწევენ, დაე, ითხოვონ ნებართვა ისე, როგორც ითხოვდნენ ისინი, ვინც იყვნენ მათზე უწინ. ამგვარად განგიმარტავთ ალაჰი სასწაულებს და ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი. ასაკგადასულ ქალებს, რომელთაც გათხოვების იმედი აღარა აქვთ, ცოდვა არ ედოთ, თუ გაიხდიან ტანსაცმელს ისე, რომ თავიანთი ზინათებით არ იამპარტავენონ. ხოლო თუ თავშეკავებას გამოიჩინენ, უმჯობესი იქნება მათთვის“ (ყურანი 24:60, ლოზჟანიძე 251). ტექსტის ორიგინალში ნახსენებია არა ასაკოვანი ქალები, არამედ ქალები, რომლებიც რეპროდუქციას

<sup>71</sup> ზოგიერთი თანამედროვე კომენტატორი შეგნებულად უგულებელყოფს ამ შესაძლებლობას. მაგალითად, საიიდ კუტბი ამბობს, რომ მათ, ვისაც ვნება არ აქვთ არიან „ისინი, ვისაც ქალების ნდომა არ აქვთ მრავალი შესაძლო მიზეზის, მაგალითად, იმპოტენციის, გონებაშეზღუდულობის ან შემლილობის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო, რომელიც მამაკაცებს ქალის ნდომაში უშლის ხელს.“ Qutb, *Fi Zilal al-Qur'an*, vol. 6, p. 97 (ავტორის შენიშვნა).

არ აპირებენ<sup>72</sup>. ის აღწერს ნაყოფიერებას, ესე იგი, რეპროდუქციული აქტივობიდან განრიდებულ ქალებს, როგორც დაუმუშავებელ მიწას, რომელშიც თესლი არ დაითესა და ფინიკის პალმა, რომელიც არ დაიმტვერა. ყურანი განმარტავს, რომ ასეთ ქალებს არ სურთ სქესობრივი კავშირი, რაც არაბულში იგივე სიტყვით აღინიშნება, როგორც ქორწინება.<sup>73</sup> „ის ქალი, რომელსაც არ სურს სქესობრივი კავშირი,“ თავისუფალია თავისი მოკრძალებული სამოსი მოიხსნას იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ სილამაზეს უტიფრად არ გამოაჩენს. ეს აღწერა თავისუფლად შეიძლება ლესბოსელ ქალს ეხებოდეს. ის ასევე შეიძლება ეხებოდეს ქალებს, რომლებსაც სქესობრივ კავშირზე უარის აღთქმა აქვთ დადებული, ან საკმარისად ასაკოვანები არიან და ვეღარ დაორსულდებიან, ან საკმარისად ასაკოვანები არიან და არ აქვთ სექსუალური ლტოლვა, თუ ეს შესაძლებელია. კლასიკოსი თარჯიმნები ამ ქალებზე ამბობდნენ, რომ აქ მოხუცები იგულისხმებიან, რომლებსაც დაორსულება აღარ შეუძლიათ. ისინი ამბობდნენ, რომ აქ მხოლოდ ხანდაზმულებისთვის არის დაშვებული იმ სოციალური დაცვის წესებისგან გათავისუფლება, რომელიც საპირისპირო სქესის ადამიანებთან შერევას აღკვეთავს, რასაც შეიძლება სექსუალური მიზიდულობა და ცდუნება გამოეწვიოს. თუმცა სექსოლოგიური კვლევებიდან ვიცით, რომ პოსტმენოპაუზის შემდეგ ქალები ჯერ კიდევ სექსუალურად აქტიურები არიან და ხშირად სურთ სქესობრივი კავშირი.<sup>74</sup> ამიტომ აია უფრო ღრმა ინტერპრეტაციას ითხოვს. შესაძლოა, ზოგიერთი ქალი არ მრავლდება იმ მიზეზით, რომ მათ არ სურთ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან მათი სექსუალური ორიენტაციის გამო და არა მხოლოდ ნაყოფიერების ან ლიბიდოს სავარაუდო ნაკლებობის მიზეზით. არც კონტექსტი და არც სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა არ გამორიცხავს ამ ხელახალ ინტერპრეტაციას, რომელშიც ისინი, ვისაც არ გააჩნიათ ჰეტეროსექსუალური მიზიდულობა, მხოლოდ ნახსენები კი არა, სპეციალურად აღიარებულები არიან წესის გამონაკლისის ჩამონათვალში და ისინი იკავებენ სოციალურ სივრცეს ოჯახურ სისტემაში.

კეიბტაუნში შიდა წრის წევრებთან მოხსენებით გამოსვლისას დაი აბდულამ დაასკვნა: „ეს არის ორი აია [იგულისხმება ზემოთ ნახსენები ბოლო ორი აია], რომელთაც ვიყენებ, რათა არსებითად დავამტკიცო, რომ, ამჟამინდელი კონტექსტის გათვალისწინებით, ის [ყურანი] ამბობს, ჩვენ [გეი და ლესბოსელი მუსლიმები] აქ ვართ და რომ ჩვენ ვართ ალაჰის შემოქმედება“. მუჰსინის და მხარდაჭერის ჯგუფის სხვა წევრების მტკიცებითეს აიები აჩვენებს, რომ ყურანი აღიარებს ლესბოსელი და გეი ადამიანების არსებობას მუსლიმ საზოგადოებაში და უშვებს, რომ მათი განსხვავებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაციის თვალსაზრისით, მათ ათავისუფლებს ნორმალური გენდერული გამოიჯვინისგან, რომელიც განსაზღვრავს მოკრძალების წესებს ჰეტეროსექსუალური უმრავლესობისთვის. ჩემი კვლევა მხარს უჭერს ამ მტკიცებებს და ამატებს იმ შესაძლებლობას, რომ მესამე აიაც არსებობს, რომელიც ტრანსგენდერ პირებს ნეიტრალური გზით მოიხსენიებს. გარდა ამისა, ეს მოაზროვნეები უარყოფენ საყოველთაოდ მიღებულ ინტერპრეტაციებს

<sup>72</sup> *al-qawa'id min al-nisa'*

<sup>73</sup> نِكَاحٌ /nikāh/ ქორწინება

<sup>74</sup> იხილეთ Wadud, *Inside the Gender Jihad*, p. 193.

ლუტის ხალხის და იმ აიას შესახებ, რომელიც ამბობს „*თქვენი ქალები, რომელნიც უზნეობას [al-fahisha] მიჰყოფენ ხელს*“ და ამტკიცებენ, რომ ეს აიები არ ეხება სექსს, როგორც სიყვარულის ან ზრუნვის გამოხატულებას, ან თუნდაც სექსს, რომელიც მკაფიო სექსუალურ ორიენტაციას გამოხატავს. ამ გზით, ისინი ეწინააღმდეგებიან იმ თარჯიმნებს, რომელთა აზრითაც მოციქულმა ლუტმა დაგმო ანალური სქესობრივი კავშირი მამაკაცებს შორის. ისინი აპროტესტებენ, თუ როგორც გააფართოვეს თანამედროვე იდეოლოგიებმა ჰომოსექსუალობის დაგმობა ფსიქოლოგიურ და სოციალურ შრეებზეც, რომლებიც სექსუალური აქტების განხილვის ფარგლებს სცდება.

სექსუალობისადმი ასეთი მგრძობიარე ინტერპრეტაცია ითვალისწინებს წმინდა წერილის ტექსტის როგორც გონივრულ, ასევე „სიტყვა სიტყვით“ მნიშვნელობას. ამიტომ ყურანის კლასიკური ინტერპრეტაციის პრინციპების მიხედვით, ის იმსახურებს იმ აღიარებას, რომ ეს არის რამდენიმე შესაძლო მნიშვნელობიდან ერთ-ერთი, საიდანაც ყველა მართებულია. ამ ინტერპრეტაციის პერსპექტივიდან, ყურანის აიები, რომლებიც, გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით, გმობდნენ ჰომოსექსუალურ აქტებს, რეალურად არ ეხება ჰომოსექსუალობას. ხოლო სხვა აიები, რომლებიც, გავრცელებული შეხედულებით, სექსუალური ლტოლვის არმქონე მოხუცებს ეხებოდა, სინამდვილეში ისლამური საზოგადოების ჰომოსექსუალურ წევრებს ეხება, რომლებიც არ არიან დაგმობილნი. სექსუალური ორიენტაციის ფსიქოლოგიური თეორიით შთაგონებული ჰომოსექსუალობის კონცეფციის გარეშე, ისინი, ვინც კითხულობენ ყურანს ან განსჯიან მის მნიშვნელობას, ამ დასკვნებს გამოტოვებენ. ეს შინაარსი შეუმჩნეველი დარჩა კლასიკოსი მუსლიმი თარჯიმნების მიერ და განზრახ უგულებელყოფილია თანამედროვე ინტერპრეტატორების მხრიდან, რომლებიც ნეოტრადიციონალისტები არიან და დაუხვეწავ იდეებს ავრცელებენ „ადამიანის ბუნებაზე.“

დღეს ჰომოსექსუალობაზე ჩვენთვის ხელმისაწვდომია ისეთი თეორია, რაც წარსულში შემუშავებული არ ყოფილა. დასავლურ და ისლამურ სოციუმებში სამედიცინო და ფსიქოლოგიური კვლევების ტექნიკური ცოდნა მხარს უჭერს ადამიანის ბუნების კომპლექსურ განმარტებას, რომელიც ტრადიციული ავტორიტეტების მიღმა (როგორცაა ტომის ლიდერები, პატრიარქალური ოჯახი ან რელიგიური მეცნიერები). თუმცა ტრადიციული ავტორიტეტები ხშირად ეწინააღმდეგებიან ჰომოსექსუალობის სეკულარულ განმარტებებს, ამ განმარტებებს აღიქვამენ ზნეობისთვის საფრთხედ და ხშირად ცდილობენ მეცნიერებისა და კლინიკური პროფესიონალების მარგინალიზებას ან დაგმობას. ტერმინ „ჰომოსექსუალობის“ შემოღება პირველად იმ მიზნით მოხდა, რომ შეგვძლებოდა ახლად აღმოცენებული თანამედროვე კონცეფციის აღწერა, რაც, თავისთავად, ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი კლასიკოსი მუსლიმი თარჯიმანისთვის. ამის მიუხედავად, შეცდომა იქნება გვეგონოს, რომ ჰომოსექსუალები არ არსებობდნენ მანამ, სანამ ეს სახელდება არ გაჩნდა კლინიკურ კვლევებში. ჰომოსექსუალი ქალები და კაცები ყოველთვის არსებობდნენ, როგორც უმცირესობა ყველა კულტურულ ჯგუფში, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება მათ აღსანიშნად არ არსებულიყო აბსტრაქტული ტერმინი, როგორცაა „ჰომოსექსუალობა“. შეიძლება ჰომოსექსუალები სხვადასხვა სოციალურ კონსტრუქციებსა და როლებს ასრულებდნენ

(მღვდელი, მხატვარი, მხილველი, ოხუნჯი, ერეტიკოსი, კრიმინალი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი რომ ჩამოვთვალოთ). ეს სოციალური კონსტრუქციები დროთა განმავლობაში იცვლება და განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებაში. მაგრამ არსებითი ფსიქოლოგიური ელემენტი – სექსუალურ ორიენტაციასა და გამოხატულებებზე დაფუძნებული განსხვავებები – არსებობდა ყველგან, მრავალფეროვანი სახელებისა და ცნებების ქვეშ. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ რასაც თანამედროვე მკვლევარები „ჰომოსექსუალობის“ მნიშვნელობით იყენებენ, საერთოდ არ ნიშნავს იმას, რასაც კლასიკოსი მუსლიმი მკვლევარები „მამათმავლობაში“ (*Liwat*) გულისხმობდნენ. *Liwat* აღნიშნავს ანალურ პენეტრაციას, როგორც აქტს და აქ არაფერი იყო ნათქვამი განზრახვაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე ან აქტის შემსრულებლის შინაგან ხასიათზე.

### ინტერპრეტაციული დებატები: კეთილი შეგონების არგუმენტი

ყურანი მორწმუნეებს უბრძანებს, რომ სხვებს ღმერთის გზისკენ მოუწოდონ დამაჯერებლად და სხვებთან საკითხები განიხილონ „სიბრძნითა და კეთილი შეგონებით“ (ყურანი 16:125, ლოზჟანიძე 217). ყურანის ინტერპრეტაცია არის დებატების, დისკუსიისა და კამათის პროცესი. ეს ყოველთვის ასე იყო მუსლიმებს შორის, თითქმის ყველა შესაძლო საკითხის შესახებ. არ არსებობს იმის მიზეზი, რომ სექსუალობა და სექსუალური ორიენტაციის საკითხები გამონაკლისი იყოს. ამის მიუხედავად, ბევრი თანამედროვე მუსლიმი ერიდება კამათს. განსაკუთრებით 1975 წლიდან, როდესაც ნავთობის ბუმმა ვაჭაბიზმით შთაგონებული ისლამური ფუნდამენტალიზმი საერთაშორისო არენაზე გამოიტანა, ბევრმა მუსლიმმა ჩათვალა, რომ ყურანის ინტერპრეტაციაში ბუნდოვანების აღიარება ერეტიკოსობის ტოლფასია. ეს არის სამწუხარო კრახი კლასიკური ტრადიციის დისციპლინირებული არგუმენტაციისა, რამაც, თავის დროზე, ისლამი ძლიერ და მოქნილ რელიგიად აქცია. გეი, ტრანსგენდერი და ლესბოსელი მუსლიმები, რომლებიც თეოლოგიურ დებატებში არიან ჩართულები, იმედოვნებენ, რომ ეს ხელს დიალოგისა და დებატების ამ ოპტიმისტური სულისკვეთების აღდგენას შეუწყობს. როგორც ისინი საუბრობენ, მათ აღმოაჩინეს, რომ ბევრი მუსლიმი სერიოზულად არ უყურებს მათ და დებატებში არაკვალიფიციურებად მიიჩნევს (ან იმიტომ, რომ მათ არ აქვთ განათლება მიღებული მადრასაში, ან იმიტომ, რომ ისინი „ცოდვილებად“ არიან მიჩნეული), ან ცდილობენ, ისინი გააჩუმონ, რათა თავიდან აიცილონ წამოჭრილი საკითხების განხილვა.

თუმცა, რადგან ლესბოსელი, ტრანსგენდერი და გეი მუსლიმები მტკიცედ აგრძელებენ საუბარს, ისინი სულ უფრო ხშირად პოულობენ მუსლიმთა შორის მოდებატე პარტნიორებს, რომლებიც მართალია ეწინააღმდეგებიან მათ ინტერპრეტაციებს, მაგრამ დებატების ძირითად პირობებს ეთანხმებიან. ესენი არიან თანამედროვე გეი და ლესბოსელი მუსლიმი აქტივისტების კრიტიკოსები, რომლებიც აღიარებენ, რომ ეს საკითხები განხილული უნდა იყოს. აღიარებენ, რომ დებატების საფუძველს წარმოადგენს ყურანის აიების მნიშვნელობა და

რომ ჰომოსექსუალები არსებობენ, როგორც ჰეტეროსექსუალებისგან განსხვავებული ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე ადამიანები. უბრალოდ, ეს ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ყურანი მხოლოდ ჰეტეროსექსუალობას აღიარებს. ამ არგუმენტს ორგვარი მიდგომა აქვს. ერთი ხაზს უსვამს ონტოლოგიას,<sup>75</sup> მეორე კი ზნეობას. არგუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს ონტოლოგიას (არსების ბუნებას), ამტკიცებს, რომ ყურანი ცხადად ადასტურებს ღმერთის მიერ ყველა ადამიანის ჰეტეროსექსუალებად შექმნას და თუ პირი თავის ჰომოსექსუალობას ამტკიცებს, ის ამახინჯებს თავის თანდაყოლილ, ღვთისგან ბოძებულ ბუნებას. არგუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს მორალს, ამტკიცებს, რომ ყურანში მჟღავნდება ღმერთის ნება, რომელიც არის ჰეტეროსექსუალობა, განურჩევლად ადამიანის თანდაყოლილი სექსუალური ორიენტაციის გრძნობისა. თუ პირი ჰომოსექსუალურ ქმედებებს სჩადის, ეს ღვთის ნებისა და ბრძანების დაუმორჩილებლობაა. მსჯელობის პირველი ხაზი ჰომოსექსუალობას ხედავს, როგორც ღვთის მიერ შექმნილი ბუნების დამახინჯებას, ხოლო მსჯელობის მეორე ხაზი ხედავს ჰომოსექსუალობას, როგორც ღვთის სასურველი მორალიდან გადახვევას. მოკლედ, პირველი მსჯელობა ხედავს ჰომოსექსუალებს, როგორც ავადმყოფებს, ხოლო მეორე მათ მიიჩნევს ცოდვილებად<sup>76</sup>.

იმის მიუხედავად, რომ ლესბოსელი, ტრანსგენდერი და გეი მუსლიმი ინტერპრეტატორები არ ეთანხმებიან ამ ოპონენტებს, ისინი მათი მადლიერები არიან. ყურანის სიტყვების მნიშვნელობის შესახებ დასაბუთებულ კამათში მონაწილეობით, ეს მოწინააღმდეგეები უსიტყვოდ აღიარებენ დებატების თანამონაწილეების ჰუმანურობას, ღირსებასა და რელიგიურ თავდადებას. ისინი არ უშვებენ, რომ უთანხმოებამ დაჩრდილოს მათი დებატების თანამონაწილეების ეთიკური პატივისცემა. ეს ადასტურებს კლასიკური ისლამის მეცნიერებების ერთ-ერთ საუკეთესო მახასიათებელს, წმინდა ტექსტების ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტობას, როგორც ეს იკითხება ცნობილი სამართალმცოდნე აბუ ჰანიფას სიტყვებში, რომელსაც უთქვამს: „ჩვენ ვიცით, რომ ეს [ჰოზიცი] ერთ-ერთი მოსაზრებაა. ეს იყო საუკეთესო ახსნა, რაც ჩვენ მოვიფიქრეთ. [თუ] ვინმე განსხვავებულ მოსაზრებამდე მივა, მაშინ ის აითვისებს იმას, რისიც მას სჯერა [რომ საუკეთესო ახსნაა] და ჩვენ მივიღებთ იმას, რაც გვწამს [რომ საუკეთესო ახსნაა].“<sup>77</sup> ზოგადად, მუსლიმი საზოგადოებები ამ იდეალს არ აკმაყოფილებენ, თუმცა ეს ღრმად არის მათ კლასიკურ ტრადიციაში დამკვიდრებული. ისინი ჯერ კიდევ არ ჩართულან ამ საკითხებზე

<sup>75</sup> ონტოლოგია არის მეტაფიზიკური ფილოსოფიის განხრა, რომლის შესწავლის სფერო არის ყოფის, ყოფიერებისა და ყოფნის არსი და ბუნება. სწავლობს არსებობის რაობას, არსებების (ქმნილებების) დაჯგუფებისა და კატეგორიზების ფორმებს და მათ ერთმანეთთან მიმართებებს (მთარგმნ. შენიშვნა).

<sup>76</sup> იდეები, რომ ჰომოსექსუალები ცოდვილები და ავადმყოფები არიან, ხშირად ერთადაა გაერთიანებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოპონენტები ჰომოსექსუალ მუსლიმებს ხედავენ ბოროტი სულების ან სატანის მიერ „შეპყრობილ“ ინდივიდებად. თუმცა, თუ ჰომოსექსუალების წარმოჩენა ხდება „შეპყრობილებად“, მაშინ ეს მათ მიერ წამოწეულ საკითხებს ყურანის მნიშვნელობის შესახებ დებატებისა და დისკუსიის მიღმა განდევნის, რადგან მუსლიმი საზოგადოება არ უნდა ეკამათოს შეპყრობილ პირებს, არამედ ან „განკურნონ“ ან დათრგუნონ ისინი (ავტორის შენიშვნა).

<sup>77</sup> Abou El Fadl, *Speaking in God's Name*, p. 10 note 8.

თავშეკავებულ და ინფორმირებულ დებატებში. თუმცა, ეს მაინც ის იდეალია, რომლისკენაც ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ.

ისეთი მაგალითებიდან, როგორცაა ალ-ტაბარის ინტერპრეტაცია და კლასიკური ტრადიციის სხვა ინტერპრეტაციები, ირკვევა ის, რომ ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ მიკერძოებამ შეიძლება გამოიწვიოს თარჯიმნების მიერ წმინდა წერილში იმის დაგმობა, რაც ზუსტად არ არის მოცემული ყურანის ცხად ენასა და უფრო ფართო კონტექსტში. შიდა წრის შეკრებაზე ლესბოსელი მუსლიმი ქალი ამ პუნქტების განხილვას ასე გამოეხმაურა: „მე გამიგია ასეთი ნათქვამიც, რომ როგორც დაიღუპა სოდომისა და გომორას ხალხი, რომელმაც ჰომოსექსუალური ქმედებები ჩაიდინა, ასევე ჰომოსექსუალური ქმედებებისთვის მომავალი სასჯელი ის იქნება, რომ განკითხვის დღეს ისინი საკუთარ სპერმაში დაღპებიან და მუდმივ ლპობის პროცესში იქნებიან. ეს არის ის შიში, რომელიც ვლინდება ჩვენს საზოგადოებაში ... ამიტომ, ვფიქრობ, უფრო მეტად ადამიანების უმეტესობას ეშინია თავისი შემოქმედის და არ ცდილობენ შემოქმედთან შეხვედრას“. ყურანის ახალ ინტერპრეტაციებს ნამდვილად შეუძლია დაგვეხმაროს შიშისა და ტერორისგან გათავისუფლებაში, რასაც ჩვენი სხვადასხვა კულტურ წმინდა ტექსტში ამოვიკითხავთ ხოლმე. როგორც ამ კომენტარზე დაი აბდულას პასუხი ცხადყოფს: „ვფიქრობ, თქვენ აბსოლუტურად მართალი ხართ შიშის ასპექტთან დაკავშირებით ... ერთადერთი გზა, რომელიც შიშისგან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ ისაა, რომ როდესაც ყურანს წაიკითხავთ მთელი გულითა და გონებით, კითხვებზე პასუხი გეწვევით, რადგან ამ დროს ალაჰთან ხართ. როცა ამ პროცესში კავშირს გრძნობთ, თქვენ ნამდვილად მყარი საფუძველი გაქვთ. შემდეგ, როცა ადამიანები რაღაც კომენტარებს აკეთებენ ... თქვენ საკუთარ თავს ძალას ამღევთ, იმ დასკვნამდე მიხვიდეთ, რომ რასაც ხალხი გეუბნებათ, სიმართლეს არ შეესაბამება. ამიტომ თქვენ არ გეშინიათ იმ სიტყვების, რომლებსაც ისინი ამბობენ. ხშირ შემთხვევაში, ინტერაქცია ისე სრულდება, რომ მათ გაანათლებთ [ვინც თქვენ დაგმობთ]!“ მისი აზრით, ყურანის კითხვა სხვების მიკერძოებული შეხედულებებისგან საკუთარი თავის განთავისუფლების გასაღებია, რადგან ის ადამიანს ღმერთთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას ამღევს. ის ცხადყოფს, რომ ჰომოსექსუალების საწინააღმდეგო მიკერძოებული მოსაზრებები მუსლიმებს შორის კულტურული ფენომენია და არა წმინდა წერილის ბრძანება.

ამ დასკვნას რადიკალური შედეგები აქვს შარიათის – წმინდა წერილების წყაროების სამართლებრივ წაკითხვაზე დაფუძნებული ისლამური ჩვეულებისა და კანონების – შეფასებისთვის. ჰომოსექსუალური აქტების მიმართ სამართლებრივი შეზღუდვები, რომლებიც შარიათის განუყოფელი ნაწილია, არ გამომდინარეობს ყურანის აშკარა და დამაჯერებელი ენიდან. პირიქით, ისინი ეფუძნება შუამავალის მიმდევრების გადაწყვეტილებებს და მოგვიანო გადმოცემებს, რომელიც წინასწარმეტყველის სახელით გავრცელდა. ეს გასაკვირი სულაც არ არის ისლამური სამართალმცოდნეებისთვის, რომლებმაც იციან, როგორ დაფუძნდა კანონები, მაგრამ ეს დიდ გაცემას იწვევს მუსლიმთა უმეტეს ნაწილში, რომლებსაც ასწავლიან, რომ შარიათი პირდაპირი ღვთაებრივი ნების გამოხატულებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჰადისის მართებულობის შეფასება წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას და მუსლიმი აქტივისტებისთვის ძალიან რთული თემაა, შევეცდები

მე-3 თავში ამ საკითხს შევეჭიდო. ყურანის საკითხის ახალი ინტერპრეტაციები ექვის ქვეშ აყენებს ფიქვის ანუ ისლამური იურისპიდენციის უცდომელობისა და უცვლელობის რიტორიკას, რაც გამაოგნებელი იდეაა მრავალი მუსლიმისთვის. ამ იდეას ყურადღებით შევისწავლეთ მე-4 თავში.

## დასკვნა

ამკარაა, რომ პრობლემა, რომელსაც ლესბოსელი, გეი და ტრანსგენდერი მუსლიმი აქტივისტები აწყდებიან, ბევრად უფრო კომპლექსურია, ვიდრე უბრალოდ ყურანის ინტერპრეტაცია. თუმცა ყურანი არის ისლამის, როგორც რელიგიური ტრადიციის, სირთულეების ამოხსნის გასაღები და თავად ყურანი იძლევა გასაღებს მტრულად განწყობილ მუსლიმურ საზოგადოებასთან კამათისთვის. ყურანის შესახებ დაწერილი თავის დასასრულს შეგვიძლია განვმარტოთ მისი ძირითადი მიგნებები. ყურანი ჰომოსექსუალობის საკითხზე საუბრობს მხოლოდ ირიბად და არა – პირდაპირ. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორ განიმარტება წმინდა წერილი (რომელი პრინციპებით, რომელი ინსტრუმენტებით, რა წარმოდგენებით). ყურანში არ არსებობს ტერმინი, რომელიც კონკრეტულად აღწერს ჰომოსექსუალ ადამიანებს ან ქმედებებს. ბევრი კლასიკოსი მკვლევარი ზოგიერთ თვალსაზრისს ისე განმარტავს, თითქოს ის კრძალავს ჰომოსექსუალურ სექსუალურ აქტებს, მაგრამ მათი ინტერპრეტაციის მეთოდი ბუნდოვანია და ისლამურ ტრადიციაში არსებობს ალტერნატიული ინტერპრეტაციების ადგილი (როგორც კლასიკურ წარსულში, ასევე აწმყოში). მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კლასიკოსი თარჯიმანი შუამავალ ლუტის ისტორიას ისე კითხულობს, თითქოს ის კრძალავს ერთი სქესის პირებს შორის სექსუალურ ქმედებებს, ყურანში არსებობს ბუნდოვანება იმ საკითხის გარშემო, ლუტის ხალხი სექსუალური აქტების გამო დაისაჯა თუ ურწმუნოების გამო, რომლის ერთ-ერთი გარეგანი გამოხატულებაც ერთი სქესის ადამიანებს შორის სქესობრივი აქტები იყო. ამ ბუნდოვანების გასარკვევად გეი, ლესბოსელი და ტრანსგენდერმა მუსლიმმა აქტივისტებმა ალტერნატიული ინტერპრეტაცია წამოაყენეს. ეს ალტერნატიული ინტერპრეტაცია – რომლის მიხედვითაც ლუტმა თავისი ხალხი დაგმო გაუპატიურებისა და იმ აგრესიის გამო, რაც მამაკაცების მიერ მამაკაცების მიმართ იყო მიმართული – საზრიანია არა მხოლოდ ყურანის სიტყვების ანალიზისას, არამედ მისი სიღრმისეული თემებისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ყურანის ანალიზისას მათთვის არსებითი საკითხია სექსის, როგორც იარაღის, აგრესიული გამოყენება იმ მიზნით, რომ შუამავალთა სწავლებები უარყოს და ღმერთის მიმართ ურწმუნოება გამოხატოს. ის არაა მიმართული ზოგადად ერთი სქესის ადამიანებს შორის სქესობრივი აქტების ან კონკრეტულად ჰომოსექსუალური ორიენტაციის წინააღმდეგ. ტრანსგენდერი, ლესბოსელი და გეი მუსლიმები ყურანში სხვა აიებსაც პოულობენ, რომლებიც ადასტურებენ მუსლიმურ საზოგადოებებში მათ არსებობას მათი დაგმობის გარეშე და მიანიშნებენ, რომ მათი აქვთ თავიანთი ადგილი ღმერთის მიერ შექმნილი მრავალფეროვნებით სავსე ბუნებრივ სამყაროში



**მრავალფეროვნება!**  
**სოლიდარობა!**  
**თანასწორობა!**